

ზიანის ანაზღაურება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2016, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2016, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2016, №11

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2016, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. მორალური ზიანის ანაზღაურება
უკანონო პატიმრობის გამო მორალური
ზიანის ანაზღაურება

გადანყვებითა და
საქართველოს სახელით

№ბს-648-623(2კ-13)

10 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 25 ივნისს ლ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 02 ივნისის განაჩენით ლ. ა-ისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 8 თვის ვადით და საბოლოოდ, ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის და 8 თვის ვა-

დით.

მოსარჩელის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 მარტის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

მოსარჩელის განმარტებით, უკანონო პატიმრობამ მას მიაყენა უდიდესი მორალური და მატერიალური ზიანი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საპატიმრო ადგილებში ყოფნამ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთად, შელახა მისი პატივი და ღირსება, იგი განიცდიდა სულიერ ტანჯვას, რასაც დამატებით ერთვოდა ფიზიკური ანგარიშსწორება, რის გამოც განიცადა მორალური ზიანი.

ამასთან, მოსარჩელის მითითებით მისი საპყრობილეში ყოფნის პერიოდში მისმა ოჯახმა მიიღო საკმაოდ დიდი მატერიალური ზიანი, რაც გამოიხატებოდა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დანესებულების ტერიტორიაზე არსებულ მალაზიაში დამატებითი კვების პროდუქტების და პირველადი მოხმარების საგნების შეძენის მიზნით, მოსარჩელის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვაში, ადვოკატის მომსახურებისათვის თანხის ანაზღაურებასა და მოსარჩელის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით არაერთი ხარჯის გაწევამი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხის – საქართველოს მთავრობისათვის მატერიალური და მორალური ზიანის სახით 500 000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

2013 წლის 17 ივლისს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ მოპასუხე მხარედ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დაასახელა. ამავე სხდომაზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ლ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 10 000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; ლ. ა-ის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს მთავარი პროკურატურით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ა-ისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 10 000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; ლ. ა-ის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. 59-ე მუხლის თანახმად დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 02 ივნისის განაჩენით ლ. ა-ისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძ-

ველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 8 თვის ვადით და საბოლოოდ, ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის და 8 თვის ვადით.

ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 მარტის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებული იყო სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება ჰქონდა, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოეთხოვა და მიეღო უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი წარმოადგენდა ზოგადი ხასიათის ნორმას, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირისათვის შეექმნა იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელს საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინა კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვე-

თის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისი იყო დადგენილიყო ქმედების უკანონობა და სახეზე ყოფილიყო პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ანიჭებდნენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ განსაზღვრავდნენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა მიჩნეულიყო მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან გამამართლებელი განაჩენი ადგენდა პირის უდანაშაულობას, რაც იწვევდა მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. რაც შეეხებოდა ზემოაღნიშნული მუხლის მეორე კომპონენტს ქმედების უკანონობას, სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო კანონის აღნიშნული მოთხოვნის იმგვარად ინტერპრეტაცია, რომ ქმედების უკანონობა შეფასებულიყო მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევით, ვინაიდან, არ შეიძლებოდა ნორმა განმარტებულიყო ისე, რომ გამართლებულს არ მისცემოდა უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში იყო საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილებულიყო, თუმცა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ზიანის ოდენობასთან მიმართებაში და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურ-

რება შეიძლება მოთხოვილი ყოფილიყო მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. პირადი არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას კი ითვალისწინებდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა იმ საფუძვლებს, რომლის ხელყოფის დროსაც პირს უფლება ჰქონდა მოეთხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლით დაცულ სიკეთეს მიეკუთვნებოდა პირის სახელი, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია და გამოსახულება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავდა სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილი იყო სარჩელში მიეთითებინა ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვდა მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებას წარმოადგენდა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყვეტილიყო. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება და აღნიშნა, რომ მორალური ზიანი გულისხმობდა ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდიდა ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას ეკისრა სამი ფუნქცია: დაეკმაყოფილებინა დაზარალებული, ზემოქმედება მოეხდინა ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აეცილებინა პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო დაზარალებულების სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლებოდა, მისი ამ კუთხით შეფასება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მორალური ზიანის არსებობის დადგენის და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმის განსაზღვრასთან მიმართებაში მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის №ზს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმე, კერძოდ, მას 2012 წლის 25 მარტიდან 2013 წლის 18 მარტამდე თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი, რაც არ იყო ჩვეულებრივი და

რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებული იყო გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან, თავის მხრივ, ყოველივე ეს შესაძლოა ასახულიყო დაპატიმრებული პირის ჯანმრთელობაზე, გამოენვია დაავადების წარმოშობა ან უკვე არსებულის გართულება. მართალია, ამა თუ იმ ფორმით თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის იწვევდა დისკომფორტს, მაგრამ დაპატიმრებული დამნაშავედ ცნობილი პირი, გონივრულ ფარგლებში, მაინც ვალდებული იყო ეთმინა ეს, რაც არ ეხებოდა პირს, რომელიც გამართლდა. ის არ იყო ვალდებული, ეთმინა პატიმრობასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატებოდა თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობაში ან შეზღუდვაში.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის უმთავრეს მიზანს არ შეადგენდა ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნდა და შეუძლებელი იყო მისი სრული კომპენსაცია. მორალური ზიანის განსაზღვრისას, ასევე, ვერ იქნებოდა გადამწყვეტი ქმედების კვალიფიკაცია, აქ მთავარი იყო ის ტკივილი, რომელიც ქმედებამ (მოქმედებამ თუ უმოქმედობამ) გამოიწვია მოსარჩელის მიმართ. შედეგების გამოსწორება ძალიან ხშირად შეუქცევადი მოვლენა იყო და როგორც დიდიც არ უნდა ყოფილიყო კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენდა დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანი იყო მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა, მას თითქმის ერთი წლის განმავლობაში თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი იმ ქმედებებისთვის, რომელიც არ ჩაუდენია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შეთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა იყო – 10 000 ლარი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო იყო ლ. ა-ის მოთხოვნა საპყრობილეში ყოფნის პერიოდში მისი ოჯახის მიერ განეული იძულებითი ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში დამატებითი კვების პროდუქტების და პირველადი მოხმარების საგნების იმ თანხით შეძენა, რომელიც მოსარჩელის პირად ანგარიშზე ჩარიცხეს ახლო ნათესავებმა, წარმოადგენდა მოსარჩელის უფლებას და არ იყო დაკავშირებული აუცილებლო-

ბასთან, რადგან „პატიმრობის კოდექსის“ შესაბამისად, ბრალდებული/მსჯავრდებული სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი იყო კვებით, რომელიც შეიცავდა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლო იყო ლ. ა-ის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების თანხის ანაზღაურების შესახებ, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ლ. ა-ის მიერ აღნიშნული თანხის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე არ იყო წარდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ლ. ა-ს პატიმრობაში ყოფნის გამო მიადგა მატერიალური ზიანი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩეულიად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა – საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დგინდებოდა ის გარემოება, რომ ლ. ა-ის მიმართ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება და მის მიმართ გორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ამდენად, მოსარჩელის თავისუფლების შეზღუდვა განხორციელდა კანონის სრული დაცვით, შესაბამისად, ლ. ა-ის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის მარეაბილიტირებელი საფუძვლით დასრულების შემთხვევაშიც კი არ არსებობდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით მორალური ზიანის საკითხის განხილვისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ევრო-სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებაში დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ, საქმეზე ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის და-

უსაბუთებლად გამოყენებისათვის, ევრო-სასამართლომ მომჩივანს მიანიჭა კომპენსაცია 600 ევროს ოდენობით. მომჩივანი პატიმრობაში ერთი წელი იმყოფებოდა. ასევე საინტერესო იყო, საქმე კასრადე საქართველოს წინააღმდეგ, სადაც აღიარებულ იქნა კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლის დარღვევა. კონვენციის მე-6 მუხლი ეხებოდა მსჯავრდებულის მიმართ მიღებულ უკანონო განაჩენს, რის საფუძველზეც მსჯავრებულმა პატიმრობაში 7 წელი გაატარა. ამ საქმეზე მომჩივანისათვის კომპენსაციის სახით შეთავაზებულ იქნა 4 000 ევრო.

ზემოაღნიშნულის გარდა, კასატორმა – საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლზე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მუხლების დეფინიცია ნათელს ხდიდა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე მოპასუხე მხარეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენდა, ვინაიდან, მოთხოვნა მიმართული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ და დავის საგანს – ზიანის ფულადი ანაზღაურება წარმოადგენდა და მოთხოვნა არ იყო დაყენებული კონკრეტული ორგანოს ან პირის მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 6 იანვრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ა-ისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით, ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში; საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის – 10 000 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარი პროკურა-

ტურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. 59-ე მუხლის თანახმად დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 02 ივნისის განაჩენით ლ. ა-ისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 8 თვის ვადით და საბოლოოდ, ლ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის და 8 თვის ვადით.

ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 მარტის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით, ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუმეგბლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის – 10000 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მხოლოდ მორალური ზიანის – 10 000 ლარის საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის დაკისრების კანონიერების შეფასება წარმო-

ადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებული არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებული არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პირისათვის შეუქმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თა-

ნახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანაზღაურებასთან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოჩაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების

რების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებს მის ერთ წლიან უკანონო მსჯავრდებას/პატიმრობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2009წ. ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-972-936(3კ-08) ჩამოყალიბებულ განმარტებას შემდეგზე, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. „სამოქალაქო კოდექსის 413-ე მიუხედავად მიუთითებს მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის

მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის უკანონოდ დაკავება და პატიმრობა წარმოადგენს მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადაწყდეს. შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ

სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის – საქართველოს მთავარი პროკურატურის მოსაზრებას, ევრო-სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში განსაზღვრული არამატერიალური ზიანის (Non-Pecuniary Damage) თანხის ოდენობასთან მიმართებაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევრო-სასამართლოს პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი და ევრო-სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Patsuria v. Georgia; Nikolaiashvili v. Georgia; Jashi v. Georgia).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად განსაზღვრული თანხის ოდენობა მაღალია. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოსარჩელის უკანონო პატიმრობას მისი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, კერძოდ, რაიმე დაავადების წარმოშობა ან უკვე არსებულის გართულება არ გამოუწვევია.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმეს, კერძოდ, მას 2012 წლის 25 მარტიდან 2013 წლის 18 მარტამდე თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი, რაც არ არის ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებული არის გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან. მოსარჩელე არ იყო ვალდებული, ეთმინა პატიმრობასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატებოდა თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობაში ან შეზღუდვაში. ამდენად, საკასაციო სასამართლო ევრო-სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ განსახილველ შეთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა – 7500 ლარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ლ. ა-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. ა-ის სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით – 7500 ლარის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. დაშვებულ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით – 7500 ლარის ანაზღაურება დაეკისროს;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უკანონო კატიმრობის გამომორაღმურის ზიანის ანაზღაურება

განჩინება

№ბს-656-631(2კ-13)

10 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 22 იანვარს ნ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ახალციხის რაიონული პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 12 დეკემბრის ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენით ნ. მ-ი გამართლებული იქნა მისდამი წარდგენილ ბრალდებაში, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, მესამე ნაწილის „გ“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა. ნ. მ-ის მიმართ წინასწარ გამოძიებაში შერჩეული აღკვეთი ღონისძიება გირაო გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით თ. მ-ის საცხოვრებელ სახლს და მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობდა ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, ... ქუჩა №...-ში. ნ. მ-ს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა მოეთხოვა მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი რედაქცია) 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ და დაზარალებულმა ნა. მ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კ. ლ-მა მოხსნა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა მისი განუხილველად დატოვება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით დაზარალებულ ნა.

მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ქ. ქუთაისში (...) ტრასაზე მისი მეუღლის თ. მ-ის მიერ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად იგი ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანებით მიყვანილი იქნა ქ. ქუთაისის სამხარეო კლინიკურ სავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა მკურნალობა.

მოსარჩელის განმარტებით, ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენით მას მიენიჭა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაც უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით. ავტოკატასტროფის შედეგად ნ. მ-მა მიიღო ტრავმული შოკი, ასევე გართულდა მისი შემდგომი ფსიქიკური მდგომარეობა. ავტოკატასტროფის შედეგად დაშავდა ნ. მ-ის მეუღლე თ. მ-ი და შვილი ნი. მ-ი. თ. მ-ის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა დაიტვირთა გირავნობით; მოხდა თ. მ-ის მიერ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება, ასევე იპოთეკით დაიტვირთა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ამდენად, მოსარჩელემ მიიღო როგორც მორალური, ისე მატერიალური ზიანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მატერიალური და მორალური ზიანის სახით 165000 ლარის, ასევე ნ. მ-ის მიერ ფსიქო-დიაგნოსტიკისა და ფსიქო-კორექციის ცენტრში გაწეული მომსახურების ხარჯების – 2000 აშშ დოლარის ექვივალენტი 3300 ლარისა და მკურნალობის ხარჯების – 3000 ლარის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 მარტის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა სარჩელის ხანდაზმულობის გამო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 აპ-

რილის გადანყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება; ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ახალციხის რაიონულ პროკურატურას ნ. მ-ის სასარგელოდ მორალური ზიანის სახით – 3000 (სამი ათასი) ლარის გადახდა დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის გადანყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2008 წლის 12 დეკემბრის ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენით ნ. მ-ი გამართლებული იქნა მისდამი წარდგენილ ბრალდებაში, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, მესამე ნაწილის „გ“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა. ნ. მ-ის მიმართ წინასწარ გამოძიებაში შერჩეული აღკვეთი ღონისძიება გირაო გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით თ. მ-ის საცხოვრებელ სახლს და მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობდა ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, ... ქუჩა ...-ში. ნ. მ-ს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა მოეთხოვა მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი რედაქცია) 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ და დაზარალებულმა ნ. მ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კ. ლ-მა მოხსნა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა მისი განუხილველად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით დაზარალებულ ნ. მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, ის გარემოება, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ქ. ქუთაისის სამხარეო კლინიკურ სავადმყოფოში ქ. ქუთაისში (...) ტრასაზე ნ. მ-ის მეუღლის თ. მ-ის მიერ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყვანილ იქნა ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანებით ნ. მ-ი, თვით თ. მ-ი და ქალიშვილი ნი. მ-ი, რომელთაც ჩაუტარ-

დათ მკურნალობა.

ამასთან, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის წევრილის თანახმად, ახალციხის რაიონულ სასამართლოში ნ. მ-ის მიერ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს წარედგინა, ხოლო 2011 წლის 14 დეკემბრის სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ საოქმო განჩინება ნ. მ-ის სარჩელის გამო მოპასუხე ნა. მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენით მიყენებული (მორალური და მატერიალური) ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში 2012 წლის 12 იანვარს შევიდა.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებული იყო.

ამასთან, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილი იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. კერძოდ, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით იყო გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს მატერიალური და მორალური ზიანის – 165 000 ლარის ანაზღაურება წარმოადგენდა. აქედან მორალური ზიანის სახით, აპელანტმა (მოსარჩელემ) 30 000 აშშ დოლარის

ექვივალენტის ლარებში ანაზღაურება მოითხოვა. აპელანტი ასევე ითხოვდა ფსიქო-დიაგნოსტიკის ცენტრში განეული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას 3 300 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ თავდაპირველად აღნიშნა, რომ ახალციხის რაიონულმა სასამართლომ არასწორად აითვალა სარჩელის ხანდაზმულობის ვადა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხანდაზმულობის ვადა იყო ვადა, რომლის განმავლობაშიც პირი, რომლის უფლებაც დაირღვა შეეძლო მოეთხოვა თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობდა უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ეფარდებოდა იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება კი წარმოიშვებოდა იმ დღიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი ადგენდა ხანდაზმულობის საერთო ვადებს, კერძოდ, დასახელებული მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. განსახილველ შემთხვევაში კი ვინაიდან სახეზე იყო დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობები, სააპელაციო სასამართლომ, ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებაში მიუთითა 1008-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავდა იმ მომენტს, თუ საიდან უნდა ათვლილიყო ხანდაზმულობის ვადის დენის სამწლიანი ვადა, როდესაც პირი დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრავდა სარჩელს. კერძოდ, აღნიშნულის ათვლის საწყის ეტაპს წარმოადგენდა ის მომენტი, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის შესახებ და/ან როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით დადგენილი იყო ის გარემოება, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენით ნ. მ-ი გამართლებული იქნა წარდგე-

ნილ ბრალდებაში, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, მესამე ნაწილის „გ“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და შეწყდა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა. ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ და დაზარალებულმა ნა. მ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ახალციხის რაიონული პროკურატურის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით დაზარალებულ ნა. მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი და განაჩენი გამოცხადებისთანავე შევიდა კანონიერ ძალაში. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ნ. მ-ის ზიანის ანაზღაურებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა სწორედ ამ პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო.

საქმის მასალებით ასევე დადგენილი იყო, რომ ნ. მ-მა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ახალციხის რაიონულ სასამართლოში სარჩელი 2011 წლის 12 აგვისტოს წარადგინა. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 14 დეკემბრის საოქმო განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული ნ. მ-ის სარჩელი. აღნიშნული საოქმო განჩინება კანონიერ ძალაში 2012 წლის 12 იანვარს შევიდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანდა სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ან/და შეეცდებოდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორც იყო სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ან/და აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. ამავ კოდექსის 139-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდებოდა მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევიდოდა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდებოდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნ. მ-ის ზიანის ანაზღაურებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა, რომელიც 2010 წლის 13 იანვრიდან დაიწყო, შეწყდა 2011 წლის 12 აგვისტოს, ნ. მ-ის მიერ ახალციხის რაიონულ სასამარ-

თლოში სარჩელის შეტანით და გაგრძელდა 2012 წლის 12 იანვრიდან (ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 14 დეკემბრის საოქმო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი). საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოცემულ დავაზე სარჩელი, ახალციხის რაიონულ სასამართლოში, ნ. მ-მა 2013 წლის 22 იანვარს აღძრა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა ახალციხის რაიონული სასამართლოს დასკვნას სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და მიიჩნია, რომ ნ. მ-ს სარჩელი სასამართლოში აღძრული ჰქონდა კანონით დადგენილ ხანდაზმულობის სამწლიან ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისი იყო დადგენილიყო ქმედების უკანონობა და სახეზე ყოფილიყო პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ანიჭებდნენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავდნენ მარეაბილიტირებელი გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან, გამამართლებელი განაჩენი ადგენდა პირის უდანაშაულობას, რაც იწვევდა მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. რაც შეეხებოდა, ზემოაღნიშნული მუხლის მეორე კომპონენტს, ქმედების უკანონობას, სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში არ უნდა განხორციელებულიყო კანონის აღნიშნული მოთხოვნის იმგვარად ინტერპრეტაცია, რომ ქმედების უკანონობა შეფასებულიყო მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევით, ვინაიდან, ნორმა არ შეიძლება განმარტებულიყო ისე, რომ გამართლებულს არ მისცემოდა უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში იყო საფუძვლიანი და უნდა დაკმა-

ყოფილებულიყო, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ვერ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ზიანის ოდენობასთან მიმართებაში და განმარტა, რომ არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნდა. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისი იყო არსებულიყო არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავდა სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობდა ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავდა სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილი იყო სარჩელში მიეთითებინა ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვდა მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებას წარმოადგენდა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყვეტილიყო. მორალური ზიანი გულისხმობდა ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდიდა ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიედგინოს დაზარალებულების სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლებოდა, მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა დადგენილიყო მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმ გარემოებაზე, რომ ახალციხის რაიონული პროკურატურის სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიერ კანონის დარღვევით ჩატარებულმა საგამოძიებო მოქმედებებმა და უკანონო ბრალდებამ გამოიწვია მისი ჯანმრთელობის დაზიანება, რაც გამოიხატა ფსიქიკურ დაავადებასა და შემდგომ ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებაში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ფსიქო – დიაგნოსტიკური ფსი-

ქო – კორექციის ცენტრის 2008 წლის 5 მარტის დასკვნაზე, რომლის თანახმად, ნ. მ-ი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით: თავის ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციით გამოწვეული პიროვნული და ქცევითი აშლილობით. მითითებული დასკვნითვე ირკვეოდა, რომ ნ. მ-ი არა ერთხელ იყო კონსულტირებული ექიმ-ფსიქიატრების მიერ და მისი მდგომარეობა შეფასებული იყო როგორც „გახანგრძლივებული ნევროზული მდგომარეობა, ასტენო-დეპრესიული სინდრომი“. ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მისი ფსიქიკური დაავადება გამოწვეული იქნა სწორედ უკანონო ბრალდებით, ვინაიდან, სწორედ აპელანტის მიერ მითითებული ფსიქო – დიაგნოსტიკური ცენტრის დასკვნით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების ეტაპზე, ნ. მ-ი უკვე დაავადებული იყო ფსიქიკური დაავადებით, ხოლო საქმის მასალებში არ იყო წარდგენილი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა უკანონო მსჯავრდების შედეგად ნ. მ-ის მიერ განცდილი ნეგატიური განცდები და სტრესი. კომპენსაციის მიზანი იყო მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარებოდა დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შეთხვევაში ნ. მ-ისათვის, უკანონო მსჯავრდების შედეგად, მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა იყო 3 000 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ მის მიერ წარდგენილ იქნა საკმარისი მტკიცებულებები უკანონო მსჯავრდების გამო, მატერიალური ზიანის დადგომის ფაქტზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტის მიერ წარდგენილი არცერთი მტკიცებულებით (არც ერთი ხელშეკრულებით) არ დასტურდებოდა, რომ ნ. მ-ის მეუღლის მიერ შესაბამისი ხელშეკრულებების დადება და მის მიერ სესხების აღება, გამოწვეული იყო ნ. მ-ის უკანონო მსჯავრდების გამო დამდგარი შედეგით. შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა მატერიალური ზიანის არსებობის ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში, ასევე არ დასტურდებოდა 2007 წლის 6 სექტემბერს, ქ. ქუთაისში (...) ტრასაზე, ნ. მ-ის მეუღლის თ. მ-ის მიერ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ნ. მ-ის მიერ განეული მკურნალობის ხარჯების

ასანაზღაურებლად კანონისმიერი წინაპირობები, ვინაიდან, აუცილებელი იყო კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა, რაც საქმის მასალებით ასევე არ დასტურდებოდა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეაბილიტირებული პირისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად, თუმცა სახეზე უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე მუხლებით გათვალისწინებული იურიდიული შემადგენლობა. განსახილველ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ არ არსებობდა ზემოთ მითითებული მუხლების შესაბამისად, მატერიალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, მორალური ზიანის საკითხის განხილვისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ევრო-სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებაში დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ, საქმეზე ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის დაუსაბუთებლად გამოყენებისათვის, ევრო-სასამართლომ მომჩივანს მიანიჭა კომპენსაცია 600 ევროს ოდენობით. მომჩივანი პატიმრობაში ერთი წელი იმყოფებოდა. ასევე საინტერესო იყო, საქმე კასრატე საქართველოს წინააღმდეგ, სადაც აღიარებულ იქნა კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლის დარღვევა. კონვენციის მე-6 მუხლი ეხებოდა მსჯავრდებულის მიმართ მიღებულ უკანონო განაჩენს, რის საფუძველზეც მსჯავრდებულმა პატიმრობაში 7 წელი გაატარა. ამ საქმეზე მომჩივანისათვის კომპენსაციის სახით შეთავაზებულ იქნა – 4 000 ევრო.

ზემოაღნიშნულის გარდა, კასატორმა მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლზე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მუხლების დეფინიცია ნათელს ხდიდა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული

კატეგორიის საქმეებზე მოპასუხე მხარეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენდა, რადგან მოთხოვნა მიმართული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ და დავის საგანს – ზიანის ფულადი ანაზღაურება წარმოადგენდა და იგი მიმართული არ იყო კონკრეტული ორგანოს ან პირის მიმართ.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით ნ. მ-ის სარჩელი იყო ხანდაზმული, რადგან 2011 წლის 12 აგვისტოს სარჩელი წარდგენილ იქნა არა პროკურატურის, არამედ ნა. მ-ის მიმართ, რაც შემდგომ განუხილველად იქნა დატოვებული. ნ. მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი 2008 წლის 12 დეკემბერს დადგა, რაც ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით, ამდენად, ნ. მ-ისათვის უკვე ცნობილი იყო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისა და ასევე ამ უფლებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ, თუმცა მან ეს უფლება არ გამოიყენა და მოპასუხე მხარედ სხვა ფიზიკური პირი მიუთითა, პროკურატურის მიმართ კი სარჩელი 2013 წლის 22 იანვარს ანუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღძრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 6 იანვრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. მ-ისა და ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში; ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის – 3000 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ უნ-

და დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2008 წლის 12 დეკემბრის ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენით ნ. მ-ი გამართლებული იქნა მისდამი წარდგენილ ბრალდებაში, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, მესამე ნაწილის „გ“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეუწყებებით, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა. ნ. მ-ის მიმართ წინასწარ გამოძიებაში შერჩეული აღკვეთი ღონისძიება გირაო გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით თ. მ-ის საცხოვრებელ სახლს და მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობდა ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, ... ქუჩა №...-ში. ნ. მ-ს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა მოეთხოვა მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი რედაქცია) 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ და დაზარალებულმა ნა. მ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კ. ლ-მა მოხსნა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა მისი განუხილველად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 იანვრის განაჩენით დაზარალებულ ნა. მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განაჩენი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის წერილის თანახმად, ახალციხის რაიონულ სასამართლოში ნ. მ-ის მიერ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი სასამართლოს 2011 წლის 12 აგვისტოს წარედგინა, ხოლო 2011 წლის 14 დეკემბრის სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ საოქმო განჩინება ნ. მ-ის სარჩელის გამო მოპასუხე ნა. მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენით მიყენებული (მორალური და მატერიალური) ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში 2012 წლის 12 იანვარს შევიდა.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 იანვრის განჩინებით ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელ-

ლად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის – 3000 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მხოლოდ მორალური ზიანის – 3 000 ლარის ახალციხის რაიონული პროკურატურისათვის დაკისრების კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებული არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებული არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირისათვის შექმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღო-

ნისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ

დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებს მის უკანონო ბრალდებას და აღნიშნული ბრალდებიდან გამომდინარე, მისი ფსიქიკური მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2009წ. ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-972-936(3კ-08) ჩამოყალიბებულ განმარტებას, შემდეგზე, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. „სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მი-

თითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის უკანონო ბრალდება წარმოადგენს მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მონ-

ყდეს რეალობას. მართალია მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედვლებით უნდა გადაწყდეს. შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის – ახალციხის რაიონული პროკურატურის მოსაზრებას, ევრო-სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში განსაზღვრული არამატერიალური ზიანის (Non-Pecuniary Damage) თანხის ოდენობასთან მიმართებაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევრო-სასამართლოს პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი და ევრო-სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა ნ. მ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა – 3000 ლარი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნ. მ-ის ფსიქიკური აშლილობა ამ ბრალდების შედეგად არ იყო გამოწვეული. საქმეში წარმოდგენილი ფსიქო – დიაგნოსტიკური ფსიქო – კორექციის ცენტრის 2008 წლის 5 მარტის დასკვნის თანახმად, ნ. მ-ი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით: თავის ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციით გამოწვეული პიროვნული და ქცევითი აშლილობით. მითითებული დასკვნითვე ირკვევა, რომ ნ. მ-ი არაერთხელ იყო კონსულტირებული ექიმ-

ფსიქიატრების მიერ და მისი მდგომარეობა შეფასებული იყო როგორც „გახანგრძლივებული ნევროზული მდგომარეობა, ას-
თენო-დეპრესიული სინდრომი“. ამდენად, სასამართლო არ იზი-
არებს მოსარჩელის მოსაზრებას, რომ მისი ფსიქიკური დაავა-
დება გამონვეული იქნა სწორედ უკანონო ბრალდებით, ვინაი-
დან, სწორედ მის მიერ მითითებული ფსიქო – დიაგნოსტიკური
ცენტრის დასკვნით დასტურდება ის გარემოება, რომ სისხლის
სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების ეტაპზე, ნ. მ-ი უკ-
ვე დაავადებული იყო ფსიქიკური დაავადებით. თუმცა, საკასა-
ციო სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის მიმართ განხორ-
ციელებული იძულების ფორმის სიმძიმეს, კერძოდ, მის უკანო-
ნო ბრალდებას, რის გამოც მოსარჩელემ მიიღო ნეგატიური გან-
ცდები და სტრესი. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ
მისი უკვე მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა აღნიშნული ფაქტის
შემდგომ კიდევ უფრო მეტად დამძიმდა, შესაბამისად, საკასა-
ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მი-
ყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული
თანხა – 3000 ლარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო
სასამართლო მიიჩნევს, რომ ახალციხის რაიონული პროკურა-
ტურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და დაშ-
ვებულ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გა-
დანყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით,
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ახალციხის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩი-
ვარი არ დაკმაყოფილდეს;
2. დაშვებულ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპე-
ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013
წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-
ჩივრდება.

**პატიმრობაში მყოფი პირის მიმონერის
თავისუფლების დარღვევის გამო მორალური ზიანის
ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-661-646(2კ-14)

15 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

04.07.13 წ. ზ. ი-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და მესამე პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით 4 000 ევროს ექვივალენტი ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი და პატიმრობის კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, ვინაიდან მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ მოპასუხემ გახსნა და წაიკითხა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან მისთვის, პატიმრისათვის გაგზავნილი კორესპონდენცია. აღნიშნული დასტურდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წერილზე არსებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტამპით, რადგან დალუქული კონვერტის შიგნით მოთავსებულ ევროპული სასამართლოს განმწესრიგებლის 26.04.13წ. წერილზე მოპასუხის მიერ შტამპის დასმა კონვერტის გახსნის გარეშე შეუძლებელი იყო.

მოსარჩელემ აღნიშნა აგრეთვე, რომ არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ვერ ისარგებლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ც“ ქვეპუნქტე-

ბით დაცული უფლებით, კერძოდ, სასამართლოში დაცვის მოსამზადებლად და განსახორციელებლად შესაბამისი საშუალებების ქონის უფლებით, ევროსასამართლოს გამწესრიგებლის 26.04.13წ. წერილში მითითებული კომპიუტერული 12-იანი შრიფტით საჩივრის ფორმის შედგენისთვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის უფლებით, ასევე საჩივარზე დასართავი მტკიცებულებების ასლების დამზადებისათვის საჭირო ქსეროქსის აპარატით სარგებლობისა და ფლობის უფლებით, რამაც განაპირობა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი საჩივრისა და მასზე დართული მტკიცებულებების ასლების მე-16 დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ გადაღების აუცილებლობა. აღნიშნულმა თავის მხრივ, ციხის ადმინისტრაციასა და მოპასუხეს მისცა შესაძლებლობა წინასწარ გაცნობოდნენ ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი საჩივარსა და მტკიცებულებებს, რითაც დაირღვა ევროკონვენციის მე-8 მუხლი. ამასთანავე, ევროსასამართლოში გასაგზავნი საჩივრის მოპასუხე იყო სახელმწიფო, შესაბამისად გზავნილის კონფიდენციალობის დაცვა მოსარჩელის კანონიერ ინტერესს წარმოადგენდა. მოსარჩელემ აგრეთვე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე „კარალევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ“ და აღნიშნა, რომ მსგავს შემთხვევებში ევროსასამართლოს პრაქტიკით დადგენილია ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.02.2014 წ. გადაწყვეტილებით ზ. ი-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ზ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა 300 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ზ. ი-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოდან ზ. ი-ს, რომელიც სასჯელს იხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, 26.04.2013წ. გაეგზავნა სასამართლოს გამწესრიგებლის წერილი, რომელიც შეიცავდა სათანადო ფორმისა და პროცედურების დაცვით საჩივრის შედგენისა და ევროსასამართლოში გაგზავნასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. აღნიშნულ წერილზე მოთავსებული იყო საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტამპი, მასზე არსებული თარიღის და კანცელარიაში რეგისტრაციის ნომრის (№10/53520) მითითებით. ამასთან,

მოსარჩელის მოთხოვნა კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის თაობაზე სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული, მოსარჩელემ კორესპონდენციის გამრავლების მიზნით ციხის ადმინისტრაციას მიმართა დახმარებისთვის.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 992-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც არის ზიანის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების უშუალო შედეგი. ამასთან, ზიანის მიმყენებელი ქმედება უნდა გამომდინარეობდეს პირის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებიდან. განსახილველ შემთხვევაში სარჩელი ეფუძნება მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტს, რაც გამომწვეულია სასჯელალსრულების დეპარტამენტის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და გამოიხატა ციხის ადმინისტრაციის მიერ მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლი ადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენციის შემონმების შესაძლებლობას, რაც გულისხმობს ვიზუალურ დათვალიერებას შინაარსის გაცნობის გარეშე, თუმცა დასაბუთებული ვარაუდისას, თუ საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებს და თავისუფლებებს, ადმინისტრაცია უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება გამგზავნს. ამასთან, დახურული კონვერტით მიღებული კორესპონდენცია უნდა გაიხსნას ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანდასწრებით. სასამართლომ მიუთითა პატიმრობის კოდექსის 16-ე მუხლის მე-6 ნაწილზე და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან გამოგზავნილი კორესპონდენციის გახსნით, რასაც ადასტურებს წერილზე არსებული შტამპი, ციხის ადმინისტრაციამ ხელყო მოსარჩელის მიმონერის თავისუფლება, მიუხედავად იმისა გაეცნო თუ არა ადმინისტრაცია წერილის შინაარსს.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ მიმომწერის პატივისცემის უფლებაზე და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აღიარებს პატიმრების მიმონერაზე კონტროლის ზოგიერთი ღონისძიების დასაშვებობას, თუმცა უთითებს, რომ ჩარევა არ უნდა სცდებო-

დეს დასახული კანონიერი მიზნის ფარგლებს. სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მითითება იმაზე, რომ ციხის ადმინისტრაციის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით პატიმრის მიმონერის პატივისცემის უფლების დარღვევით და პირად ცხოვრებაში ჩარევით ხელყოფილ იქნა მისი პირადი არაქონებრივი უფლებები. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე და მე-18 მუხლების საფუძველზე მიიჩნია, რომ სახეზეა დელიქტი, რომელსაც მოჰყვა ისეთი მორალური ზიანი, რომლის დადგომის შემთხვევაში კანონმდებელი ითვალისწინებს მისი ანაზღაურების შესაძლებლობას. მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებულია არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობისთვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლებების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ დამდგარი მორალური ზიანის კომპენსაციისთვის დარღვევის ფაქტის კონსტატაციასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი, დაზარალებულის განცდების სიღრმე. სასამართლომ გაითვალისწინა აგრეთვე ის გარემოება, რომ მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის უფლებების ხელყოფას არ მოჰყოლია რაიმე მატერიალური ზიანი და აღნიშნა, რომ მიყენებულ მორალურ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ნეგატიური განცდების შემსუბუქება და დადებითი ემოციების გამოწვევა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს ზ. ი-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება დოკუმენტაციის ასლების გადასაღებად ადმინისტრაციისათვის გადაცემის გამო მისი მიმონერის უფლების დარღვევის შესახებ და მიუთითა, რომ პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ციხის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ბრალდებულს/მსჯავრდებულს საწერი საშუალებებითა და ქალაქით, მოსარჩელისათვის კომპიუტერული ტექნიკის გადაცემა არ წარმოადგენს ციხის ადმინისტრაციისათვის კანონით

დაკისრებულ ვალდებულებას, შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში არ არის საფუძვლიანი.

საქალაქო სასამართლომ დაადასტურა მოსარჩელის უფლება ადვოკატთან შეუზღუდავად შეხვედრისა და სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფის შესახებ, თუმცა არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება მისთვის დაცვის უფლების შეზღუდვის თაობაზე და აღნიშნა, რომ წარმომადგენელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსარჩელესთან შეხვედრაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ იგი არ იყო საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რამდენადაც ზ. ი-ის წარმომადგენლის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვერ წარადგინა საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის თანახმად მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება არ ქმნის საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საკმარის საფუძველს, აუცილებელია, აგრეთვე, რომ პირი იყოს ამ უფლებამოსილების მატარებელი სპეციალური სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მოთხოვნებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.02.2014 წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ი-მა და საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014წ. განჩინებით საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და ზ. ი-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.02.2014წ. გადაწყვეტილება, ზ. ი-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა. სააპელაციო პალატამ სსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სასამართლომ მიუთითა, რომ დაკისრებული კომპენსაცია ატარებს მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს და სასამართლოს მიერ განიხილება როგორც ხელყოფის მსგავსი ფაქტების გამოორიციხვის ერთგვარი პრევენცია. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული თანხის ოდენობა სრულად პასუხობს კომპენსაციის მიზანს. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით

გასაჩივრდა სასჯელალსრულების დეპარტამენტისა და ზ. ი-ის მიერ.

კასატორმა საქართველოს სასჯელალსრულების დეპარტამენტმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლსა და პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლზე, რადგან მე-16 მუხლის სუბიექტი არის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაცია და არა სასჯელალსრულების დეპარტამენტი. ამასთანავე, ადმინისტრაციას ეკრძალება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე და არა დეპარტამენტის სახელზე შემოსული კორესპონდენციის შემომწება. განსახილველ შემთხვევაში წერილი გამოგზავნილი იყო სასჯელალსრულების დეპარტამენტის მისამართზე და მისი ადრესატი იყო სასჯელალსრულების დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, შესაბამისად დეპარტამენტი ვალდებული იყო გაეხსნა წერილი და დაესვა მასზე შტამპი. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული სასამართლოს მსჯელობა ციხის ადმინისტრაციის მიერ მსჯავრდებულის მიმონერის უფლების ხელყოფაზე. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ზ. ი-ისთვის წერილის გადაცემის შესახებ, ის გადაეცა მსჯავრდებულს დადგენილი წესების სრული დაცვით.

კასატორი ზ. ი-ი მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014წ. განჩინების გაუქმებას და საქმის გარემოებათა ხელახლა გამოსაკვლევად საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნებას, ასევე სააპელაციო პალატის წინმსწრები 28.03.2014წ. (ხარვეზის დადგენის შესახებ), 30.05.2014წ. (სასამართლოს შემადგენლობის აცილებისა და წარმომადგენლის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ) განჩინებების, თბილისის საქალაქო სასამართლოს 12.02.2014წ. გადაწყვეტილებისა და 13.11.2013წ. განჩინებების გაუქმებას. კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლობმა სსკ-ის 47-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნათა დარღვევით, მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იგნორირებით და პატიმრობის კოდექსით დადგენილი შეზღუდვებისა და აკრძალვების გაუთვალისწინებლად განიხილეს ბაჟისგან გათავისუფლების საკითხი. კასატორი თვლის, რომ მას არ უნდა დაკისრებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. კასატორმა მტკიცებულებების ჯეროვანი გამოკვლევისთვის მოითხოვა საქმის სააპელაციო სასამართლოსთვის დაბრუნება, რადგან სააპელაციო სასამართლომ

მხედველობაში არ მიიღო საქმეში დაცული მტკიცებულებები. კასატორი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას „კარალევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ“ და აღნიშნავს რომ მისთვის მიყენებული ზიანის სანაცვლოდ 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება არ არის სამართლიანი კომპენსაცია და ზიანის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად 1000 ევროს ოდენობით. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა არ გამოიყენეს პატომრობის კოდექსის მე-18 მუხლის ის რედაქცია, რომლის თანახმად, კასატორი უფლებამოსილი იყო შეხვედროდა მის წარმომადგენელს, რომელთანაც ნოტარიულად ჰქონდა დამონმებული მინდობილობა. კასატორის განმარტებით, მას არ მიეცა საშუალება რომ შეესრულებინა ევროპული სასამართლოს გამწესრიგებლის მომართვა და კომპიუტერის გამოყენებით შეეცხო საჩივარი, რომელიც უნდა გაეგზავნა ევროპულ სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ფორმაში ბეჭდური სახით შევსებული საჩივრის წარდგენა აუცილებელი მოთხოვნა იყო ევროპული სასამართლოს გამწესრიგებლის მხრიდან. კასატორი თვლის, რომ აღნიშნულის შედეგად დაირღვა ევროკონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, რის გამოც სასჯელდღსრულების დეპარტამენტს ზ. ი-ის სასარგებლოდ დამატებით უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება – 3 000 ევროს ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.2014წ. განჩინებით ზ. ი-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014წ. (სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ), 28.03.2014წ. (სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ) და 30.05.2014წ. (სასამართლოს შემადგენლობის აცილებისა და წარმომადგენლის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ) განჩინებების ნაწილში. ამავე თარიღის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული ზ. ი-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 12.02.2014წ. გადაწყვეტილების და 13.11.2013წ. განჩინებების გასაჩივრების ნაწილში.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებუ-

ლი განჩინების კანონიერების შემონახვის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზ. ი-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ სასჯელალსრულების დეპარტამენტში გაიხსნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან ზ. ი-ის სახელზე გამოგზავნილი კორესპონდენცია, რასაც ადასტურებს წერილზე არსებული სასჯელალსრულების დეპარტამენტის შტამში, მასზე თარიღისა და ნომრის მითითებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიმონერის ხელშეუხებლობა სხვათა მხრიდან კონტროლისაგან თავისუფალი კომუნიკაციის უფლებაა. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია კომუნიკაციის მონაწილე ყველა პარტნიორი, როგორც გარე, ასევე შიდა ჩარევისაგან. სახელმწიფოს მიერ უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პირის პატიმრობის შემთხვევაშიც. სასამართლო განაჩენის საფუძველზე პირისათვის თავისუფლების აღკვეთა არ ართმევს პირს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გაწარმოებულ უფლებებს, თუმცა პატიმრებთან მიმართებით შესაძლოა განხორციელდეს ლეგიტიმური მიზნითა და კანონით დადგენილი საფუძველებით აღნიშნული უფლებების შეზღუდვა. თავისუფლებადკვეთილი პირის გარე სამყაროსთან კავშირის შენარჩუნებისა და საკუთარი უფლებების ქმედითი რეალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა კორესპონდენცია. პირის, მათ შორის პატიმრის, მიმონერის უფლება ექცევა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში, თუმცა ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულია უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის შესაძლებლობა. ცენზურის არსებობა პატიმართა კორესპონდენციებზე დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამასთანავე, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს პატიმართან მიმართებაში უფრო ფართო ჩარევის განხორციელება, ვიდრე თავისუფლებაში მყოფი პირის შემთხვევაში (21.02.1975 წ., №4451/70 გადაწყვეტილება „გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, *Golder v. the United Kingdom*, §45), თუმცა მიმონერის კონტროლის სისტემა თავის მხრივ უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს (25.03.1983წ. გადაწყვეტილება „სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, *Silver and others v.*

the United Kingdom, §90, 98). ევროსასამართლოს პრაქტიკის თანახმად, უფლების შეზღუდვა დაშვებული უნდა იყოს კანონით, უფლებაში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს, გამოყენებული საშუალება უნდა იყოს მისალწვევი მიზნის პროპორციული, შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში (25.03.1983 წ. გადაწყვეტილება „სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, *Silver and others v. the United Kingdom*, 25.03.1983წ., §84). კონტროლის განხორციელება კონფიდენციალურ კორესპონდენციაზე სათანადოდ უნდა დასაბუთდეს (იხ. ევროსასამართლოს 24.07.2001წ. №44558/98 გადაწყვეტილება საქმეზე „ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ“, *Valasinas v. Lithuania*, §128). კანონით დადგენილი წესის დარღვევით უფლებაში ჩარევა განიხილება საკმარის ფაქტორად კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის დასადგენად (28.09.2000წ., №25498/94 გადაწყვეტილება საქმეზე „მესინა იტალიის წინააღმდეგ“, *Messina v. Italy* (№2), §83, აგრეთვე დიდი პალატის 01.03.2000წ. №26772/95 გადაწყვეტილება საქმეზე „ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ“, *Labita v. Italy*, §176,179,184). კანონთან შესაბამისობის შემოწმებისას მოწმდება არა მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცულობა, არამედ აგრეთვე ეროვნული კანონმდებლობის ხარისხი, მისი შესაბამისობა ევროკონვენციასთან (16.02.2000წ., №27798/95 გადაწყვეტილება საქმეზე „ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ“, *Amann v. Switzerland*, §56).

თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმოწერის უფლებასთან დაკავშირებით ევროსასამართლოს მიერ დადგენილი მიდგომების თანმხვედრ მოწესრიგებას ვხვდებით ეროვნულ კანონმდებლობაში. პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები ამ კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების თანახმად დახურული კონვერტით მიღებული კორესპონდენცია უნდა გაიხსნას ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანდასწრებით. აღნიშნული კორესპონდენცია ექვემდებარება ვიზუალურ დათვალიერებას, შინაარსის გაცნობის გარეშე, ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს ეკრძალება ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენციის შეჩერება ან/და შემოწმება, რომლის ადრესატი ან აბონენტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევ-

როპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, დამცველი, პროკურორი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოდან პატიმრის სახელზე გამოგზავნილი წერილების შინაარსის გაცნობა, იმისდამიუხედავად არის თუ არა დაშვებული ცენზურა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, არ მიიჩნევა „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ვინაიდან არ დგინდება რაიმე საფუძვლიანი არგუმენტი ჩარევის სასამართლებლად (07.04.2005წ. №53254/99 გადაწყვეტილება საქმეზე „კარალევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ“, Karalevicius v. Lithuania, §60). 2015 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი (ზ. ი-ის სახელზე გაგზავნილი კორესპონდენცია გაიხსნა 15.05.2013წ.) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 30.05.2011წ. №97 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების“ 38-ე მუხლის 26-ე პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის ეკრძალება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს სახელზე გაგზავნილი მსჯავრდებულის განცხადების, მოთხოვნის და საჩივრის შეჩერება ან შეწყობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ კორესპონდენციის გახსნა და წაკითხვა არ იყო „დაშვებული კანონით“, ვინაიდან ევროპული სასამართლოდან გამოგზავნილი წერილების გახსნას ერთმნიშვნელოვნად კრძალავს პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლი. კანონმდებლობით არ არის დადგენილი რაიმე გამონაკლისი, მიზანი ან სამართლებრივი სიკეთე, რომლის დასაცავად შესაძლოა გახსნასა და შემოწმებას დაექვემდებაროს თავისუფლებალკვეთილი პირის სახელზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან გამოგზავნილი წერილი. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის გარანტირებულ უფლებაზე მაღლა დგას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პატიმრის ევროსასამართლოსთან მიმონერის კონფიდენციალობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის შეიძლება შეიცავდეს სახელმწიფო ორგანოთა ან პენიტენციური სისტემის მოხელეთა მაკომ-

პრომიტირებელ მონაცემებს. შესაბამისად, შესაძლოა კორეს-პონდენციაში ასახული ინფორმაციის დაცვის ინტერესი პატი-მარს უპირველესად სწორედ სახელმწიფო ორგანოთა მიმართ ჰქონდეს. ამდენად, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში უფ-ლებით დაცულ სფეროში ჩარევა არ არის „კანონით დაშვებუ-ლი“, საკასაციო სასამართლო საჭიროდ აღარ თვლის იმსჯელოს სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ ადამიანის უფლე-ბათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში განხორციელებული ჩარევის კანონიერ მიზანსა და ქმედების პროპორციულობაზე, მით უფრო, რომ ჩარევის გამამართლე-ბელ საფუძვლებზე არც მოპასუხე უთითებს. საკასაციო პალა-ტა აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებას შეადგენს არა მარტო პირადი მიმოწერის უფლებაში ჩაურევლობის დაცვის ნორმატიული გარანტიების შექმნა, არამედ აღნიშნული უფლე-ბის დაცვის პრაქტიკული რეალიზების უზრუნველყოფაც, რაც პირველ რიგში, სახელმწიფო უწყებების მიერ შესაბამისი საფუძ-ვლის გარეშე აღნიშნული უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას უნდა გამორიცხავდეს.

პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, ხოლო სასჯელალსრულების დაწესებულებათა ერთიან მართვას ახორ-ციელებდა საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულე-ბა – საქართველოს სასჯელალსრულების დეპარტამენტი, რომ-ლის დაქვემდებარებაში იყო პატიმრობისა და თავისუფლების აღ-კვეთის დაწესებულებები (პატიმრობის კოდექსის 6.1 მუხ., მე-7, მე-8 მუხ.). დეპარტამენტი ხელმძღვანელობდა და წარმართავ-და დაწესებულებათა საქმიანობას, განსაზღვრავდა მათი საქმი-ანობის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფდა საკონ-სულტაციო, მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას, ორგანიზე-ბას და კონტროლს უწევდა სისტემის ორგანოთა მიერ შესაბამი-სი ნორმატიული აქტების შესრულებას (საქართველოს სასჯე-ლალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკით-ხთა მინისტრის 17.12.20126. №176 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელალსრულების დეპარტამენტის დებულე-ბის“ 3.2 მუხლის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები). ამდენად, საკასაციო პა-ლატა არ იზიარებს კასატორის – სასჯელალსრულების დეპარ-ტამენტის მოსაზრებას დეპარტამენტის მიმართ პატიმრობის კო-დექსის მე-16 მუხლის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ. დე-პარტამენტი, თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაცია წარმო-ადგენენ სასჯელალსრულების ერთიანი სისტემის რგოლებს, ის

გარემოება, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის წერილების ადმინისტრაციისათვის გაგზავნას უზრუნველყოფს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია, არ ათავისუფლებდა სასჯელალსრულების დეპარტამენტს კორესპონდენციის ხელშეუხებლობის დაცვისგან. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ კორესპონდენციაზე განთავსებულია სასჯელალსრულების დეპარტამენტის შტამპი, სადაც მითითებულია შტამპის დასმის თარიღი და შემოსული კორესპონდენციის ნომერი. აღნიშნული გარემოება უდავოდ ადასტურებს სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან პატიმრის სახელზე გამოგზავნილი წერილის გახსნის ფაქტს, რაც დადგენილად იქნა მიჩნეული სააპელაციო სასამართლოს მიერ. დეპარტამენტის საკასაციო საჩივარში იმის აღნიშვნა, რომ კორესპონდენცია გამოგზავნილი იყო სასჯელალსრულების დეპარტამენტის მისამართზე და ადრესატად მითითებული იყო სასჯელალსრულების დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, არ ადასტურებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უსაფუძვლობას. საფუძველს არის მოკლებული დეპარტამენტის მოსაზრება, თითქოს წერილის გახსნის გარეშე შეუძლებელი იყო მისი რეალური ადრესატის დადგენა, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან გამოგზავნილი კორესპონდენციის კონვერტზე აღნიშნულია წერილის მიმღები კონკრეტული სუბიექტი, მიეთითება კონკრეტული ადრესატი, კონვერტზე აღნიშნულია, რომ წერილი უნდა გადაცემულიყო ზ. ი-ს. ამდენად, სასჯელალსრულების დეპარტამენტმა წერილის გახსნამდე იცოდა, რომ კორესპონდენცია ზ. ი-ისათვის იყო განკუთვნილი. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პატიმრისათვის გაგზავნილი კორესპონდენციის ხელშეუხებლობის დარღვევით, სასჯელალსრულების დეპარტამენტმა დაარღვია პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნები. შესაბამისად, სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად დაირღვა ზ. ი-ის კანონით გარანტირებული – მიმოწერის ხელშეუხებლობის უფლება. კანონის დათქმის საწინააღმდეგოდ ზ. ი-ის სახელზე ევროსასამართლოდან გამოგზავნილი წერილის გახსნით მოხდა მართლსაწინააღმდეგო ჩარევა პატიმრის პირადი ცხოვრების სფეროში, რითაც დაირღვა მისი პირადი არაქონებრივი უფლებები. ამასთანავე, „საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენი-

ტენციური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 30.06.2015წ. ბრძანების მე-2 პუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 17.12.2012წ. №176 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“. პატიმრობის კოდექსში 01.05.2015. №3523 კანონით შესული ცვლილებებით, კოდექსს დამატა 125¹ მუხლი, რომლის მიხედვით 2015 წლის 1 ივლისს ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეყო დანესებულება – სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (1-ლი ნაწილი) და უფლებამონაცვლედ მიეთითა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (მე-8 ნაწილი).

არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს არ აქვს ქონებრივი ექვივალენტი, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის საკმარისია არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. ადმინისტრაციის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით – მიმონერის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევით ხელყოფილ იქნა მოსარჩელის პირადი არაქონებრივი უფლებები. სკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას პირადი ცხოვრების საიდუმლოება შელახვისაგან, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია, სახეზეა დელიქტი, მას მოჰყვა ისეთი მორალური ზიანი, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს და ხასიათს, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხს, დაზარალებულის განცდების სიღრმეს და სხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებებს. მორალური ზი-

ნის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან დამდგარ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია. ამასთანავე, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამონვეული ნეგატიური განცდების შემსუბუქება და დადებითი ემოციების გამოწვევა. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 300 ლარი დამდგარი მორალური ზიანის სამართლიანი და გონივრული ანაზღაურებაა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების სახით განსაზღვრული თანხა (300 ლ.), ორი სასამართლო ინსტანციის მიერ ზ. ი-ისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელად დაკისრებული ჯამური თანხის (250 ლ.) გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს აზრით არაგონივრულია, განსაზღვრული თანხა ვერ უზრუნველყოფს მორალური ზიანის სამართლიან ანაზღაურებას, მართლმსაჯულების ეფექტურობას, უგულებელყოფს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნას, ფორმალურს ხდის მართლმსაჯულების განხორციელებას, უფლებების და თავისუფლებების სამართლებრივ დაცვას, არ ემსახურება დარღვევის პრევენციას. იმის გათვალისწინებით, რომ ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრაში პრიორიტეტი ენიჭება ეროვნულ საერთო სასამართლოს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სამართლიანი კომპენსაციის ოდენობა 1 000 ლარით უნდა განისაზღვროს.

რაც შეეხება კასატორის სააპელაციო პალატის წინმსწრები, ხარვეზის დადგენის შესახებ სააპელაციო პალატის 28.03.14წ. განჩინების გაუქმების მოთხოვნას, სსკ-ის 368.5 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი არ არის სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი. ხსენებული განჩინებით აპელანტ ზ. ი-ს დაუდგინდა ხარვეზი, ხოლო შემდგომში სსკ-ის 48-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ ზ. ი-ის 10.04.2014წ. შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს 25.04.2014წ. განჩინებით ზ. ი-ს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო ზ. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დარჩენილა განუხილველად, ზ. ი-ს მიეცა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება. სააპელაციო სასამართლომ არსებითად განიხილა სააპელაციო საჩივარი, დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას ზ. ი-ისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. ამდენად, სააპელაციო პალატის

28.03.14ფ. განჩინებით ზ. ი-ის უფლება სასამართლოს დაცვაზე არ შელახულა, შესაბამისად არ არსებობს განჩინების გაუქმების საფუძველი.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ არსებითი განხილვის შედეგად გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთო სასამართლოებში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან კანონისმიერი გათავისუფლების საფუძველს ითვალისწინებენ სასკ-ის მე-9 მუხლი, სსკ-ის 46-ე მუხლი და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლი. ხსენებული საკანონმდებლო აქტები ითვალისწინებენ როგორც კონკრეტული კატეგორიის (მაგ. სოციალური დაცვის) დავების სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას, ასევე იმ სუბიექტთა წრეს, რომლებიც თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე სასამართლოს მიერ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლებას (სსკ-ის 47-ე მუხ.) ან შემცირებას (სსკ-ის 48-ე მუხ.). ამდენად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს დავის ბუნების და საკასაციო საჩივრის ავტორის მდგომარეობის გათვალისწინებას. განსახილველი დავა არ განეკუთვნება იმ საქმეთა კატეგორიას, რომლებიც კანონმდებლობით (სსკ-ის 46-ე მუხ., „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხ.) თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამასთანავე, აღნიშნული არ გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის არსებითი განხილვისას კონკრეტულად მოცემული დავისათვის სსკ-ის 47-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საკითხის მიზანშეწონილობაზე, გადასახადისაგან გათავისუფლების პირობების არსებობაზე, მოსარჩელის ქონებრივ მდგომარეობაზე მსჯელობას, ვინაიდან სსკ-ის 47.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს მოქალაქე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. სასამართლო თვლის, რომ სსკ-ის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისკრეცია შესაძლოა შეიცვალოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს დისკრეციით. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში არ არის დასაბუთებული. იმის გათვალისწინებით, რომ დავა წარმოიშვა ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოდან გამოგზავნილ კორესპონდენციასთან დაკავშირებით, ამას-

თანავე, სარჩელის აღძვრა ევროპულ სასამართლოში არ უკავ- შირდება რაიმე ბაჟის გადახდას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის საგნის გათვალისწინებით, კონკრე- ტულ შემთხვევაში არსებობს ზ. ი-ის სახელმწიფო ბაჟის გადახ- დისაგან გათავისუფლების საფუძველი. რაც შეეხება სასჯელალ- სრულების დეპარტამენტის უფლებამონაცვლე საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, „სახელმწი- ფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეკუთხუთის თა- ნახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სა- ხელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან დაწესებუ- ლებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხო- ლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ყველა საქმეზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კომპიუტერული საშუალე- ბებით სარგებლობაზე უარის თქმის გამო ზიანის ანაზღაურე- ბის მოთხოვნასთან დაკავშირებით კასატორის მოსაზრებას. სა- კასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, მოთხოვნის შემთხვევაში ადმი- ნისტრაციის მიერ ბრალდებულის/მსჯავრდებულის საწერი სა- შუალებებითა და ქალაქიდან უზრუნველყოფის ვალდებულე- ბას. კანონმდებლობა ადმინისტრაციას არ უყენებს ბრალდე- ბულის/მსჯავრდებულის პერსონალური კომპიუტერით უზრუნ- ველყოფის მოთხოვნას, შესაბამისად კომპიუტერული ტექნი- კის პატიმრისათვის ინდივიდუალურად სარგებლობაში გადაცე- მაზე უარის თქმა ვერ იქნება მიჩნეული მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, ხოლო სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზ- ღაურების ვალდებულების წარმოშობის წინაპირობაა: მართლსა- წინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, დამდგარი ზიანი და მი- ზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოთ- ხონის მოცემულ ნაწილში არ დასტურდება სასჯელალსრულე- ბის დეპარტამენტის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩა- დენის ფაქტი. ამასთანავე ადამიანის უფლებათა ევროპული სა- სამართლოს განმწესრიგებლის 26.04.2013წ. წერილი არ შეიცავ- და უპირობოდ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით საჩივ- რის შედგენის მოთხოვნას, სასამართლოს განმწესრიგებლის წე- რილში 12-იანი შრიფტი მითითებულია საჩივრის მოცულობას- თან დაკავშირებით, კერძოდ იმასთან მიმართებაში, რომ „სა- ჩივრის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 15 გვერდს (12-ია- ნი შრიფტით)“. მართალია, საჩივრის ფორმა (KAT-2014/1) შეი- ცავს მითითებას საჩივრის პროგრამა Adobe Reader 9-ით შევსე- ბის შესახებ, თუმცა „ადამიანის უფლებათა ევროპული სასა- მართლოს რეგლამენტის“ 45.1 მუხლი ადგენს განაცხადის წე-

რილობითი სახით წარდგენის და არა კომპიუტერული საშუალებებით შედგენილი საჩივრის წარდგენის სავალდებულობას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ხელშემკვრელი მხარის ვალდებულებას არაფრით დააბრკოლოს საჩივრით სასამართლოსადმი მიმართვის უფლების სრულად განხორციელება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე საჩივრები წარედგინება სამდივნოს ბლანკებზე, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ იქნება დადგენილი. რეგლამენტის თანახმად, 47-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობა სავალდებულო წესით არ იწვევს მის განხილვაზე უარს. რეგლამენტის 47-ე მუხლის ახალი რედაქცია ითვალისწინებს ამ მუხლის 1-3 პუნქტში მითითებული წესების შეუსრულებლობის გამო საჩივრის განხილვაზე უარს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განმცხადებელი იძლევა წაყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობის დამაკმაყოფილებელ განმარტებას. მხარეს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უარი თქვა ზ. ი-ის საჩივრის განხილვაზე ბლანკის არასათანადოდ შევსების, სახელდობრ, საჩივრის ტექსტის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გარეშე შევსების გამო. მეტიც, საქმეში დაცულია სასამართლოს განმწესრიგებლის 19.07.2013წ. წერილი, რომლითაც მან აცნობა ზ. ი-ს, რომ 19.07.2013წ. დათარიღებული, სათანადოდ შევსებული საჩივრის ფორმა საბუთებითურთ მიღებულია. რაც შეეხება სტრასბურგის სასამართლოს 26.09.13წ. გადაწყვეტილებას ზ. ი-ის საჩივრის მიუღებლად ცნობის შესახებ, განმწესრიგებლის 03.10.2013წ. წერილის თანახმად დაუშვებლობას საფუძვლად დაედო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ საჩივარი არ აკმაყოფილებდა კონვენციის 34-ე და 35-ე მუხლებით დადგენილ მისაღებობის კრიტერიუმებს. აღნიშნული დასკვნა გაკეთდა სასამართლოს ხელთ არსებული საქმის მასალების ერთობლიობაში შესწავლის შედეგად და არა საჩივრის ტექსტის არასათანადო შრიფტით შედგენის გამო.

საფუძველს არის მოკლებული აგრეთვე კასატორის მოსაზრება მისი დაცვის უფლების შეზღუდვის შესახებ. პატიმრობის კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს თავის დამცველთან ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე შეხვედრის უფლება. ამავდროულად მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მუხლის პირველი ნაწილით

გათვალისწინებული პირები უნდა ახორციელებდნენ კანონით გათვალისწინებულ საადვოკატო საქმიანობას. ამდენად, პატიმრის მიერ პირისათვის მინდობილობის გაცემა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს პატიმრის დაცვა, რწმუნებული უნდა იყოს ადვოკატი და ახორციელებდეს საადვოკატო საქმიანობას, ხოლო „ადვოკატთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადვოკატად მიიჩნევა პირი, რომელიც განეწვერიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ზ. ი-ის წარმომადგენელი არ არის ადვოკატი, შესაბამისად აღნიშნული პირის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეშვებაზე უარის თქმა არ ნიშნავს ზ. ი-ის დაცვის უფლების ხელყოფას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული აგრეთვე წარმომადგენლის დაშვებაზე უარის თქმის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.05.2014წ. საოქმო განჩინების გაუქმების შესახებ მოთხოვნა, რადგან სსკ-ის 440-ე მუხლის თანახმად, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან განეწვერიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს უარი ზ. ი-ის წარმომადგენლად ლ. ფ-ს დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, მართებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით საფუძველს არის მოკლებული მითითება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „ც“ ქვეპუნქტების დარღვევაზე, მით უფრო, რომ 6.3 მუხლის „ბ“ და „ც“ ქვეპუნქტები ეხება სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის დამცველთან ურთიერთობას და დაცვის მომზადებას, ხოლო 09.10.09წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-7, მე-9 ნაწილების, 44-ე მუხლის თანახმად ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინტერესების დაცვის და იურიდიული დახმარების განხორციელების უფლება აქვს ადვოკატს. პალატა აღნიშნავს, რომ ზ. ი-ს არ აკრძალვია ზოგადად ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა, მასთან შეხვედრა, სამართლებრივი კონსულტაციების მიღება, კასატორს უარი ეთქვა მხოლოდ იმ პირთან შეხვედრაზე, რომელიც არ ეწეოდა სა-

ადვოკატო საქმიანობას. საადვოკატო საქმიანობა საჯარო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად მიიჩნევა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.11.05წ. №1/5/323 გადაწყვეტილება), საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი გულისხმობს ადამიანის არამხოლოდ ადვოკატით უზრუნველყოფას, არამედ კვალიფიციური და ეფექტური დაცვის განხორციელებას. საადვოკატო საქმიანობა გულისხმობს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას შესაბამისი ცოდნის და კვალიფიკაციის მქონე იურისტის მიერ. სახელმწიფოს აქვს უფლება თავად მოანესრიგოს სასამართლოზე ადვოკატთა დასწრების საკითხი და ზოგ შემთხვევაში აკრძალოს გარკვეულ პირთა დაშვება სასამართლო სხდომაზე, მაგალითად, სახელმწიფომ შეიძლება ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს დასაშვებ პირთა საჭირო კვალიფიკაცია და მათი პროფესიული ქცევის წესები (08.07.1978წ. №7575/76, 7586/76, 7587/76 გადაწყვეტილება საქმეზე „ენსლინი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ“, Ensslin and Others v. Germany, The Law, B, §20).

ზ. ი-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე სააპელაციო პალატის 30.05.2014წ. განჩინება სასამართლო შემადგენლობის აცილების თაობაზე და მოითხოვა მისი გაუქმება, თუმცა არ მიუთითებია აცილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლებზე. ზ. ი-ი ვერ უთითებს ისეთ კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც დაადასტურებდა მოსამართლეთა მხრიდან საქმის შედეგით დაინტერესებას ან მათ მიკერძოებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლო შემადგენლობის აცილების მოთხოვნას საფუძვლად დაედო სააპელაციო პალატის უარი ლ. ფ-ის სააპელაციო პალატის სხდომაზე წარმომადგენლად დაშვების შესახებ ზ. ი-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. სასამართლო ადასტურებს მოსარჩელის კანონისმიერ უფლებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ისარგებლოს ადვოკატის მომსახურების უფლებით, ამასთანავე პატიმრობის კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ეს უფლება უკავშირდება მომსახურების განევას სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კვალიფიციური პირის, ადვოკატის მიერ. ამდენად, ვინაიდან სააპელაციო პალატის უარი აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე კანონიერი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობდა სსკ-ის 32-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო შემადგენლობის აცილების არც ერთი საფუძველი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზ.ი-ის მოთხოვნა აღნიშნული განჩინების გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სწორად არის დადგენილი, სსკ-ის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი გარემოებების მიმართ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. შესაბამისად, არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საკასაციო პალატა თვლის, რომ დავა უნდა გადაწყდეს არსებითად, თბილისის სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს ნაწილობრივ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო, ხოლო ზ. ი-ის სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ზ. ი-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014წ. განჩინება საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის ზ. ი-ის სასარგებლოდ 300 ლარის დაკისრების და ზ.ი-ისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების ნაწილებში და აღნიშნულ ნაწილებში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ზ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ზ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისროს 1000 (ათასი) ლარის გადახდა;
5. ზ. ი-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. ზ. ი-ი განთავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო
მორალური ზიანის ანაზღაურება**

ბანქინება

№ბს-604-597(3კ-15)

1 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-მა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსთვის, ასევე, სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურისათვის მის სასარგებლოდ სოლიდარულად მორალური ზიანის, 30 000 ლარის, და მატერიალური ზიანის, 20 000 ლარის, ანაზღაურების დაკისრებას.

სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებებს, რომ 2011 წლის 29 სექტემბერს შედგენილი ყალბი პატაკების საფუძველზე, შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარმა სამმართველომ მიმართა სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს მოსარჩელის სამედიცინო კომისიაზე გატარების თაობაზე, მისი შემდგომში სამხედრო სამსახურში ვარგისიანობის დადგენის მიზნით. 2011 წლის 18 ნოემბერს სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ცენტრალურმა სამხედრო-საექიმო კომისიამ გასცა ყალბი ცნობა, რის საფუძველზეც იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარმა სამმართველომ გამოსცა ბრძანება ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობიდან მისი (ნ. გ-ის) გათავისუფლების შესახებ. მოსარჩელე მიუთითებს, რომ იგი შინაგან საქმეთა სისტემაში მუშაობდა 1998 წლიდან სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 2009 წლის 13 ნოემბრიდან ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე... განყოფილებაში – უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე, საიდანაც გაათავისუფლეს 2011 წლის 5 დეკემბრის

ბრძანებით. მოპასუხეთა უკანონო ქმედებით უხეშად შეილახა მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

მოპასუხეებმა საქართველოს შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარმა სამმართველომ და სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ ნ. გ-ს, შს სამინისტროდან დათხოვის პერიოდში, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევდა დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას, რის გამოც მასთან სამსახურებრივი ურთიერთობა შეწყდა, ხოლო მისი სახელის, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვა არ მომხდარა. დასკვნას არ გამოუწვევია კოლეგებისა და თანამშრომლების მხრიდან ნ. გ-ის მიმართ რაიმე დამოკიდებულების ან შეფასების შეცვლა, ისინი საერთოდ არ გაცნობიან აღნიშნულ დოკუმენტს. დათხოვნასთან დაკავშირებული პროცედურები განხორციელდა კანონით დადგენილი წესით და საჯაროდ რაიმე ცნობა არ გავრცელებულა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ნ. გ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს ნ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 1 000 ლარის ანაზღაურება; ნ. გ-ის სარჩელი საქართველოს შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ნ. გ-ის სარჩელთან დაკავშირებით მიღებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა (გადაწყვეტილების მე-2-მე-4 პუნქტები) და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. გ-ის სარჩელი მორალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხა-

რეო მთავარ სამმართველოსა და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს ნ. გ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 3000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 29 სექტემბერს ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოს უფროსს პატაკით მიმართა ამავე სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსმა დეტექტივ-გამომძიებელმა და აცნობა, რომ პოლიციის მე-... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის მაიორი ნ. გ-ი მე-... განყოფილებაში მუშაობის პერიოდში ხასიათდებოდა უარყოფითად, კერძოდ, იყო კონფლიქტური, მისი ქმედებები იყო პოლიციის თანამშრომლისათვის შეუსაბამო და არაადეკვატური. ხშირად საუბრობდა არარეალურ საკითხებზე, რომ მას უკეთებდნენ ჯადოს, შურთ მისი, რომ არის ყველაზე უკეთესი, ებრძვიან მას მაგიური საშუალებებით და უნდათ მისი თავიდან მოშორება, რის გამოც ხშირად უპირისპირდებოდა თანამშრომლებს. იგივე გარემოებების შესახებ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსს, მ. დ-ს აცნობა ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოს უფროსმა გ. თემ. მიმართვის თანახმად, არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნ. გ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებდა დამატებით შესწავლას.

2. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა მ. დ-მა მიმართა სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს თხოვნით ნ. გ-ი გაეტარებინათ სამედიცინო კომისიაზე სამხედრო სამსახურისთვის მისი ვარგისიანობის დადგენის მიზნით.

3. 2011 წლის 18 ნოემბერს სამხედრო სამედიცინო კომისიის მიერ გაცემული იქნა ცნობა №3534, რომლის შესაბამისად ნ. გ-ი არ აღმოჩნდა ვარგისი ოპერატიულ-საგუშაგო სამსახურისათვის. დიაგნოზი: გუნება-განწყობის აფექტური აშლილობა F 38, რეკომენდირებულია ამბულატორიული მკურნალობა და დინამიური დაკვირვება სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში.

4. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 28 ნოემბრის №005379313 სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ ნ. გ-ი ფსიქიკურად დაავადებული არ არის. თავისი ფსიქიკური მდგომარეობის

რეობით იგი ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას არ საჭიროებს, ამდენად მისი ფსიქიკური მდგომარეობა ვერ განიხილება ოპერატიული თანამდებობის დაკავებისა თუ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების შემაფერხებელ გარემოებად. საქმეში არსებული სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისიის შემონმების მასალები და სასამართლო სხდომაზე კომისიის წევრთა მიერ ჩვენებებში მითითებული გარემოებები არ იძლეოდა კომისიის მიერ გაცემულ №3534 ცნობაში ასახული დიაგნოზის ერთმნიშვნელოვნად დასმის საფუძველს, რადგან ნ. გ-ის ფსიქიკური მდგომარეობის შესაფასებლად საჭირო იყო სტაციონარული ფსიქიატრიული გამოკვლევა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2011 წლის 5 დეკემბრის №1515181 ბრძანება. ნ. გ-ი აღდგენილი იქნა მის ყოფილ თანამდებობაზე (ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად) და იძულებითი განაცდურის სახით აუნაზღაურდა 3 თვის თანამდებობრივი სარგო სამემოსავლო გადასახადის დაქვითვის გათვალისწინებით.

6. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა 2014 წლის 16 აპრილს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ბათილად გამოცხადდა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2011 წლის 5 დეკემბრის №1515181 ბრძანება ქუთაისის შსს საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის ნ. გ-ის შსს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ. ნ. გ-ი აღდგენილ იქნა შსს სამინისტროში შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით სამემოსავლო გადასახადის დაქვითვის გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, მოსარჩელის უკანონოდ სამსახურიდან გათავისუფლება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წარმოშობს მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების უკანონო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სააპელაციო სასამართლომ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ ნ. გ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად განსაზღვრული თანხა შეუსაბამოდ დაბალი იყო. სასამართლოს განმარტებით, საგულისხმოა, რომ მოსარჩელეს ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მოუხდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში ჯანმრთელობის მდგომარეობის (ფსიქიკური მდგომარეობის) გამოკვლევა, მათ შორის სტაციონარული, იმ მიზნით, რომ დაედასტურებინა მისი სამსახურიდან გათავისუფლების უსაფუძვლობა, რაც არ არის ჩვეულებრივი, რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში, არამედ დაკავშირებულია გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან. მოსარჩელე არ იყო ვალდებული, ეთმინა ასეთი დისკომფორტი, რაც გამოიხატებოდა რიგი უფლებების შეზღუდვაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარმა სამმართველომ და სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განმარტებით, არასწორია სასამართლოს პოზიცია, რომ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 28 ნოემბრის დასკვნა ცალსახად ადასტურებს, სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნის შეუსაბამებობას ნ. გ-ის ჯანმრთელობის რეალურ მდგომარეობასთან. სწორედ ამის გამო დაეკისრა სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში პასუხისმგებლობა. სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური წარმოადგენს ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებას და მასში მომუშავე ყველა ექიმ-სპეციალისტს, მათ შორის ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისიის ფსიქო-ფიზიოლოგიური შერჩევის კაბინეტის ექიმ-სპეციალისტებს გააჩნიათ სათანადო სერთიფიკატი და მათ მოქმედი კანონმდებლობით აქვთ პირველადი ფსიქიატრიული კვლევის ჩატარების უფლებამოსილება.

2011 წლის ნოემბერში სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისიის მიერ, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიმართვის საფუძველზე, შემოწმდა ნ. გ-ი. მიმართვას თან ახლდა სამსახურებრივი დახასიათებაც. ნ. გ-ს სამხედრო-საექიმო კომისიის ფარგლებში ჩატარდა გამოკვლევა ყველა ექიმ-სპეციალისტის, მათ შორის

ფსიქო-ფიზიოლოგიური შერჩევის კაბინეტის ექიმების მიერ. არსებული მონაცემების საფუძველზე, იმ დროისათვის (2011 წლის ნოემბერი) მდგომარეობა შეფასდა, როგორც გუნება-განწყობის აფექტური აშლილობა (F 38), დიაგნოზი დაისვა ICD-10 მოთხოვნების შესაბამისად და აკმაყოფილებდა ამ პათოლოგიისათვის განმსაზღვრელ ძირითად და დამატებით კრიტერიუმებს. რეკომენდირებულ იქნა ამბულატორიული მკურნალობა და დინამიური დაკვირვება სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ტერიტორიული პრინციპით, შედეგის შეტყობინებით, რაზეც გამოსაკვლევმა პირმა თანხმობა განაცხადა. აღნიშნული დასკვნიდან წელიწადნახევრის შემდეგ, ნ. გ-ს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-ექსპერტიზის ბიუროში ჩაუტარდა ამბულატორულ-ფსიქიატრიული ფსიქო-ფიზიოლოგიური ექსპერტიზა. გამოკვლევის შედეგები არსებითად არ ენიშნაღმდეგებოდა შსს ცსსკ-ს გამოკვლევის შედეგებს, მდგომარეობა შეფასდა როგორც „რთული საექსპერტო შემთხვევა“. დასკვნა ვერ იქნა გამოტანილი და ჩაითვალა საჭიროდ სტაციონალური სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო გამოკვლევის ჩატარება. 2013 წლის 28 ნოემბერს, ე.ი. პირველი დასკვნის შედეგნიდან 2 წლის შემდეგ, უკვე დაიდო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის სტაციონალური სასამართლო-ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, რომლის მიხედვითაც ნ. გ-ი ფსიქიკურად დაავადებული არ არის.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სსიპ შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისიის მიერ ცნობის გაცემიდან (2011 წლის 18 ნოემბერი) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის სტაციონალური სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე გავიდა 2 წელი, რაც საკმაოდ დიდი დროა და ამ პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია, პირს ჩაეტარებინა შესაბამისი მკურნალობაც და შედეგი, რა თქმა უნდა, განსხვავებული აღმოჩნდებოდა. დასკვნების შედეგების სხვადასხვაობა სრულად შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ნოზოლოგია – გუნება-განწყობის (აფექტური) აშლილობანი თავისი მიმდინარეობით, უპირატესად, ატარებს პერიოდულ, რეკურენტულ ხასიათს. ამგვარ შესაძლებლობას და შსს ცენტრალური სამხედრო სამედიცინო კომისიის დიაგნოზის მართლობიერებას ადასტურებს ა.ზურაბაშვილის სახელობის საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების 2014 წლის 12 აგვისტოს დასკვნა, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ გაითვალისწინა სასამართლომ.

სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანრთელობის დაცვის სამსახურის ცენტრალური სამხედრო-სამედიცინო კომისიის 2011 წლის 18 ნოემბრის დასკვნა სრულიად კანონიერია და მისი არაკვალიფიციურობა არასდროს გამხდარა საეჭვო.

შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მტკიცებით, ადმინისტრაციული ორგანო კანონის ფარგლებში მოქმედებდა და არ არსებობს მისი ბრალეული ქმედება, რაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გამოიწვევს. ნ. გ-ს, შს სამინისტროდან დათხოვნის პერიოდში, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევდა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას, რის გამოც, მასთან სამსახურებრივი ურთიერთობა შეწყდა, მაგრამ ნ. გ-ის სახელის, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვა არ მომხდარა. დათხოვნასთან დაკავშირებული პროცედურები განხორციელდა კანონით დადგენილი წესით. ცნობა მოთავსდა მოსარჩელის პირად საქმეში, რომელიც დაცულია საიდუმლო გრიფით.

ნ. გ-მა შეგებებული საკასაციო საჩივარი წარმოადგინა, რომლითაც ითხოვს საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის სრულიად დაკმაყოფილებას. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად სწორად შეაფასა, მაგრამ არ გაითვალისწინა მოსარჩელის მიერ გადატანილი განცდების სიმძიმე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის, შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივრები, ასევე ნ. გ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 29 სექტემბერს ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოს უფროსს პატაკით მიმართა ამავე სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსმა დეტექტივ-გამომძიებელმა და აცნობა, რომ პოლიციის მე-... განყოფილების უბნის ინ-

სპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის მაიორი ნ. გ-ი მე-... განყოფილებაში მუშაობის პერიოდში ხასიათდებოდა უარყოფითად, კერძოდ, იყო კონფლიქტური, მისი ქმედებები იყო პოლიციის თანამშრომლისათვის შეუსაბამო და არაადეკვატური. ხშირად საუბრობდა არარეალურ საკითხებზე, რომ მას უკეთებდნენ ჯადოს, შურთ მისი, რომ არის ყველაზე უკეთესი, ებრძვიან მას მაგიური საშუალებებით და უნდათ მისი თავიდან მოშორება, რის გამოც ხშირად უპირისპირდებოდა თანამშრომლებს. იგივე გარემოებების შესახებ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსს, მ. დ-ს აცნობა ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოს უფროსმა გ. თ-ემ. მიმართვის თანახმად, არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნ. გ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებდა დამატებით შესწავლას.

2. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა მ. დ-მა მიმართა სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს თხოვნით ნ. გ-ი გაეტარებინათ სამედიცინო კომისიაზე სამხედრო სამსახურისთვის მისი ვარგისიანობის დადგენის მიზნით.

3. 2011 წლის 18 ნოემბერს სამხედრო სამედიცინო კომისიის მიერ გაცემული იქნა ცნობა №3534, რომლის შესაბამისად ნ. გ-ი არ აღმოჩნდა ვარგისი ოპერატიულ-საგულშაგო სამსახურისათვის. დიაგნოზი: გუნება განწყობის აფექტური აშლილობა ჭ 38, რეკომენდირებულია ამბულატორიული მკურნალობა და დინამიური დაკვირვება სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში.

4. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 28 ნოემბრის №005379313 სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ ნ. გ-ი ფსიქიკურად დაავადებული არ არის. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით იგი ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას არ საჭიროებს, ამდენად მისი ფსიქიკური მდგომარეობა ვერ განიხილება ოპერატიული თანამდებობის დაკავებისა თუ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების შემაფერხებელ გარემოებად. საქმეში არსებული სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისიის შემომწმების მასალები და სასამართლო სხდომაზე კომისიის წევრთა მიერ ჩვენებებში მითითებული გარემოებები არ იძლეოდა კომისიის მიერ გაცემულ №3534 ცნობაში ასახული დიაგნოზის ერთმნიშვნელოვნად დასმის საფუძველს, რადგან ნ. გ-ის ფსიქიკური

მდგომარეობის შესაფასებლად საჭირო იყო სტაციონარული ფსიქიატრიული გამოკვლევა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2011 წლის 5 დეკემბრის №1515181 ბრძანება. ნ. გ-ი აღდგენილი იქნა მის ყოფილ თანამდებობაზე (ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად) და იძულებითი განაცდურის სახით აუნაზღაურდა 3 თვის თანამდებობრივი სარგო საშემოსავლო გადასახადის დაქვითვის გათვალისწინებით.

6. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა 2014 წლის 16 აპრილს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ბათილად გამოცხადდა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2011 წლის 5 დეკემბრის №1515181 ბრძანება ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის ნ. გ-ის შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ. ნ. გ-ი აღდგენილი იქნა შს სამინისტროში შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით საშემოსავლო გადასახადის დაქვითვის გათვალისწინებით.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორებს ზემომითითებული ფაქტების მიმართ ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2014 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, დადგინდა, რომ ნ. გ-ის სამსახურიდან გათავისუფლება უკანონო იყო. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ სსიპ შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისიის შემოწმების აქტი და ამავე კომისიის №3435 ცნობა არ პასუხობდა ფსიქიატრიული გამოკვლევის ჩატარებისათვის დადგენილ სტანდარტებს, კომისიის წევრთა მიერ ჩვენებებში მითითებული გარემოებები არ იძლეოდა ცნობაში ასახული დიაგნოზის ერთმნიშვნელოვნად დასმის საფუძველს, რადგანაც ნ. გ-ის ფსიქიკური მდგომარეობის შესაფასებლად საჭირო იყო სტაციონარული ფსიქიატრიული გამოკვლევა; შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ნ. გ-ი სამსახურიდან არასწორად დასმული დიაგნოზის საფუძველზე გათავისუფლდა. ამავე გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-ი ფსიქიკურად დაავადებული არ იყო და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო პოლიციის ორგანოებში საქმიანობის გასაგრძელებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილებაზე, რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ: „სასამართლო, როგორც კონფლიქტის მოგვარების ინსტიტუტი, უტყუარობისა და სანდოობის პრეზუმფციით სარგებლობს, სასამართლო პროცესზე განხილული საკითხი კი საბოლოოდ გადაწყვეტილად და დადგენილად ითვლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით“.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღა-

უროს ზიანი.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანი მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზე, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად.

ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

აღნიშნული ნორმის იმპერატიული დანაწესია, რომ მორალური ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ზოგადი წესების შესაბამისად, მორალური ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ პირადი არაქონებრივი უფლებების (სახელის უფლება, საავტორო უფლებები და ა. შ.) ან არამატერიალური სიკეთის (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ა. შ.) ხელყოფის შემთხვევაში. მორალური ზიანი არის იმ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი შესატყვისი არ გააჩნია და განცალკევებულია პირის ეკონომიკური მხარისაგან. იგი მატერიალური ზიანის საპირისპიროა და არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზარალთან, შემოსავლების შემცირებასთან ან გამდიდრების არ არსებობასთან. მორალური ზიანის ანაზ-

ლაურებისათვის აუცილებელია, არსებობდეს დელიქტური ვალდებულებებისათვის დამახასიათებელი სქემა: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და ქმედებას შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევა.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოების არამართლზომიერად მოქმედების ფაქტი. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ მოსარჩელის უკანონოდ სამსახურიდან გათავისუფლება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წარმოშობს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, ილახება მხარის პიროვნული არაქონებრივი უფლებები, შესაბამისად, ზიანი სახეზეა, ასევე დასტურდება მიზეზობრივი კავშირი არამართლზომიერ ქმედებასა და ზიანს შორის.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას, საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ, ამ შემთხვევაში, მოსარჩელის სულიერი ტრავმისა და გადატანილი განცდების, ასევე მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტის გათვალისწინებით, 3000 ლარი გონივრული ოდენობაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. ნ. გ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მორალური ზიანის შესახებ სარჩელის განსჯადობა

განჩინება

№ბს-224-223(გ-16)

11 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 17 ნოემბერს თ.ჭ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ისნის რაიონის გამგეობაში პოლიტიკური ორგანიზაციის – „...“ მმართველობის პერიოდში ეკავა ... თანამდებობა. 2013 წლის 1 ოქტომბერს დაიკავა ისნის რაიონის ტერიტორიული ერთეულის ... უბნის განყოფილების უფროსის თანამდებობა.

2014 წლის 20 ოქტომბერს, იგი თბილისის ისნის რაიონის გამგებლის – ვ. ქ-ის ბრძანებით გათავისუფლდა თანამდებობიდან. აღნიშნულ გათავისუფლებას, მოსარჩელის მითითებით, წინ უძღვოდა მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული შევიწროება და მოპყრობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ, როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, თვით-

მმართველობის ორგანოებიდან საჯარო მოხელეების მასობრივი გათავისუფლებები დაიწყო. გათავისუფლებები ხორციელდებოდა, როგორც ზემდგომი თანამდებობის პირების ბრძანებით, ისე მოხელეების პირადი განცხადებების საფუძველზე, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებდა, რომ მოხელეების მსგავს გათავისუფლებებში ადგილი ჰქონდა მიკერძოებულ, დისკრიმინაციულ მიდგომებს პოლიტიკური პარტიისადმი „კუთვნილების“ გამო და პირთა იძულებას „საკუთარი ნებით“ დაეტოვებინათ სამსახურები.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ვინაიდან იგი ღიად მხარს უჭერდა პოლიტიკურ გაერთიანება „...“, მიმდინარე მოვლენების ფონზე, შიშობდა სამსახურის დატოვებას მასაც მოსთხოვდნენ. ამიტომ 2014 წლის აგვისტოს თვეში თავისი სოციალური გვერდის მეშვეობით საჯაროდ განაცხადა, რომ იგი არ აპირებდა საკუთარი ნებით განცხადების დაწერას და თანამდებობის დატოვებას, რის შემდგომაც ზემდგომი თანამდებობის პირების თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლის – ვ. ჭისა და მისი მოადგილის – გ. ჯ-ას მხრიდან დაიწყო მასზე სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით დევნა, შევიწროვება და მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, რაც საბოლოოდ, მისი თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მისთვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანების, მისი გათავისუფლების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ ასევე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მხრიდან მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის – 3000 ლარის ოდენობით ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებით თ.ჭ-ის სარჩელიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, საშვებულებო თანხის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და

მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნები. თ.ჭ-ის სარჩელი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნოს განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას; თ. ჭ-ის სარჩელზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურებისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების მოთხოვნების ნაწილში შეჩერდა წარმოება სამოქალაქო სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად:

1. ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

2. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს, შესაბამის საქმეთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით სპეციალური წარმოება განსაზღვრული, რაც გამორიცხავს ამ საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას.

„რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებაში 2005 წლის 12 აპრილს საქარ-

თველოს პრეზიდენტის №213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შექმნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელშიც შეიქმნა სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები – ადმინისტრაციულ საქმეთა, სამოქალაქო საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში უნდა გამოიყოს ცალკე წარმოებად და განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნოს.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნების ძირითადი

საფუძველია მოსარჩელის მიმართ მოპასუხის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა, რის გამოც დასახელებული მოთხოვნების განხილვა არ უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის თაობაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით გადანყვეტილების გამოტანამდე. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნების ნაწილში სარჩელის განხილვამდე და შესაბამისი გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სარჩელის დანარჩენ ნაწილში სასამართლო წარმოება უნდა შეჩერდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით თ. ჭ-ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის სამსახურიდან გათავისუფლებას დისკრიმინაციული მოტივით, კერძოდ, ის მიიჩნევს, რომ გათავისუფლების ბრძანების გამოცემა მოხდა გარკვეული ნიშნით, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციულად. სარჩელის არსი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე მსჯელობა და იმის დადგენა, მართლაც ხომ არ ჰქონდა სამსახურიდან გათავისუფლებას პოლიტიკური ნიშნით ადგილი. სასამართლო ვერ შეაფასებს დისკრიმინაციული მოტივით მოხდა თუ არა მისი გათავისუფლება, თუ არ შეაფასებს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველებს. სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსახურიდან გათავისუფლებასთან და მათი განცალკევება შეუძლებელია. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნის დამოუკიდებლად განხილვა გამოიწვევს იმას, რომ სამოქალაქო კოლეგიას მოუწევს იმსჯელოს სამსახურიდან გათავისუფლებაზე, რადგან სწორედ აღნიშნული წარმოდგენს სავარაუდო დისკრიმინაციულ ქმედებას, მან უნდა შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება და დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში დაავალოს დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრა, რაც ასეთ შემთხვევებში მოიცავს სამსახურში აღდგენას. სამოქალაქო სამართლის არსს კი ეწინააღმდეგება სამოქალაქო სასამართლოსთვის უფლებამოსილების მიჩიჭება ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს ინდივიდუალური აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის განსჯადობის დადგე-

ნისათვის მნიშვნელოვანია სარჩელის ელემენტებისა და სამართალურთიერთობის ცალკეული კომპონენტების განსაზღვრა. დაუშვებელია საჯარო სამართლებრივი დავის კერძო სამართლებრივ დავად მიჩნევა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯარო სამართლებრივ მოთხოვნას ასაბუთებს კერძო სამართლებრივი ნორმების მეშვეობით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ სწორედ პოლიტიკური მოტივი იყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, ან თუ გამოიკვეთება ე.წ. „კომპარატორი“ (როგორც დისკრიმინაციული ქმედების გამოვლენისათვის აუცილებელი ერთ-ერთი სტანდარტი), რომელსაც იმავე მოცემულობაში განსხვავებულად მოექცნენ, სახეზე იქნება დისკრიმინაცია სამსახურიდან გათავისუფლების დროს და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შეუძლებელია განცალკევებით შეფასდეს აქტის კანონიერება და დისკრიმინაცია, მაშინ როდესაც სწორედ სავარაუდოდ დისკრიმინაციული მოტივი არის აქტის უკანონობის მთავარი საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან დისკრიმინაცია აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით,

ინივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს დისკრიმინაციული მოტივები უნდა ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ და შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია, რის გამოც დავის საგნის ამგვარი დაყოფა გამოიწვევს მოსარჩელის უფლების ხელყოფას, მისი სარჩელი განიხილოს უფლებამოსილმა სასამართლომ, აღნიშნული იქნება იმ გონივრული ვადის სტანდარტის უფლებებელყოფა, რაც რეგლამენტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან სახეზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. დავაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავის საგანს წარმოადგენს ბრძანების ბათილად ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მე-8 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირ-

თადი უფლებები.

სასამართლოს აზრით, ნებისმიერი სახის სასარჩელო განცხადებით მიმდინარე სამართალწარმოებაში დისკრიმინაციული ნიშნით მიღებული გადაწყვეტილების შედაგება, თავისთავად ვერ აქცევს ამ სარჩელს სამოქალაქოდ, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს იმ ზოგადი წესით, რითაც ძირითადი საკითხი განიხილება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან. ადმინისტრაციული სამართალწარმოება, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან – ინკვიზიციურია. ამ სამართალწარმოებაში, სამართალურთიერთობის „ძლიერი მხარე“ – ადმინისტრაციული ორგანო ხშირ შემთხვევაში ვალდებულია სრულად ზიდოს მტკიცების ტვირთი, რაც მოსარჩელეს, როგორც სამართალურთიერთობის „სუსტ“ მხარეს, უფრო კომფორტულ და მომგებიან ვითარებაში ამყოფებს. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი სამართალურთიერთობის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადწყვეტა, რომელიც კანონის შესაბამისად შესაძლოა ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობად მოვიაზროთ, ნამდვილად არ იქნებოდა შესაბამისობაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამდგენ საერთაშორისო რეგულაციებთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ

ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს თ. ჭისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის 3000 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363¹-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციული ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამოუკიდებლად სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო სადავო სამართალურთიერთობა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში – თ. ჭისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის

რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურების თაობაზე, ატარებს საჯარო-სამართლებრივ შინაარსს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა (თ. ჭისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურება) გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ხოლო ამ მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შე-

მონმებისას, სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს ამ სასარჩელო მოთხოვნების ერთობლივი განხილვა.

შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – თ. ჭ-ის სარჩელისა გამო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დისკრიმინაციის მოტივით მორალური ზიანის
ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანობის
შემოწმება**

განჩინება

№ბს-556-549(კ-კს-15)

12 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 18 დეკემბერს, შ. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან შ. გ-ის გადაყენების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №48 ბრძანების ბათილად ცნობა; ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე აღდგენა; ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება შ. გ-ის თანამდებობიდან გადაყენების დღიდან თანამდებობაზე მისი აღდგენის დღემდე; ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შ. გ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის დადასტურების შემთხვევაში, ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შ. გ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 3 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით შ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №48 განკარგულება ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან შ. გ-ის გადაყენების შესახებ. შ. გ-ე აღდგენილ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება შ. გ-ის სასარგებლოდ სამი თვის

თანამდებობრივი სარგო, სულ 4500 ლარის ოდენობით. სარჩე-
ლი არ დაკმაყოფილდა ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრე-
ბულოს მიერ შ. გ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინა-
ციული მოპყრობისა და მოპასუხისათვის მორალური ზიანის და-
კისრების მოთხოვნის ნაწილში. გადაწყვეტილება სამუშაოზე
აღდგენისა და განაცდური ხელფასის დაკისრების ნაწილში და-
უყოვნებლივ მიექცა აღსასრულებლად.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხა-
რემ გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის განჩინებით შეჩერ-
და საქმის წარმოება შ. გ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის
იმ ნაწილში, რომლითაც მოთხოვნილია სარჩელის სრულად დაკ-
მაყოფილება სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო
იძულებით განაცდურის სრულად ანაზღაურება, საკონსტიტუ-
ციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე; ახალცი-
ხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ
დაკმაყოფილდა; შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-
და შ. გ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპ-
ყრობისა და მოპასუხისათვის მორალური ზიანის დაკისრების
მოთხოვნის ნაწილში; უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული
სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება სამსახურ-
ში აღდგენის დაკმაყოფილებისა და დისკრიმინაციული მოპყრო-
ბისა და მოპასუხისათვის მორალური ზიანის დაკისრების დაკ-
მაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობ-
რივი გარემოებები მიიჩნია:

1. შ. გ-ე 2013 წლის 19 თებერვლიდან არის მოქალაქეთა პო-
ლიტიკური გაერთიანება „...“ წევრი;

2. მპგ „...“ თავმჯდომარის ი. ქ-ის 2013 წლის 23 მაისის №67-
111 ბრძანებით შ. გ-ე დაინიშნა მპგ „...“ ახალციხის რაიონული
ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად;

3. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014
წლის 14 ივლისის №14 განკარგულებით საკრებულოს წევრი შ.
გ-ე არჩეული იქნა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრე-
ბულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ;

4. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014
წლის 21 ივლისის №9 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ ახალ-
ციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა
და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი
სარგოების ოდენობა და საკრებულოს კომისიის თავმჯდომა-

რის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1500 ლარით;

5. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „...“ წევრებმა მ. მ-ემ, კ. ბ-ემ, ა. ბ-მა, გ. პ-მა, ს. ო-მა, კ. გ-მა და დ. ლ-ემ 2014 წლის 18 ნოემბერს განცხადებით მიმართეს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და მოითხოვეს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შ. გ-ის კომისიის თავმჯდომარეობიდან გადაყენების თაობაზე საკითხის განხილვისათვის 2014 წლის 21 ნოემბერს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

6. 2014 წლის 21 ნოემბერს გამართულ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე შ. გ-ე გადაყენებული იქნა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარეობიდან, რის თაობაზეც მიღებული იქნა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №48 განკარგულება;

7. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობების შესრულება, კომისიის თავმჯდომარის არჩევამდე, კანონის შესაბამისად, დაევალა კომისიის უხუცეს წევრს – ნ. ა-ს;

8. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა გ. პ-ი;

9. 2014 წლის 5 ნოემბერს მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „...ი“ დატოვა კოალიცია „...“ .

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „...“ წევრებმა მ. მ-ემ, კ. ბ-ემ, ა. ბ-მა, გ. პ-მა, ს. ო-მა, კ. გ-მა და დ. ლ-ემ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, 2014 წლის 18 ნოემბერს განცხადებით მიმართეს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და მოითხოვეს რიგგარეშე სხდომის მოწვევა. მითითებული რეგლამენტის შესაბამისად, მოთხოვნა შეიცავდა, დღის წესრიგს ანუ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შ. გ-ის კომისიის თავმჯდომარეობიდან გადაყენების თაობაზე საკითხის განხილვას და რიგგარეშე სხდომის ჩატარების თარიღს – 2014 წლის 21 ნოემბერი. თუმცა ფრაქცია „...“ განცხადება არ შეიცავდა რიგგარეშე სხდომის მოწვევის აუცილებლობის დასაბუთებას, რაც წარმოადგენს რეგლამენტით იმპერატიულად დადგენილ მოთხოვნას. მიუხედა-

ვად მითითებული დარღვევისა, 2014 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და შედეგად შ. გ-ე გადაყენებული იქნა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ფრაქციის მიერ რიგგარეშე სხდომის მოწვევის აუცილებლობის დასაბუთება ფაქტიურად განაპირობებდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განმარტა, თუ რატომ მოხდა რიგგარეშე სხდომაზე კომისიის თავმჯდომარის გადაყენება თანამდებობიდან, მოქალაქეს შეეზღუდა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, რადგან, დაუსაბუთებლად იქნა გადაყენებული თანამდებობიდან, რომ არა უკანონო და დაუსაბუთებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, შ. გ-ე შეასრულებდა თავის უფლებამოსილებას იმ ვადით, ვიდრე იქნებოდა საკრებულოს წევრი და, შესაბამისად, ... კომისიის წევრი.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას დისკრიმინაციული მოპყრობისათვის შ. გ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან ვერ დადასტურდა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან შ. გ-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის განხორციელების ფაქტი, შესაბამისად, მითითებული სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და ამ ნაწილში არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაზე იძულებითი მოცდენის სრულ პერიოდზე, პალატა მიიჩნია, რომ საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს ამ ნაწილში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე.

აღნიშნული განჩინება შ. გ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა მორალური ზიანის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმებისა და ამ ნაწილში საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის განმარტებით, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელი და ზედაპირულია. სასამართლომ არასწორად განმარტა კონსტიტუციის მე-14 მუხლი და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი, რომ არა მოსარჩელის ოპოზიციური პარტიის წევრობა, მიღებული იქნებოდა სხვა გადაწყვეტილება, ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტი ცალსახად დასტურდება. სასამართლოს მიდგომას თუ გავიზიარებთ, არჩევითი თანამდებობის პირების მი-

მართ დისკრიმინაციული მოპყრობა დასაშვებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, გასაჩივრებულნი განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. გ-ის თანამდებობიდან გათავისუფლება დისკრიმინაციული არ იყო.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს მოცემული საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს:

1. შ. გ-ე 2013 წლის 19 თებერვლიდან არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „...“ წევრი;

2. მპგ „...“ თავმჯდომარის ი. ქ-ის 2013 წლის 23 მაისის №67-111 ბრძანებით შ. გ-ე დაინიშნა მპგ „...“ ახალციხის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად;

3. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №14 განკარგულებით საკრებულოს წევრი შ. გ-ე არჩეული იქნა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ;

4. 2014 წლის 5 ნოემბერს მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „...“ დატოვა კოალიცია „...“ .

5. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „...“ წევრებმა მ. მ-ემ, კ. ბ-ემ, ა. ბ-მა, გ. პ-მა, ს. ო-მა, კ. გ-მა და დ. ლ-ემ 2014 წლის 18 ნოემბერს განცხადებით მიმართეს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და მოითხოვეს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შ. გ-ის კომისიის თავმჯდომარეობიდან გადაყენების თაობაზე საკითხის განხილვისათვის 2014 წლის 21 ნოემბერს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

6. 2014 წლის 21 ნოემბერს გამართულ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე შ. გ-ე გადაყენებული იქნა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ... საკითხთა კომისიის თავმჯდომარეობიდან, რის თაობაზეც მიღებული იქნა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №48 განკარგულება.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განსხვავებული მოპყრობა, რომელიც ემყარება იდენტიფიცირებად მახასიათებელს ან სტატუსს, კონვენციის მე-14 მუხლის მიზნებისათვის დისკრიმინაციად განიხილება, გარდა ამისა, იმისათვის, რომ კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად დისკრიმინაცია არსებობდეს, სახეზე უნდა იყოს ერთნაირ ან მსგავსს ვითარებაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამამართლებელი საფუძველი, ანუ, თუ არ ემსახურება კანონიერ მიზანს, ან არ არის პროპორციული მისაღწევ მიზანთან მიმართებით. დისკრიმინაციის ცნება, შეიძლება, ისეთ შემთხვევასაც მოიცავდეს, როცა, ობიექტური გამართლების გარეშე, პირი ან პირთა ჯგუფი არ ექვემდებარება უპირატესს მოპყრობას, ვიდრე სხვა პირები, მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობის მინიჭების მოთხოვნა კონვენციიდან პირდაპირ არ

გამომდინარეობს (იხ. მაგ. CASE OF BIAO v. DENMARK, 89-90).

შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციას კრძალავს საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2-5 პუნქტები. აღნიშნული ნორმების თანახმად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი, რაც, კასატორის მოსაზრებით, დისკრიმინაციული იყო, ვინაი-

დან, გათავისუფლებას საფუძვლად დაედო მისი კონკრეტული პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განმარტავს, რომ სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დანესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას. კანონის 23-ე მუხლი ასევე განსაზღვრავს, რომ მოხელე სამსახურში მიიღება განუსაზღვრელი ვადით და გამოყოფს შემთხვევებს, როდესაც მოხელის თანამდებობაზე ყოფნის ვადა განისაზღვრება სხვა ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რომელიც უმეტესად კავშირშია არჩევითი პოლიტიკური თანამდებობის პირების უფლებამოსილების ვადასთან.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე აირჩევა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში, ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნა და საქმიანობის წესები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამავე კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად კი, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულომ არ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენე-

ბის პროცედურის ხელმეორედ დაწყება მომდევნო 3 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, არ არის დადგენილი რაიმე წინასწარი საფუძვლის არსებობის სავალდებულობა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადასაყენებლად. კომისიის შექმნა, მისი თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენების საკითხი საკრებულოს დისკრეციას მიეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოების განმარტებას, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 23-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის საკრებულო არჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. საკრებულოს წევრი არის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში არჩეული პირი, რომელიც ვალდებულია დაიცვას კონსტიტუცია, საქართველოს კანონმდებლობა და რეგლამენტი, მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიათა მუშაობაში და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს იმ მიზნით, რომლის მისაღწევად აქვს მინიჭებული ეს უფლებამოსილება. საქართველოს კანონმდებლობა ამ შემთხვევაში საკრებულოს წევრს ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს სხდომაზე დასმული საკითხის ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება, საკრებულოს წევრს აქვს სრული უფლებამოსილება დამოუკიდებლად განსაზღვროს და მიიღოს გადაწყვეტილება სხდომაზე დასმულ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სასამართლო უთითებს, რომ პოლიტიკური დისკრიმინაცია, არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას პოლიტიკური ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. მოცემულ შემთხვევაში, კი საკრებულოს წევრების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება, რიგგარეშე სხდომაში მონაწილეობის მიღება და ამა თუ იმ კანდიდატურისათვის ხმის მიცემა ან არ მიცემა, ვერ ჩაითვლება პოლიტიკურ დისკრიმინაციად. საკრებულოს წევრი ამ დროს სარგებლობს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით, რომლის განხორციელებითაც არ მომხდარა შ. გ-

ის პოლიტიკური ნიშნით შევიწროვება და განსხვავებული მოპყრობა, აღნიშნულის, როგორც დისკრიმინაციული მოპყრობის განხილვა არასწორია, რადგან საკრებულოს მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებისას ბუნებრივია, რომ ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება მისაღებია ერთი პოლიტიკური ჯგუფისათვის და მიუღებელია მეორე ჯგუფისათვის.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება მოსაზრებას, რომ შ. გ-ეს არ შეზღუდვია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა, რაც შეეხება მის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი ბათილადაა ცნობილი საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მონვევის წესის დარღვევის გამო და ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და ძალაში უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება შ. გ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

ადმინისტრაციული ორბანოს მიერ არასწორი საჯარო ინფორმაციის გაცემით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება

განჩინება

№ბს-134-132(კ-15)

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 25 დეკემბერს სს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 13 დეკემბერს სს „...“ და შპს „პ...“ შორის გაფორმდა საკრედიტო პროდუქტების მომსახურების შესახებ №807611/1 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში 2008 წლის 3 ივნისს გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №807611-853817, რომლის საფუძველზეც ბანკმა შპს „პ...“ საბანკო კრედიტის სახით გასცა 300 000 ლარი. 2008 წლის 9 იანვარს სს „...“ და შპს „პ...“ შორის აღნიშნული საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად გაფორმდა ნოტარიულად დამოწმებული გირავნობის ხელშეკრულება №807611/2. გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გირავნობით დაიტვირთა შპს „პ...“ კუთვნილი მოძრავი ნივთი კოშკურა აძნე პოტენინის ფირმის მოდელი H20/14C ნომერი გირავნობის საგანზე გირავნობა და ყადაღა რეგისტრირებული არ იყო, რაც დასტურდებოდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 26 დეკემბერს გაცემული №12/01-47995 წერილით.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „პ...“ ბანკის მიმართ ნაკისრი თანხის გადახდის ვალდებულება დაარღვია, სს „...“ 2012 წლის

12 სექტემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომლითაც ბანკმა შპს „პ...“ 32 896 ლარის დაკისრება და დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონზე გირავნობით დატვირთული მოძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა მოითხოვა. 2012 წლის 23 ოქტომბერს სასამართლომ დააკმაყოფილა ბანკის მოთხოვნა შპს „პ...“ 32 896 ლარის დაკისრებისა და მოძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევის შესახებ და 28 ნოემბერს გასცა სააღსრულებო ფურცელი.

2012 წლის 12 დეკემბერს ბანკმა მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს იძულებით აღსრულების პროცედურების დაწყების შესახებ სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხის გადახდევინების მიზნით. სააღსრულებო წარმოების პროცესში აღმოჩნდა, რომ შპს „პ...“ კუთვნილ ქონებაზე გავრცელებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება, რომელიც ბანკის მიერ მოძრავ ნივთზე გირავნობის რეგისტრაციის მომენტში და მას შემდეგაც რამდენიმე წელი რეგისტრირებული არ იყო. ამდენად, მოსარჩელის მითითებით, ადმინისტრაციული ორგანო – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას ქმნიდა არასწორ საჯარო ინფორმაციას.

მოსარჩელის მითითებით, გირავნობის რეგისტრაციის დროისთვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო დაწესებულების ვალდებულებაზე შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში.

მოსარჩელის მოსაზრებით, საჯარო რეესტრის შეცდომის გამო ბანკს მიადგა ზიანი 32 896 ლარის ოდენობით, კერძოდ, რომ არა ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომა ბანკი არ დატვირთავდა გირავნობის უფლებით უკვე საგადასახადოს პირველი რიგის გირავნობით დატვირთულ ქონებას ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ამდენად, მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის სს „...“ სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 32896 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 იანვრის საოქმო განჩინებით სა-

ქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „პ...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 13 დეკემბერს სს „...“ და შპს „პ...“ შორის გაფორმდა საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, ხოლო 2008 წლის 3 ივნისს მათ შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სს „...“ შპს „პ...“ მისცა საბანკო კრედიტი 300000 ლარის ოდენობით.

2008 წლის 9 იანვარს, ზემოაღნიშნული საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, სს „...“ და შპს „პ...“ შორის სანოტარო წესით დაიდო გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის უფლებით დაიტვირთა შპს „პ...“ კუთვნილი მოძრავი ნივთი – კომპიურა აშწე პოტენიის ფირმის მოდელი H20/14C, ნომერი სს „...“ დაეყრდნო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 26.12.2007 წელს ი. კ-ის განცხადების საპასუხოდ გაცემულ №12/01-47995 წერილს, რომლის თანახმად, გირავნობის საგანზე არ იყო რეგისტრირებული გირავნობა და ყადაღა.

2012 წლის 12 სექტემბერს სს „...“ წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე შპს „პ...“ მიმართ დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „პ...ს“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანების გადახდა 32896 ლარის ოდენობით. დავალიანების დაფარვის მიზნით, აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა გირავნობით დატვირთული კომპიურა აშწე პოტენიის ფირმის. 2012 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2012 წლის 12 დეკემბერს ბანკმა მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს იძულებითი აღსრულების პროცედურების დაწყების შესახებ სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხის გადახდევინების მიზნით. სააღსრულებო წარმოების პროცესში აღმოჩნდა, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2007 წლის 21 ნოემბრის, 2008 წლის 16 ივლისისა და ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 11 აგვისტოს მიმართვების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „პ...“ ქონებაზე განხორციელებული იყო საგა-

დასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის რეგისტრაცია 2007 წლის 28 ნოემბერს, 2008 წლის 21 ივლისსა და 2009 წლის 12 აგვისტოს.

2013 წლის 12 აპრილს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ განხორციელდა შპს „პ...“ კუთვნილი ქონების (კომპურა ამწე, პოტინის ფირმის) რეალიზაცია 45500 ლარად. ამოღებული თანხა, სააღსრულებო საფასურის, ხარჯისა და დღგ-ს გადარიცხვის შემდეგ, გადაეცა პირველი რიგის მოგირავნეს სსიპ შემოსავლების სამსახურს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, 207-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი კი ადგენს, რომ თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის და-

კისრების პირობები, კერძოდ, ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღვოდეს.

სს „...“ მიუთითებს, რომ იგი დაეყრდნო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 26.12.2007 წელს გაცემულ №12/01-47995 წერილს, რომლის შესაბამისადაც, ყადაღა და გირავნობა არ იყო რეგისტრირებული შპს „პ...“ კუთვნილ მოძრავ ნივთზე. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის მიერ ინფორმაციის სწორად და დროულად მიწოდების შემთხვევაში, მისთვის ცნობილი გახდებოდა გირავნობის საგანზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების არსებობა, რის გამოც ბანკი არ დატვირთავდა გირავნობით საგადასახადოს პირველი რიგის გირავნობით დატვირთულ ქონებას და არ მიაღებოდა ზიანი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითებული წერილი გაცა ი. კ-ის განცხადების საპასუხოდ, რომელშიც იგი ითხოვდა ინფორმაციას შპს „პ...“ კუთვნილ მოძრავ ნივთზე (კოშკურა ამავე პოტენის ფირმის მოდელი H20/14C) გირავნობისა და ყადაღის არსებობის თაობაზე. დაინტერესებულმა პირმა მითხოვა ინფორმაცია ქონებაზე მხოლოდ გირავნობისა და ყადაღის არსებობის შესახებ და მის მიერ არ გამოთხოვილა ინფორმაცია ქონებაზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა მიჯნავს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლებას გირავნობის უფლებისაგან. შესაბამისად, მოპასუხემ 26.12.2007 წლის წერილით გასცა კონკრეტულად ის ინფორმაცია, რასაც დაინტერესებული პირი ითხოვდა. მან მიუთითა, რომ ქონებაზე არ არსებობდა ყადაღა და გირავნობის უფლება, რაც არ გამოირიცხავდა ამ ქონებაზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის არსებობას.

სს „...“ დაეყრდნო ი. კ-ის განცხადების საფუძველზე მომზადებულ და წარმოდგენილ ინფორმაციას. მხარეთა ახსნა-განმარტების შედეგად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელისთვის არ იყო ცნობილი ამ პირის სამართლებრივი მიმართება მხარეებთან და მათ შორის დადებულ ხელშეკრულებასთან. მიუხედავად ამისა, სს „...“ თავად არ მიუმართავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით და დაეყრდნო მისთვის უცნობი პირის მიერ წარმოდგენილ წერილს. სასამართლოს მითითებით, ბანკს შეეძლო, შეემცირებინა სამართლებრივი რისკები საჯარო რეეს-

ტრის ეროვნული სააგენტოსადმი ინფორმაციის მისაღებად მიმართვის შემთხვევაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. ხოლო 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იკვეთება ზიანის ანაზღაურების დაკისრების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობების არსებობა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ არ განხორციელებულა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც გახდებოდა ზიანის დადგომის პირდაპირი და უშუალო მიზეზი. შესაბამისად, სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით სს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით ყურადღება გაამახვილა შემდეგზე:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 20.12.2007 წელს ი. კ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მოძრავ ნივთებზე გირავნობის რეგისტრაციის სექტორს, რომლითაც მოითხოვა ინფორმაცია მასზედ, იყო თუ არა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში შპს „პ...“ კუთ-

ვნილი მოძრავი ნივთის – კოშკურა ამნის, პოტინის ფირმის მო-
დელი H20/14C, ნომერი ..., გამო გირავნობა და ყადაღა; დადგე-
ნილია, რომ ი. კ-ემ მარეგისტრირებელი ორგანოსადმი მიმარ-
თვისას ისარგებლა განცხადების სტანდარტული ნიმუშით, რო-
მელიც (ანუ, განცხადების ტრაფარეტული ნიმუში) შედგენილი
ჰქონდა თავად მარეგისტრირებელ ორგანოს და სთავაზობდა
მომხმარებელს (დაინტერესებულ პირებს) მომსახურების გან-
ხორციელების დროს; დადგენილია, რომ განცხადების ტრაფა-
რეტულ ტექსტში ჩამოთვლილია ყველა ის სანივთო უფლების/
ვალდებულების სახეობა, რომელიც კი შესაძლებელია, რომ იყოს
რეგისტრირებული საჯარო რეესტრში მოძრავ ნივთებთან მი-
მართებაში; აღნიშნული ჩამონათვალი ასე გამოიყურება: 1) გი-
რავნობა, 2) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, 3) ყადაღა; მო-
ცემულ ჩამონათვალს აგრძელებს ცარიელი გრაფა, რომელიც
უნდა შეავსოს თავად განმცხადებელმა იმგვარად, რომ დააკონ-
კრეტოს, ზუსტად მიუთითოს, თუ რომელი სახის ვალდებულე-
ბის შესახებ ინფორმაცია აინტერესებს მას; დადგენილია, რომ
ი. კ-ემ ცარიელ გრაფაში ჩაწერა, მიუთითა მხოლოდ ორი სახის
ვალდებულებაზე – გირავნობაზე და ყადაღაზე, არ მიუთითა
განცხადების სტანდარტული ტექსტით გათვალისწინებული მე-
სამე სახის ვალდებულებაზე – საგადასახადო გირავნობა/იპო-
თეკაზე, რითაც მან მარეგისტრირებელი ორგანოს წინაშე გა-
მობატა მკაფიო და ნათელი ნება/სურვილი მასზედ, თუ რომე-
ლი სახის ვალდებულების შესახებ ინფორმაციის მიღება სურ-
და მას საჯარო რეესტრიდან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სს „...“ მისთვის მი-
ყენებული და სარჩელით მოთხოვნილი მატერიალური ზიანის
წარმოშობის საფუძვლად იმ ფაქტს მიიჩნევს, რომ მას დღემდე
არ აქვს უკან დაბრუნებული/მიღებული სესხის ხელშეკრულე-
ბის საფუძველზე მესამე პირისთვის – შპს „პ...“ ნასესხები თან-
ხა; აპელანტის – სს „...“ მსჯელობის ხაზი ასეთია: მასა და შპს
„პ...“ შორის დაიდო გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილი
სესხის ხელშეკრულება, გირავნობის უფლებით დაიტვირთა შპს
„პ...“ კუთვნილი მოძრავი ნივთი, გირავნობის ხელშეკრულების
დადებისას სს „...“ იხელმძღვანელა მარეგისტრირებელი ორგა-
ნოს (თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის) მიერ გაცემული წე-
რილობითი ინფორმაციით (26.12.2007 წლის №12/01-47995 წე-
რილი) მასზედ, რომ შპს „პ...“ კუთვნილ კოშკურა ამნეზე არ
ვრცელდებოდა (არ იყო რეგისტრირებული) არც გირავნობა და
არც ყადაღა. ხელშეკრულებების დადებისა და სესხის თანხის
გაცემის შემდეგ აღმოჩნდა, გაირკვა, რომ თბილისის სარეგის-

ტრაციო სამსახურის 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილი არ ასახავდა რეალობას, სინამდვილეში შპს „პ...“ მთელს ქონებაზე და მათ შორის – კომპურა ამწეზე უკვე რეგისტრირებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება; აპელანტის მსჯელობით, რომ არა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილში გამოსახული ინფორმაციის უსწორობა, იგი (ბანკი) არ დადებდა შპს „პ...“ არც გირავნობის და არც სესხის ხელშეკრულებებს, შპს „პ...“ არ ასესხებდა თანხას/იზრუნებდა სესხის სხვა გზით და საშუალებით უზრუნველყოფაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, 208-ე მუხლის პირველ ნაწილსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანი მხოლოდ მაშინ ანაზღაურდება, თუკი 1. პირი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, 2. პირის მოქმედება იყო განზრახი ან გაუფრთხილებელი, 3. უშუალოდ ამ მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახმა ან გაუფრთხილებელმა მოქმედებამ ზიანი მიაყენა სხვა პირს, კერძოდ შელახა პირის ქონებრივი ან/და არაქონებრივი უფლებები ან/და კანონით დაცული ინტერესები (მიზეზობრივი კავშირი); დელიქტით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელია სამივე პირობის თანადროულობა, თანაარსებობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის – სს „...“ შემთხვევაში არ არსებობს დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისთვის კანონით (სს კოდექსის 992-ე მუხლი) დადგენილი წინაპირობებიდან არცერთი წინაპირობა; კერძოდ, პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ პირის – თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მოქმედება, ანუ ი. კ-ის 20.12.2007 წლის განცხადების პასუხად 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილის გაცემა არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგოდ ქმედებას შემდეგ მოსაზრებათა გამო: უდავოა, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახური, როგორც საჯარო რეესტრის მწარმოებელი ადმინისტრაციული ორგანო, 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილის გაცემისას მოქმედებდა იმ დროს მოქმედი საკანონმდებლო აქტის – „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე; შესაბამისად, „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლი ადგენდა, რომ რეგისტრირებული მონა-

ცემები ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის, ხოლო რეგისტრაციის საფუძვლად გამოყენებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი თუ სხვა დოკუმენტაცია — მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) ადგენდა, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა... იმავე კოდექსის 37-ე მუხლი (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) ადგენდა, რომ ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაცენოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უდავოა, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა განმცხადებლის - ი. კ.-ის 20.12.2007 წლის განცხადების პასუხად 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილის გაცემისას შეასრულა ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმებით მასზე დაკისრებული ვალდებულება - მასთან დაცული საჯარო ინფორმაციის დაინტერესებული პირისთვის გადაცემის ვალდებულება ისე, რომ მას (მოპასუხე) ამ ვალდებულების შესრულებისას არ დაურღვევია არც ამ და არც სხვა სამართლებრივ ნორმათა მოთხოვნები - მარეგისტრირებელმა ორგანომ სწორედ ის ინფორმაცია მიაწოდა ი. კ.-ს, რომელ ინფორმაციასაც ითხოვდა ეს უკანასკნელი თავისი 20.12.2007 წლის განცხადებით; თბილისის სარეგისტრაციო სამსახური იმ შემთხვევაში იმოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, თუკი იგი: 1) დაუსაბუთებლად უარს იტყოდა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე, ან 2) მოთხოვნილი ინფორმაციის ნაცვლად გასცემდა სხვა, არამოთხოვნილ ინფორმაციას, ან 3) გასცემდა გადაუმოწმებელ, არასწორ ინფორმაციას; უდავოა, რომ ჩამოთვლილ შემთხვევათაგან არცერთს არ ჰქონია ადგილი მოცემულ საქმეზე; მტკიცება მასზედ, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს ევალებოდა და არ მიუთითა თავისი 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილში შპს „პ...“ ქონებაზე, მათ შორის - კომპურა ამწეზე გავრცელებული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების თაობაზე, უსაფუძვლოა, გამომ-

დინარე იმ მოსაზრებიდან, რომ საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს მიერ გასაცემი ინფორმაციის შინაარსი და მოცულობა წინასწარ განსაზღვრა თავად განმცხადებელმა (ი. კ-ემ) თავისი 20.12.2007 წლის განცხადებით, განცხადებაში გამოხატული მკაფიო და ნათელი ნების ხარჯზე; მოსაზრება მასზედ, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებული იყო, გარდა განცხადებაში მითითებული/დაკონკრეტებული ინფორმაციისა, გაეცა ასევე სხვა, განმცხადებლისთვის არასაინტერესო, განცხადებით არმოთხოვნილი ინფორმაცია, უსაფუძლოა, არ გამომდინარეობს კანონიდან.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ი. კ-ის 20.12.2007 წლის განცხადებაზე, რომელიც წარმოადგენს განცხადების სტანდარტულ ნიმუშს და რომელიც შედგენილი ჰქონდა რა თავად მარეგისტრირებელ ორგანოს, სთავაზობდა მომხმარებელს (დაინტერესებულ პირებს) მომსახურების განხორციელების დროს ისე, რომ დაინტერესებულ პირს განცხადების სტანდარტული ნიმუშის ყურადღებით ნაკითხვის პირობებში შეეძლო გაეაზრებინა და გადაეწყვიტა, თუ კონკრეტულად რა სახის ინფორმაციის მიღება სურდა მას მარეგისტრირებელი ორგანოსგან – ინფორმაციის შინაარსის დაკონკრეტებაში განმცხადებელს ეხმარებოდა განცხადების სტანდარტულ ტექსტში წარმოდგენილი სანივთო ვალდებულებების/უფლებების ჩამონათვალი; სადავო შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ი. კ-ემ ამ ჩამონათვალიდან არჩევანი გააკეთა ორი სახის სანივთო ვალდებულების – გირავნობის და ყადაღის სასარგებლოდ; მარეგისტრირებელ ორგანოს ი. კ-ის 20.12.2007 წლის განცხადების განხილვისა და მასზედ პასუხის მომზადების პირობებში არ შეეძლო და არც იყო ვალდებული, სცოდნოდა და ევარაუდა, რომ გარდა მოთხოვნილი ინფორმაციისა, ი. კ-ეს, სინამდვილეში, აინტერესებდა ასევე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების შესახებ ინფორმაციაც – ასეთი დაინტერესების პირობებში განმცხადებელს ისეთივე წარმატებით შეეძლო განცხადების შესაბამის გრაფაში საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის გამოსახვა, როგორც ეს მან გააკეთა გირავნობის და ყადაღის შემთხვევაში.

ამდენად, ზემოთ მოხმობილი მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახური ი. კ-ის 20.12.2007 წლის განცხადების პასუხად 26.12.2007 წლის № 12/01-47995 წერილის გაცემისას არ მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

აპელანტის მტკიცებით, განმცხადებელი ი. კ-ე, თავის დროზე, იყო შპს „პ...“ თანამშრომელი, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დასაგირავებელი ნივთის შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან მოიპოვა ი. კ-ემ. სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია აუცილებლად იმ ფაქტის გამორკვევა და დადგენა (ანუ, ნამდვილად შპს „პ...“ თანამშრომელი იყო თუ არა ი. კ-ე), რადგან მიუხედავად ამ უკანასკნელის სტატუსისა და შპს „პ...“ კავშირის ქონა/არქონისა, დავის გადაწყვეტისთვის არსებითად მნიშვნელოვანია 20.12.2007 წლის განცხადებაში ასახული მოთხოვნის და ამ მოთხოვნის პასუხად გაცემული წერილის შინაარსი; მოდავე მხარეთაგან არცერთი ეჭვქვეშ არ აყენებს 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილის ავთენტურობას.

ზიანის ანაზღაურების მიზნებისთვის პირის ქმედების ბრალეულობის (ბრალის სახის – განზრახვის ან გაუფრთხილებლობის განსაზღვრა), ასევე პირის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა რელევანტური იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი დადასტურდებოდა, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილის გაცემის პირობებში განახორციელა კანონსაწინააღმდეგო რეალაქტი; აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ სადავო შემთხვევაში თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის რეალაქტი კანონიერია, შესაბამისად, კანონიერი რეალაქტი შესრულდა განზრახ, თუ გაუფრთხილებლობით, მოცემული საქმისთვის არამნიშვნელოვანია, ასევე, ზიანის ანაზღაურების მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ითქვას, რომ კანონიერმა რეალაქტმა განაპირობა, გამოიწვია პირისთვის მატერიალური ზიანის წარმოშობა.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტის – სს „...“ მოსაზრება მასზე, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილში ასახული იყო (უნდა ყოფილიყო ასახული) ინფორმაცია შპს „პ...“ ქონების მიმართ როგორც ყადაღის და გირავნობის, ისე – საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლებების შესახებ, უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ ასეთი მოსაზრება ვარაუდის ტოლფასია, რომელიც ფაქტიურად არაფერს ეფუძნება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლსა (დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში) და 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ სასამართლომ გაითვალისწინა რა საქმის ფაქტობრივი მხარე, მიიჩნია, რომ აპელანტმა – სს „...“ თავისივე უმოქმედობით, ანუ საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოდან შესაბამისი

შინაარსის, სრულყოფილი ინფორმაციის არგამოთხოვით, ასევე უსაფუძვლო ვარაუდით მასზედ, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილში ასახული იყო ინფორმაცია შპს „პ...“ ქონების მიმართ როგორც ყადაღის და გირავნობის, ისე – საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების შესახებ, თავადვე შეუწყო ხელი მატერიალური ზიანის წარმოშობას, რაც გამორიცხავს მოპასუხისადმი წაყენებული პრეტენზიის გაზიარების, დაკმაყოფილების შესაძლებლობას. საკითხი იმის შესახებ, ცნობილი იყო თუ არა სს „...“ ი. კ-ის მიერ დაწერილი 20.12.2007 წლის განცხადების შინაარსი, განცხადებაში ასახული მოთხოვნების ჩამონათვალი, ორივე შემთხვევაში უნდა განიმარტოს სს „...“ ინტერესების საწინააღმდეგოდ; კერძოდ, განცხადების შინაარსის ცოდნის შემთხვევაში ბანკს საერთოდ არ უნდა ჰქონოდა მარეგისტრირებული ორგანოდან სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მოლოდინი, ხოლო არცოდნის შემთხვევაში მას არ გააჩნდა მყარი, უცილო საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილში ასახული იყო ინფორმაცია შპს „პ...“ ქონების მიმართ ასევე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმატებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. კასატორის მითითებით, მართლსაწინააღმდეგოა სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საკუთარი კანონისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, კერძოდ, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის დაურეგისტრირებლობა და არასწორი ინფორმაციის გაცემა და არა მის მიერ ი. კ-ისთვის პასუხის გაცემა, რაც მარეგისტრირებული ორგანოს კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენდა და აღნიშნული საკითხი სადავოდ არ ქცეულა.

კასატორის მოსაზრებით, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა გასცა არასწორი ინფორმაცია რამაც გამოიწვია შესაბამისი სამართლებრივი შედეგები და ბანკს მიადგა ზიანი. სასამართლოს განმარტებით ი. კ-ემ სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა განცხადების სტანდარტული ნიმუშით სადაც მიუთითა,

რომ იგი ითხოვდა ინფორმაციას „გირავნობისა“ და „ყადაღის“ შესახებ და ამ განცხადებით წინასწარ განსაზღვრა იმ ინფორმაციის მოცულობა რა ინფორმაცია უნდა გაეცა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და სასამართლოს მოსაზრებით სწორედ ამიტომ არ იყო ვალდებული რეესტრი მიეწოდებინა ინფორმაცია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია კერძოდ, „გირავნობა“ თავის თავში მოიცავს ყველა სახის სამართლებრივ შეზღუდვას, მათ შორის როგორც სისხლის სამართლებრივ ისე სამოქალაქო სამართლებრივსა და საგადასახადოს მიერ გავრცელებულ სამართლებრივ შეზღუდვას. სამართლებრივად ტერმინი „გირავნობა“ ინფორმაციის ბევრად უფრო ფართო არეალს ფარავს, ვიდრე საგადასახადო გირავნობა. სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი ერთმანეთისგან მიჯნავს გირავნობასა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკას, მაგრამ ვერ მიუთითებს სამართლებრივ ნორმაზე.

ამასთან, კასატორის განმარტებით, ბანკი დაეყრდნო საჯარო ინფორმაციას და მისი გადამონმების სამართლებრივი ვალდებულება მას არ ჰქონდა. რეესტრმა კი თავის მხრივ არ განახორციელა მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება, არ დაარეგისტრირა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა და გასცა არასწორი ინფორმაცია, რამაც გამოიწვია ბანკისთვის ზიანის მიყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სს „...“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განჩინებით სს „...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად და-

უზრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2007 წლის 13 დეკემბერს სს „...“ და შპს „პ...“ შორის გაფორმდა საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, ხოლო 2008 წლის 3 ივნისს, მათ შორის, დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სს „...“ შპს „პ...“ მისცა საბანკო კრედიტი 300000 ლარის ოდენობით. 2008 წლის 9 იანვარს, აღნიშნული საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, სს „...“ და შპს „პ...“ შორის სანოტარო წესით გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის უფლებით დაიტვირთა შპს „პ...“ კუთვნილი მოძრავი ნივთი – კომპიურა ამწე პოტეინის ფირმის მოდელი H20/14C, ნომერი ... სს „...“ დაეყრდნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 26.12.2007 წელს ი. კ-ის განცხადების საპასუხოდ გაცემულ №12/01-47995 წერილს, რომლის თანახმად, გირავნობის საგანზე რეგისტრირებული არ იყო გირავნობა და ყადაღა.

2012 წლის 12 სექტემბერს სს „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე შპს „პ...“ მიმართ დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „პ...“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანების გადახდა 32896 ლარის ოდენობით. დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა გირავნობით დატვირთული კომპიურა ამწე პოტეინის ფირმის. 2012 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2012 წლის 12 დეკემბერს ბანკმა მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს იძულებითი აღსრულების პროცედურების დაწყების შესახებ სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხის გადახდევინების მიზნით. სააღსრულებო წარმოების პროცესში აღმოჩნდა, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2007 წლის 21 ნოემბრის, 2008 წლის 16 ივლისისა და ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 11 აგვისტოს მიმართვების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „პ...“ ქონებაზე განხორციელებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის რეგისტრაცია 2007 წლის 28 ნოემბერს, 2008 წლის 21 ივლისსა და 2009 წლის 12 აგვისტოს.

2013 წლის 12 აპრილს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ განხორციელდა შპს „პ...“ კუთვნილი ქონების (კომპიურა ამწე, პოტეინის ფირმის) რეალიზაცია 45500 ლარად. ამოღებული

თანხა, სააღსრულებო საფასურის, ხარჯისა და დღგ-ს გადარიცხვის შემდეგ, გადაეცა პირველი რიგის მოგირავნეს სსიპ შემოსავლების სამსახურს.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრისთვის მის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება, ვინაიდან, მოსარჩელის – სს „...“ მტკიცებით, რომ არა სარეგისტრაციო სამსახურის 26.12.2007 წლის №12/01-47995 წერილით გაცემული არასწორი საჯარო ინფორმაცია, ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად სს „...“ გირავნობის უფლებით არ დატვირთავდა საგადასახადო გირავნობით დატვირთულ ქონებას.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო განსახილველი დავის ფარგლებში მნიშვნელოვნად მიიჩნევს სათანადო შეფასება მიეცეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერებას თავად საჯარო რეესტრის არსებობის მიზნებისა და მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდგომში საჯარო რეესტრის მიერ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად და კანონის შესაბამისად განხორციელების კუთხით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სარეგისტრაციო სამსახურის ქმედების კანონიერების შეფასებას, რითაც წინააღმდეგობაში მოვიდნენ საჯარო რეესტრის საქმიანობის მიზნებსა და პრინციპებთან და შექმნეს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასწორი პრაქტიკის დამკვიდრების ტენდენცია. ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტებები ეწინააღმდეგება თავად საჯარო რეესტრის საქმიანობის არსს და საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. სადავო საკითხის ამგვარი განმარტებით იკარგება საჯარო რეესტრის მიმართ ნდობის ხარისხი.

სადავო არ არის ის გარემოება, რომ 20.12.2007 წელს, როდესაც ი. კ-ემ განცხადებით მიმართა სარეგისტრაციო სამსახურს შპს „პ...“ კუთვნილ მოძრავ ნივთზე (კოშკურა ამწე, პოტინის ფირმის მოდელი H20/14C, ნომერი ...) გირავნობისა და ყადაღის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, ი. კ-ემ ისარგებლა განცხადების სტანდარტული ნიმუშით, რომელიც შედგენილი ჰქონდა თავად მარეგისტრირებელ ორგანოს და სთავაზობდა მომხმარებელს (დაინტერესებულ პირებს) მომსახურების განხორციელების დროს. დადგენილია, რომ მიუხედავად განცხა-

დების ტექსტში ჩამოთვლილი სანივთო უფლების/ვალდებულების სახეობისა – 1) გირავნობა, 2) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, 3) ყადაღა – ი. კ-ემ ცარიელ გრაფაში მიუთითა გირავნობასა და ყადაღაზე. თავის მხრივ, სარეგისტრაციო სამსახურმა 26.12.2007 წერილით ი. კ-ეს აცნობა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობის და ყადაღის შესახებ დაცული მონაცემებით, მოთხოვნის მომენტისათვის მოძრავ ქონებაზე გირავნობა და ყადაღა რეგისტრირებული არ იყო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს განმცხადებლის მოტივებზე, როდესაც იგი მარეგისტრირებელ ორგანოს ამა თუ იმ ნივთის უფლებრივი მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართავს. ასეთ დროს განმცხადებელს სურს მიიღოს ინფორმაცია მისთვის სასურველი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ამასთან, როდესაც განმცხადებელი დაინტერესებულია ნივთზე ზოგადად გირავნობის უფლების არსებობა-არარსებობით, მით უფრო უნდა მიენოდოს მას ინფორმაცია საგადასახადო გირავნობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვინაიდან, ნივთზე ამ უკანასკნელის გავრცელება არსებით ზეგავლენას ახდენს მის სამართლებრივ მდგომარეობაზე. თავად საჯარო რეესტრი კი მისი არსებობის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც ინფორმაციის სიზუსტისა და უტყუარობის გარანტს უნდა ქმნიდეს, დაუშვებელია ფორმალურად მიუდგეს მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არასრული ინფორმაცია გასცეს მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ სიტყვასიტყვით რაც იყო განცხადებით მოთხოვნილი მანაც ის ინფორმაცია გასცა, ინფორმაციის მოთხოვნის მიზნის გაუთვალისწინებლად. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ მითითებული გირავნობა არ გამოიციხავს ნივთზე გავრცელებულ საგადასახადო გირავნობაზე ინფორმაციის გაცემას. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას მასზედ, რომ სამართლებრივად ტერმინი „გირავნობა“ ინფორმაციის ბევრად უფრო ფართო არეალს მოიცავს, ვიდრე საგადასახადო გირავნობა. მოთხოვნილ მოძრავ ქონებაზე არსებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გაურკვეველია სარეგისტრაციო სამსახურმა რატომ არ გასცა ინფორმაცია საგადასახადო გირავნობის არსებობის შესახებ, იმ პირობებში, როდესაც შპს „პ...“ მთელ ქონებაზე გავრცელებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. დაუშვებელია კანონშესაბამისად შე-

ფასდეს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაცია გირავნობის არარსებობასთან დაკავშირებით, როდესაც შპს „პ...“ მთელ ქონებაზე გავრცელებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა (სადავო პერიოდში მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 4¹ მუხლითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 69-ე მუხლით დადგენილი იყო რეგისტრირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი პირისათვის). მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ შეთავაზებული განცხადების სტანდარტული ნიმუში კი, რომელიც შედგენილი ჰქონდა თავად ადმინისტრაციულ ორგანოს და სთავაზობდა მომხმარებელს მომსახურების განხორციელების დროს, მარეგისტრირებელ ორგანოს არ ათავისუფლებს მასზე დაკისრებული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულებისგან; საგულისხმოა, რა მოცულობის ინფორმაციას გასცემდა სარეგისტრაციო სამსახური, დაინტერესებულ პირს გირავნობაზე ინფორმაციის მოთხოვნისას განცხადების სტანდარტული ნიმუშით, რომ არ ესარგებლა. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილების ამგვარი განხორციელება რისკის შემცველია დაინტერესებულ პირისთვის, ეს იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრი ნდობის მაღალ გარანტს უნდა ქმნიდეს.

ასევე იმ გარემოებაზე მითითება, რომ უშუალოდ სს „...“ არ მიუმართავს მარეგისტრირებელი ორგანოსთვის და იგი ი. კ-ის განცხადებას დაეყრდნო, ვერ შეცვლის ფაქტს იმის შესახებ, რომ სადავო ქონებასთან მიმართებაში სარეგისტრაციო სამსახურმა არასრული ინფორმაცია გასცა. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თავად მარეგისტრირებელი ორგანოს ქმედების შეფასება, მოქმედებდა თუ არა იგი კანონის შესაბამისად. სს „...“ დაეყრდნო საჯარო ინფორმაციას, რომლის უტყუარობასა და სისწორეზეც პასუხისმგებელია ინფორმაციის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას გადამწყვეტია დადგინდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კანონით განსაზღვრული აუცილებელი პირობების არსებობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია სახელმწიფო ორგანოებისა და მომსახურეების უკანონო ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურების უფლება, კერძოდ, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9

ნაწილის მიხედვით, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების რეალიზაციას ემსახურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი, რომელიც უშუალოდ აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ზიანის ანაზღაურების განსაკუთრებული წესია დადგენილი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კი აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალი და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

საკაცაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და

მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს სს „...“ მიყენებული მატერიალური ზიანი გამონვეულია თუ არა უშუალოდ სარეგისტრაციო სამსახურის ქმედებით.

საკასაციო სასამართლო საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს თავად სს „...“ ინფორმაციულ დამოკიდებულებაზე სადავო მოძრავ ნივთზე გავრცელებულ სამართლებრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით, ხომ არ ფლობდა ბანკი ინფორმაციას გირავნობის საგნის უფლებრივ ნაკლზე და წარმოდგენილი სარჩელი ხომ არ ქმნის ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების ფორმალურ საფუძველს. ასევე, საგულისხმოა, რამდენად არსებობდა შესაძლებლობა სს „...“ მიეღო ინფორმაცია სადავო მოძრავ ქონებაზე გავრცელებული სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული
ზიანის დაკისრების შესახებ აქტის სააპელაციო
წესით გასაჩივრების დასაშვებობა**

განჩინება

№ბს-319-315(კს-15)

1 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 24 დეკემბერს ა. კ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, 2014 წლის 24 ნოემბერს ქ. თბილისში, მარცხენა სანაპიროზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა ორი ავტომობილი. შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომლითაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე ჯარიმა დაეკისრა ა. კ-ას.

მოსარჩელის მითითებით, მან ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზევე გაასაჩივრა სამართალდარღვევათა ოქმი, მაგრამ მის საჩივარს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით მოსარჩელეს დაეკისრა ასევე 4997,2 ლარის გადახდა მოქალაქე ა. ქ-ის სასარგებლოდ, რაზეც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, ხოლო სააღსრულებო ბიუროს მიერ 2014 წლის 11 დეკემბერს დაიწყო სააღსრულებო წარმოება.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მომხდარი სამართალდარღვევის

ფაქტზე საქმის წარმოება კანონის უხეში დარღვევით განხორციელდა და საქმე ხელახალი შესწავლისათვის უნდა დაბრუნებოდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებად მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე, 234¹-ე, 236-ე, 237-ე მე-40, 260-ე, 281-ე მუხლებზე, მიიჩნია, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელს შემთხვევის ადგილზე სრულფასოვნად არ შეუსწავლია საქმის გარემოებები, რის გამოც მოსარჩელემ მოითხოვა 2014 წლის 24 ნოემბრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №061268 ოქმის, ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 5 დეკემბრის №სპ061268 დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება. ამასთან, მოსარჩელემ მოითხოვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სააღსრულებო წარმოების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ა. კ-ას სარჩელი მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციულ საჩივრად და დაექვემდებარა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა ა. კ-ას შუამდგომლობა აღსრულების შეჩერების შესახებ და სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საპატრულო პოლიციის 2014 წლის 5 დეკემბრის №სპ061268 დადგენილებისა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლით დაწყებული იძულებითი აღსრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის დადგენილებით ა. კ-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამასთანავე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის დადგენილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა ა. კ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2015 წლის 31 მარტის დადგენილებით ა. კ-ას საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია ის სამართალდარღვევები, რომელთა განხილვის კომპეტენციაც საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებს აქვთ მინიჭებული. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234'-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილება, გარდა ამ კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მხარეებმა შეიძლება ამავე კოდექსის 273-ე მუხლით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გასაჩივრდეს ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234'-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლი არ ითვალისწინებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ აღნიშნული კატეგორიის საქმის განხილვის შედეგად მიღებული დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 31 მარტის დადგენილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. კ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული დადგენილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის არსებითად განსახილველად დაბრუნება მოითხოვა. ამას-

თან, კერძო საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა გასაჩივრებული დადგენილების მოქმედების შეჩერების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შემდეგაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. კ-ას კერძო საჩივარი იმ ნაწილში, რომელიც ეხება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 24 ნოემბრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №061268 ოქმის ბათილად ცნობის შესახებ საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 31 მარტის დადგენილების გაუქმებას, უნდა დარჩეს განუხილველად, ხოლო ა. კ-ას კერძო საჩივარი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 5 დეკემბრის №სპ061268 დადგენილებისა და საალსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის შესახებ საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 31 მარტის დადგენილების გაუქმების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 24 ნოემბრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №061268 ოქმით ა. კ-ას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე დაეკისრა ჯარიმა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234¹-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიცემულ წერილობით ახსნა-განმარტებაში ა. კ-ამ დააფიქსირა, რომ იგი მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით თავის ბრალეულობას არ ეთანხმებოდა, თუმცა ამის შემდგომ, სამართალდარღვევის ოქმის გაცნობიდან 10 დღის ვადაში მას ადმინისტრაციული საჩივარი არ წარუდგენია. აღნიშნულის შესაბამისად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა 2014 წლის 5 დეკემბერს გამოსცა დადგენილება ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ.

2014 წლის 24 დეკემბერს ა. კ-ამ მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის დადგენილებით ა. კ-ას საჩივარი საპატრულო პოლიციის დეპარტა-

მენტის 2014 წლის 24 ნოემბრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №061268 ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა გასაჩივრების ვადის გაშვების გამო, ხოლო ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 5 დეკემბრის №სპ061268 დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის ნაწილში საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით. საქალაქო სასამართლოს მითითებული დადგენილებით მხარეს განემარტა თბილისის სააპელაციო სასამართლოში დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ, რაც არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ და 2015 წლის 31 მარტის დადგენილებით ა. კ-ას საჩივარი დატოვა განუხილველად ყველა მოთხოვნის ნაწილში.

წარმოდგენილ კერძო საჩივარში მოყვანილი არგუმენტები მოცემულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების წესს ეხება.

საკასაციო სასამართლო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 24 ნოემბრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №061268 ოქმის გასაჩივრების წესთან დაკავშირებით ეყრდნობა საკასაციო სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას (იხ. 2015 წლის 22 იანვრის განჩინება საქმე №ბს-454-448(კს-14)), სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კანონმდებელმა ახლებურად დაარეგულირა სასამართლოთა კომპეტენცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვასთან დაკავშირებით.

„საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 26 აპრილის კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: მაგისტრატი მოსამართლეები განიხილავენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე საქმეებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ამავე მუხლის „ბ¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლეები განიხილავენ ასევე სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე, სასამართლოს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამარ-

თაღდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

ამდენად, კანონმდებელმა ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხის განხილვა დაუქვემდებარა სასამართლოთა მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით განხილვას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტებზე საპატრულო პოლიციელი უფლებამოსილია ადგილზე გამოწეროს საჯარიმო ქვითარი. საქმეთა ადგილზე განხილვის კომპეტენციას განსაზღვრავს სამართალდარღვევათა კოდექსის 234¹-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას, მის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადებას და საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის.

აღნიშნული წესით განხილულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესს განსაზღვრავს სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ორგანოს (თამანდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; გადაწყვეტილება სხვაგვარი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რის შემდეგაც საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულიად არ დაუშვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის

9 თებერვლის დადგენილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად, ამ ნაწილში ა. კ-ას კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი დაუშვებლობის გამო, რამდენადაც არ არსებობს განსახილველად მისი დაშვების პროცესუალური წინაპირობა, რაზეც გავლენას არ ახდენს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ გაკეთებული არასწორი განმარტება. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონის ანალოგიის გამოყენება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი (სსსკ-ის 7.1 მუხლი), ხოლო მოქმედი სამართლებრივი ნორმის საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენა სცილდება საერთო სასამართლოთა კომპეტენციის ფარგლებს. ასეთის ვარაუდის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია ისარგებლოს სსსკ-ის 6.2 მუხლით მინიჭებული პროცესუალური კომპეტენციით.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ დადგენილებას ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 5 დეკემბრის №სპ061268 დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის შესახებ საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მითითებული აქტის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი გასაჩივრების წესის გავრცელებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლი განსაზღვრავს სამართალდარღვევით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესსა და ამგვარი ვალდებულების დაკისრებაზე უფლებამოსილ ორგანოს. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილით, 119-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 120-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-5 და მე-10 ნაწილებით განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც დაზიანებულია სატრანსპორტო საშუალება, დადგენილია სამართალდამრღვევი და გამოწერილია შესაბამისი საჯარიმო ქვითარი, დაზარალებულის (სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მფლობელის) მიერ წარდგენილი განცხადებისა და უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შეფასების სა-

ფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი იღებს შესაბამის დადგენილებას და მის საფუძველზე გასცემს სააღსრულებო ფურცელს, რომლითაც სამართალდამრღვევს დაზარალებულის (სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/ მფლობელის) სასარგებლოდ დაეკისრება დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენის, ხოლო აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი შენაცვლებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება. მე-40 მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მე-40 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, დაზარალებულს, რომელიც არ გამოიყენებს ამ მუხლის მე-2–მე-6 ნაწილების დებულებებს, უფლება აქვს, სამართალდამრღვევთან იდავოს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს აქტი და მიყენებული ზიანის ანაზღაურება და აკისროს სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალეულ პირს, თუ კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილია ბრალეული პირი, საექსპერტო კვლევით დადასტურებულია მიყენებული ზიანის ოდენობა და უფლებამოსილი პირი ითხოვს მის ანაზღაურებას. მაგრამ ის გარემოება, რომ ზიანის დაკისრების ვალდებულება განისაზღვრება პოლიციის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით, არ უცვლის აქტით დაკისრებულ ვალდებულებას სამართლებრივ ბუნებას და ზიანის დაკისრების შესახებ აქტი არ უნდა იქნეს გაიგივებული სამართალდარღვევის შესახებ აქტთან, რომლის კანონიერების შემოწმება მოქმედმა კანონმდებლობამ განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს დაუქვემდებარა. ამგვარი აქტის გასაჩივრების წესი დადგენილია მე-40 მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მასზე არ ვრცელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი რეგულაცია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 5 დეკემბრის №სპ061268 დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე საჩივრის გან-

ხილვის არასწორი წესი დაადგინა სააპელაციო სასამართლომ, რის გამოც ამ ნაწილში ა. კ-ას საჩივარი განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნას იძულებითი აღსრულების შეჩერების შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა ა. კ-ას შუამდგომლობა აღსრულების შეჩერების შესახებ და სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საპატრულო პოლიციის 2014 წლის 5 დეკემბრის №სპ061268 დადგენილებისა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლით დაწყებული იძულებითი აღსრულება. მართალია, ა. კ-ას საჩივრის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის დადგენილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, მაგრამ იგი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ შესულა კანონიერ ძალაში, რამდენადაც გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, ხოლო წინამდებარე განჩინებით ქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საჩივარი ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს.

ამდენად, არ არსებობს აღსრულების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის ხელახლა განხილვის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-420-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. კ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 31 მარტის დადგენილება ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარ-

ტამენტი 2014 წლის 5 დეკემბრის №სპ061268 დადგენილები-
სა და საალსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე ა. კ-
ას საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილ-
ში ა. კ-ას საჩივარი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სა-
აპელაციო სასამართლოს;

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-
ლო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 24 ნოემბრის ადმი-
ნისტრაციული სამართალდარღვევის №061268 ოქმის ბათილად
ცნობის შესახებ ა. კ-ას საჩივრის განუხილველად დატოვების
თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 31 მარტის დადგენილების
გაუქმების ნაწილში ა. კ-ას კერძო საჩივარი დარჩეს განუხილ-
ველად;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-
ლოოა და არ საჩივრდება.

**სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის
შედეგად დამღვარი მატერიალური ზიანის
ანაზღაურება**

განჩინება

№ბს-745-731(კ-14)

29 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს
თავდაცვის სამინისტროს მიმართ, საქართველოს თავდაცვის
სამინისტროსათვის გ. გ-ის სასარგებლოდ ერთდროული დახმა-
რების სახით 7000 ლარის ოდენობით თანხის დაკისრების, სამი-
ნისტროსთვის გ. გ-ის სიცოცხლის ბოლომდე საყოფაცხოვრებო
მომვლელის თანხის – 500 ლარის ოდენობით დაკისრების და

მესამე პირისათვის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გ. გ-ის კომპენსაციის (ხელფასსა და პენსიას შორის) მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 1995-2002 წწ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის, ... მე-... სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის (ს/ნ ...) ს-4 (ლოჯისტიკის) ოფიცრის თანამდებობაზე, სამხედრო წოდებით – კაპიტანი.

21.07.2002 წ. სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოყვა ავტოკატასტროფაში და მიიღო მრავალჯერადი ტრავმა: კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, სახისა და შუბლის ძვლების მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაჟეჟილობა C 7 დონეზე, C 6 მალის ხაზოვანი მოტეხილობა, ზედა პარაპრეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციების მოშლა. იგი მიღებული ტრავმის შემდეგ გახდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი – მუდმივად საინვალიდო ეტლზე მიჯაჭვული. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არ შეუძია დამოუკიდებლად წელის წამოწევა, გვერდის შეცვლა, ინვალიდის ეტლში გადაჯდომა, საკვების მიღება. ამ ყველაფერში დასახმარებლად ორი ფიზიკურად ძლიერი ადამიანი ჭირდება. უვლის დედა და მეუღლე. დედა დაავადებულია გულ-სისხლძრვლთა დაავადებით და თვითონ საჭიროებს მოვლას, ხოლო მეუღლემ ეკონომიური სიდუხჭირის გამო დაიწყო მუშაობა, რის გამოც იძულებულნი არიან დაიქირაონ მომვლელი, რომელსაც უხდიან თვეში 500 ლარს.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ იგი ყოველწლიურად მიმართავდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა დაეფინანსებინა უკრაინაში, კერძოდ, ყირიმში არსებული ... სახელობის ცენტრში მისი სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის ხარჯები (რადგან ასეთი ტიპის ცენტრი საქართველოში არ არსებობს), მაგრამ უშედეგოდ. მან სესხითა და ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მხოლოდ ორჯერ – 2003 და 2006 წლებში მოახერხა აღნიშნულ ცენტრში კურსის გავლა, რის შედეგადაც გადაურჩა სიკვდილს. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ შრომის უნარი დაკარგული აქვს 100%-ით. მოსარჩელე დასახიჩრებამდე იღებდა სამხედრო წოდებისთვის სარგოს – 4.53 ლარს, თანამდებობრივ სარგოს – 39.24 ლარს, ნამსახურეობის პროცენტულ დანამატს – 8.75 ლარს, კვების კომპენსაციას – 59 ლარს, სულ 111.52 ლარს, მოსარჩელემ სამხედრო ნაწილიდან დაკმაყოფილებული იყო ფულადი კმაყოფით

2002 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით და ასევე კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდისთვის. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 05.03.2013წ. №7/7/1194 წერილითა და ამავე სამინისტროს 28.03.13წ. №9/779 წერილით დასტურდება, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.2007წ. №560 ბრძანების თანახმად, ს-4 (ლოგისტიკის) ოფიცრის ხელფასი ამჟამად შეადგენს: თანამდებობრივი სარგო – 1150 ლარი, ნოდებრივი სარგო – 40 ლარი, პროცენტული დანამატი, ნამსახურების წლებზე (20%) – 238 ლარი და კვების კომპენსაცია – 75 ლარი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 14.03.2014წ. მან განცხადებით მიმართა თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვა ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის გადაანგარიშება და მისთვის იმ თანხის დანიშვნა, რასაც შეადგენდა იმ საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი, რომელზედაც მუშაობდა დასახიჩრებამდე, ასევე მოითხოვა სპეციალური სამედიცინო მომვლელის, საყოფაცხოვრებო ხარჯების დანიშვნა და მორალური ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული განცხადება თავდაცვის სამინისტროს მიერ გადაგზავნილ იქნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.03.2014წ. გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. გ-ს კომპენსაცია დანიშნული აქვს 2003 წლის 4 მარტიდან მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველით, თანხით 113,5 ლარი. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, კომპენსაციის გადაანგარიშება ხდება სამსახურებრივი სტაჟის, სამხედრო ნოდების, სახელმწიფო პენსიისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გათვალისწინებით და შესაბამისად, მისთვის გადაანგარიშებულმა კომპენსაციამ შეადგინა 281.25 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2003 წლიდან 2013 წლამდე ს-4 (ლოგისტიკის) ოფიცრის ხელფასსა და გ. გ-ის პენსიას შორის სხვაობის მიხედვით სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების შესახებ უსაფუძვლოა.

რაც შეეხება ერთჯერადად 7000 ლარის ანაზღაურებას, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების უკუქცევით ძალაზე და განმარტა, რომ 2007 წლის ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია დათქმა ერთჯე-

რადი დახმარების გაცემის შესახებ, არ შეიცავს რაიმე დათქმას უკუქცევითი ძალის მინიჭებისა და მისი იმ სამართალურთიერთობაზე გავრცელების შესახებ, რომლებიც მის ამოქმედებამდე წარმოიშვა. აღნიშნული გამოორიცხავს მის გ. გ-ზე გავრცელებას.

სიცოცხლის ბოლომდე საყოფაცხოვრებო მომვლელის თანხის (500 ლარის) ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმის სწორად შეფარდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიზეზ-შედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობას – პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი ზიანის მიმყენებლის მოქმედების, ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის. ამდენად, აუცილებელია ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა, არც კონკრეტულ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს მიმართ არ დასტურდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.03.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. გ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.08.2014წ. განჩინებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.03.2014წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. №560 ბრძანება არ შეიცავს რაიმე დათქმას ბრძანების 38-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის უკუქცევითი ძალის მინიჭების შესახებ, რაც გამოორიცხავს მის მოქმედებას სადავო სამართალურთიერთობაზე. ერთჯერადი დახმარების გაცემის მოთხოვნა მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად სკ-ის 128.3 მუხლის საფუძველზე. სააპელაციო პალატა ნაწილობრივ დაეთანხმა აპელანტის არგუმენტაციას, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი ნორმები არეგულირებდნენ სამხედრო მომსახურეთათვის ერთჯერადი დახმარების გაცემის საკითხებს, თუმცა სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნა „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახების წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კა-

ნონის მე-6 მუხლზე დაყრდნობით. პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმა ძალადაკარგულია 23.12.2005წ. კანონით. მითითებული კანონის მოქმედების პერიოდში გ. გ-ს არ მიუძღვნა სასამართლოსთვის ანუ არ მოუხდენია უფლების რეალიზაცია. შესაბამისად, აპელანტის არგუმენტაცია ერთჯერადი თანხის ანაზღაურების შესახებ არ იქნა გაზიარებული. პალატამ ხაზგასმით მიუთითა, რომ ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით, გ. გ-მა სარჩელი სასამართლოში აღძრა ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი ხანდაზმულად იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. გ-ს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნული აქვს 04.03.2003 წ. თავდაცვის სამინისტროს ხაზით, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე, დანიშნული თანხა შეადგენდა 113,45 ლარს. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით გადაანგარიშებულმა თანხამ 218,25 ლარს შეადგენდა. კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/ნ ბრძანების №2 დანართის 2.1 მუხლის თანახმად, კომპენსაციის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. 22.03.13წ. კანონით „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 17.4 მუხლის განახლებული რედაქციის მიხედვით, 2013 წლია 1 აპრილიდან მოახდინა გ. გ-ის პენსიის გადაანგარიშება. რაც შეეხება ოფიცრის ხელფასს და გ. გ-ის პენსიას შორის სხვაობას, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლი ძალადაკარგულად არის გამოცხადებული 23.12.05წ. კანონით. ამ კანონით ძალადაკარგულია აგრეთვე „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზე აპელანტი ითხოვს საყოფაცხოვრებო მომვლელისათვის გასაწევი ყოველთვიური ხარჯის ანაზღაურებას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება,

რომ ტრავმა მიღებულია სამსახურებრივი მდგომარეობის შესრულებისას და დამდგარ შედეგში მოსარჩელეს არ მიუძღვის ბრალი, ხოლო თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზიანი ანაზღაურდება თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, ბრალი ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღვოდეს. ამასთან ქმედება, რომელმაც პირს ზიანი მიაყენა, უნდა გამომდინარეობდეს პირის სამსახურებრივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. გ-ი დაინვალიდდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ავტოკატასტროფის შედეგად. ამასთანავე, პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება თავდაცვის სამინისტროს ბრალეული ქმედებით გ. გ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობს სამინისტროსთვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა გ. გ-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით მოთხოვნის სრული მოცულობით დაკმაყოფილება. კასატორი აღნიშნავს, რომ სკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი შედეგით, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. თუ სამინისტროს და მის თანამშრომელს, რომელიც მართავდა ავტომანქანას, არ მიუძღვის ბრალი დამდგარ შედეგში, რატომ მიუძღვის ბრალი დამდგარ შედეგში მოსარჩელეს. კასატორმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის №3/3294-03 გადაწყვეტილებით, „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლზე დაყრდნობით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს გ. გ-ის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა მიუღებელი საპენსიო დანამატის სხვაობა, გადაწყვეტილება ძალაშია, ის მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია.

კასატორი თვლის, რომ აბსოლუტურად დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის შესახებ. სკ-

ის 411-ე მუხლი ითვალისწინებს არამხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის, არამედ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას ერთჯერადი დახმარების მოთხოვნასთან დაკავშირებით. სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა ის გარემოება, რომ დაინვალიდების გამო სამსახურიდან დათხოვნის დღეს მოქმედებდა „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონი, რომლის მე-6 მუხლი ითვალისწინებდა ერთდროული ფულადი დახმარების გაცემას. ერთი კანონის მეორეთი შეცვლა არ ათავისუფლებდა თავდაცვის სამინისტროს მისი მოვალეობის შესრულებისაგან – ერთჯერადი დახმარების განვიცისაგან.

საყოფაცხოვრებო მომვლელისათვის მომსახურების ღირებულებასთან დაკავშირებით კასატორი აღნიშნავს, რომ დაინვალიდების დროს მოქმედებდა საქართველოს პრეზიდენტის 18.11.04წ. №48 ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მოპასუხე ვალდებული იყო მომვლელის ხარჯები აენაზღაურებინა.

კასატორი თვლის, რომ სახეზეა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალეულობა, ვინაიდან გ. გ-ის მართვის ქვეშ არ ყოფილა ავტომანქანა, ავტოკატასტროფის შედეგად მას მიადგა ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ნათელია.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნეს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ გ. გ-ი 1995-2002 წწ მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის ... მე-... სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბა-

ტალიონის (ს/ნ ...) ს-4 (ლოჯისტიკის) ოფიცრის (სამხედრო ნოდება – კაპიტანი) თანამდებობაზე. 21.07.02წ. სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს იგი მოყვა ავტოკატასტროფაში, მიიღო ტრავმა: კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ზედა პარაპრეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციების მოშლა. 2002 წელს კადრების განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე გ. გ-ი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან და ჩაირიცხა რეზერვში. გ. გ-ი გათავისუფლდა თანამდებობიდან ავადმყოფობის გამო.

„სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა 1-ლი ჯგუფის ინვალიდებისათვის ან 75 წელს მიღწეული პენსიონრებისათვის, რომლებიც სამედიცინო დასკვნის საფუძველზე საჭიროებენ სხვა პირთა მუდმივ მოვლა-პატრონობას, დანამატის გაცემას მინიმალური პენსიის 2/3 ოდენობით. ხსენებული ნორმა ძალადაკარგულია 23.12.05წ. კანონით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 09.07.13წ. №01/63697 წერილის თანახმად, სპეციალური სამედიცინო მომვლელისა და საყოფაცხოვრებო მომვლელის ხარჯების დაფინანსება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოცემულ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის. საკასაციო პალატა თვლის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გაუთვალისწინებლობა არ ადასტურებს მოთხოვნის უსაფუძვლობას. დაუსაბუთებელია აგრეთვე მითითება ამ მოთხოვნის მიმართ ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის შესახებ. სააპელაციო პალატის მითითება „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონში 23.12.05წ. კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გაუქმებაზე არ ასაბუთებს მოსარჩელის მოთხოვნის ამ ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მართლზომიერებას. გ. გ-ი სარჩელით მოითხოვს სამისდღეშიოდ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ყოველთვიურად 500 (ხუთასი) ლარის გადახდის დაკისრებას. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მან 01.08.13წ. ხელშეკრულება დადო მომვლელთან მ. მ-ესთან, ყოველთვიური ანაზღაურების თანხა მოსარჩელეს სჭირდება მომვლელისათვის განეული მომსახუ-

რების ღირებულების ასანაზღაურებლად, რაც დასტურდება გ. გ-სა და საყოფაცხოვრებო მომვლელს შორის 06.08.13წ. ხელშეკრულების 4.1. პუნქტით. აღნიშნული მოთხოვნა არ არის დაკავშირებული მოთხოვნის წარმოშობის მომენტის ხანდაზმულობასთან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი სპეციალური სამედიცინო მომვლელის დანიშვნას არ ზღუდავს ინვალიდობის დადგენის მომენტიდან კონკრეტული ვადით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით სათანადო საჭიროებისას პირს აქვს შესაძლებლობა მისთვის მისაღებ დროს მოითხოვოს სამედიცინო მომვლელის დანიშვნა. ამასთანავე, სკ-ის 409-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის უკანასკნელი ღონისძიებაა, აღნიშნული შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთი მხრივ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება მისი ნატურით ან მაშინ, როდესაც ნატურით რესტიტუცია არათანაზომიერად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 26.1 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო ან საყოფაცხოვრებო მომსახურებას. ამდენად, კანონი ითვალისწინებს მომვლელის დანიშვნას სახელმწიფო ხარჯით, თუმცა არა მომვლელის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას. ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში მოსარჩელე თანხას ითხოვს მომვლელის მიერ განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების მიზნებით. ამდენად, აღნიშნული მოთხოვნა საჭიროებს დაზუსტებას, სასკ-ის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნის მიმართ დაზუსტებას საჭიროებს მოპასუხეთა წრე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება ამ ნაწილში არ არის სათანადოდ დასაბუთებული, მოთხოვნის ეს ნაწილი საჭიროებს დაზუსტებას, სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა მოთხოვნის ამ ნაწილში სსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხის სათანადობაზე. ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს მოპასუხედ დასახელებული ჰყავს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მა-

შინ, როდესაც „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, ამ მიმართებით კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში გასაჩვრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემომწმება არის შეუძლებელი, რის გამოც მოთხოვნის ამ ნაწილში სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, განჩინების ამ ნაწილში გაუქმებისა და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების პირობაა.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.2007წ. №560 ბრძანების 38-ე პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება მძიმე დაზიანებისას – 7000 ლარი, ხოლო ნაკლებად მძიმე დაზიანებისას – 3000 ლარი. ბრძანების 38-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოსარჩელე მოითხოვს მძიმე დაზიანების მიღებისათვის 7000 ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარების მისთვის გამოყოფის დაკისრებას მოპასუხისათვის. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის, სკ-ის მე-6 მუხლის შესაბამისად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არ აქვთ უკუქვევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. საქმის მასალებით დასტურდება და დავას არ იწვევს, რომ გ. გ-მა ტრავმა 21.07.02წ. მიიღო. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. ბრძანება არ შეიცავს ნორმის უკუძალის დამდგენ დებულებას.

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თავდაპირველი რედაქცია მოსამსახურის დაინვალიდების შემთხვევაში ითვალის-

წინებდნენ შრომისუნარიანობის სრული დაკარგვის შემთხვევაში 5 წლის ოდენობით სარგოს გაცემას. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაჭრის/დასახიჩრების ან მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც სადღეისოდ არსებული რედაქციით 20.04.05წ. კანონით შეტანილი დამატებების შედეგად ჩამოყალიბდა, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის 22.07.07.წ. კანონით ჩამოყალიბებული და ამჟამად მოქმედი რედაქცია, ითვალისწინებენ ერთჯერადი დახმარების სახით არა უმეტეს 7000 ლარის გაცემას. დახმარების ერთჯერადი თანხის მოთხოვნის უფლება პირს წარმოეშობა დასახიჩრების მიღებისთანავე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დასახიჩრების მომენტიდან აღნიშნული მოთხოვნის ხანდაზმულობის საერთო ვადა, რომელიც სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად 10 წელს შეადგენს, სარჩელის აღძვრის მომენტისათვის უკვე გასული იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკაცაიო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს მოთხოვნის ამ ნაწილის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სააკველაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება ამ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს.

სამხედრო მოსამსახურეებს შესაძლებლობის შეზღუდვის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ სამსახურის ხანგრძლივობის მიუხედავად. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირისათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა წარმოადგენს კომპენსაციის დანიშვნის საფუძველს („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-5, მე-16 მუხ., „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი, მე-17 მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. გ-ს კომპენსაცია დაენიშნა 2003 წლის 04 მარტიდან, თავდაცვის სამინისტროს ხაზით, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველით, კომპენსაციის ოდენობა 113,45 ლარს შეადგენდა. 2013 წლის 01 აპრილიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში, 22.03.13წ. კანონით შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, დადგენილია კომპენსაციის ოდენობის გადაანგარიშე-

ბის წესი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის მიმართ. კანონმდებლობის ცვალებადობის კვალდაკვალ მოსარჩელეს დანიშნული კომპენსაცია რამდენიმეჯერ გადაუანგარიშდა, ამჟამად ის ლეზულობს კომპენსაციის გადაანგარიშებულ თანხას. უკვე მოხდენილი გადაანგარიშების კანონიერების მიმართ მოსარჩელეს პრეტენზია არ წარუდგენია, მოსარჩელე დამატებით მოითხოვს გადაანგარიშებული კომპენსაციის ოდენობასა და ამჟამად ოფიცრის ხელფასს შორის სხვაობის დანიშვნას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სოციალური კანონმდებლობა არ ცნობს სოციალური მომსახურების სააგენტოს ვალდებულებას კომპენსაციის გადაანგარიშების შესახებ იმ საფუძველზე, რომ არსებობს სხვაობა დანიშნულ კომპენსაციასა და მიუღებელ ხელფასს შორის. პენსიასა და სამსახურში მყოფი პირის ხელფასს შორის სხვაობის ანაზღაურებას „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს, კომპენსაციის ახალი საფუძვლის შემოღება კანონის 2.2 მუხლის შესაბამისად დასაშვებია მხოლოდ ამ კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის გზით, კანონი ადგენს კომპენსაციის მიმღებ პირზე გასაცემი კომპენსაციის ზღვრულ ოდენობას (მე-7 მუხ.). აღნიშნული სხვაობის ანაზღაურება გათვალისწინებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესით“. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესი ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 02.06.07წ. №93 ბრძანებულებით, ხოლო საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი“ (1-ლი მუხ.) და საქართველოს მთავრობის 01.03.13წ. №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი“ (მე-5 მუხ.) არ ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეების მიმართ. ამდენად, კასატორის მითითება ამჟამად ძალადაკარგულ საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებულ წესზე არ ქმნის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. დაუსაბუთებელია აგრეთვე „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვ-

ნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლზე მითითება, ხსენებულმა ნორმამ ძალა დაკარგა საკანონმდებლო აქტში 23.12.05წ. კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად.

ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატა თვლის, რომ დაზუსტებას საჭიროებს მოსარჩელის მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფო კომპენსაციის – 33 903,33 ლარს, აგრეთვე 2013 წლის 1 ოქტომბრამდე სახელმწიფო კომპენსაციის ლოჯისტიკის ოფიცრის – კაპიტნის ხელფასის 85%, აგრეთვე ხელფასის შესაბამისად კომპენსაციის ზრდის დავალებას. კომპენსაციის გადაანგარიშების მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატის სხდომაზე აპელანტ გ. გ-ის წარმომადგენელმა მ. ბ-მა აღნიშნა, რომ ამ მოთხოვნაში იგულისხმება გ. გ-ისათვის დანიშნულ კომპენსაციასა და მისაღებ ხელფასს შორის სხვაობა. აპელანტმა მიუთითა, რომ გ. გ-ი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის ბრალით მოყვა ავტოსაგზაო შემთხვევაში, რის შედეგადაც მიიღო მრავლობითი დაზიანებები და გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, შესაბამისად, ვეღარ შეძლო თავდაცვის სამინისტროში დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელება, ამდენად, მიადგა ზიანი, რაც გამოიხატა მისთვის დანიშნულ კომპენსაციასა და მისაღებ ხელფასს შორის სხვაობაში. აღნიშნული სხვაობა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა ხელფასის ზრდასთან ერთად იზრდებოდა და ჯამში გასული პერიოდის განმავლობაში 37 690,39 ლარი შეადგინა. კასატორი თვლის, რომ სხვაობა უნდა ანაზღაურდეს სკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე, როგორც მიუღებელი შემოსავალი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, რადგან მის კომპეტენციაში შედის დანიშნული კომპენსაციის გადაანგარიშება. ამდენად, ფაქტიურად, საკითხი ეხება სახელმწიფო კომპენსაციასა და ლოჯისტიკის ოფიცრის – კაპიტნის ხელფასს შორის სხვაობის თანხის გადახდის დაკისრებას მოპასუხეზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ამ მოთხოვნას სარჩელის აღძვრისთანავე აყენებდა. მოთხოვნის საფუძველად მოსარჩელე უთითებდა არა მხოლოდ სოციალური უზრუნველყოფის სფეროს მომწესრიგებელ კანონმდებლობას, არამედ უპირველეს ყოვლისა დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელ კანონმდებლობას, კერძოდ, სკ-ის 408-ე, 409-ე, 411-ე, 415-ე მუხლებს. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონი ადგენს საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს (1-ლი მუხ.). შეზღუდული შესაძლებლობის სტა-

ტუის დადგენა კომპენსაციის დანიშვნის საფუძველია (5.1 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, კომპენსაციის მიმღებს უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით (25.1 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი), მათ შორის ზიანის ანაზღაურების უფლებით. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 22.4 მუხლის თანახმად, შრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ცნობილ მოქალაქეებს მიყენებულ ზარალს უნაზღაურებენ ბრალეული ორგანიზაციები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ამასთანავე, თუ კომპენსაციის დასანიშნად მიმართვა კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირს შეუძლია აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 6.3. მუხ., „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 3.1 მუხ.), ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადებს. თვით ის, რომ ტრავმის მიღების გამო გ. გ-მა დაკარგა სამსახური და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ წარმოშობს იმის გონივრულ ვარაუდს, რომ დასახიჩრების მიუღებლობის შემთხვევაში მოსარჩელე განაგრძობდა სამსახურს და მიიღებდა გაზრდილ გასამრჯელოს. ხსენებული განაპირობებდა მოსარჩელის ამ მოთხოვნის არა მხოლოდ სოციალური კანონმდებლობის, არამედ სამოქალაქო კოდექსის ნორმების მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დადგენის საჭიროებას. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო პალატა შემოიფარგლა მხოლოდ სოციალური სფეროს მომწესრიგებელ კანონმდებლობაზე მსჯელობით მაშინ, როდესაც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიმე აქტი. სასარჩელო მოთხოვნის ხსენებული ნაწილი ეფუძნებოდა სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის მიმართ მსჯელობას მოთხოვნის ხანდაზმულობის, სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან მისი შესაბამისობის თაობაზე, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის მიმართ მოსარჩელის მიერ მოპასუხის რამდენიმეჯერ შეცვლის მიუხედავად სააპელაციო პალატას სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე არ დაუდგენია მოთხოვნის ამ ნაწილის მიმართ სათანადო მოპასუხე.

გ. გ-ის წარმომადგენელი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად უთითებს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის №3/3294-03 გადაწყვეტილებას, რომლითაც დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა დანიშნული სოციალური დახმარებასა და ხელფასს შორის სხვაობის ანაზღაურების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულზე აპელანტი ყურადღებას ამახვილებდა სააპელაციო საჩივარში, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა, მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, გადაწყვეტილების აღუსრულებლობის (აღსრულების შეწყვეტის) მიზეზი, სარჩელის ხელმოწერედ აღძვრის დასაშვებობა.

სზაკ-ის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ გ. გ-ი დაინვალიდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ავტოკატასტროფის შედეგად, ამასთანავე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება სამინისტროს ბრალეული ქმედებით გ. გ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. სააპელაციო პალატას არ უმსჯელობია ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობებზე და შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ არ დასტურდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრალეული ქმედებით გ. გ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც სააპელაციო პალატის აზრით გამორიცხავს სამინისტროსათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ამ მოსაზრებას და თვლის, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა ზიანისათვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი (სკ-ის 999.1 მუხ.). საქმეზე არ არის დადგენილი მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წესიდან სა-

გამონაკლისო შემთხვევა – მფლობელის ნებართვის გარეშე სატრანსპორტო საშუალების გამოყენება (სკ-ის 999.4 მუხ.), მოსარჩელის ბრალი დამდგარ ზიანში, პირიქით სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე დასახიჩრდა მოვალეობის შესრულების დროს, ავტოკატასტროფის შედეგად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო თავის საქმიანობას ახორციელებს თავისი ორგანოების ან ფიზიკური პირების მეშვეობით, შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობის შეფასებისას უნდა შეფასდეს მათი ბრალეულობის საკითხი. ავტომანქანის მფლობელის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, საფუძველს არის მოკლებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრალზე მითითება, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ამ ნაწილში უარის თქმის საფუძველად მიუთითა მხოლოდ ზიანის მიყენების ფაქტში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრალეული ქმედების არარსებობაზე, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მსჯელობის გარეშე უარი თქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქმნის მოთხოვნის ამ ნაწილის მიმართ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და მოთხოვნის ხსენებულ ნაწილებში საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების თანახმად, მოსარჩელე თავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.08.2014წ. განჩინება, რომლი-

თაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.03.2014წ. გადაწყვეტილება საყოფაცხოვრებო მომვლელის ხარჯების ანაზღაურებაზე, აგრეთვე სახელმწიფო კომპენსაციასა და ხელფასს შორის სხვაობის თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილებში და ამ ნაწილებში საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.08.2014წ. განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.03.2014წ. გადაწყვეტილება ერთდროულ დახმარებაზე უარის თქმის ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული ორბანოს მიერ
განხორციელებული ქმედებებით გამოწვეული
მატერიალური ზიანის ანაზღაურება**

განჩინება

№ბს-449-443(2კ-14)

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის, ქ. თბილისის მერიის, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ნ. ტ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებს მის სასარგებლოდ დაკისრებოდათ 64822 ლარის გადახდა.

მოსარჩელის განმარტებით, 1986 წლის 9 ივლისს მ. გ-სა და საქართველოს სსრ მინმშენის „თ...“ გაერთიანების მუდმივმოქმედი სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „ს...“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულებისას, მ. გ-ი უნდა დაკმაყოფილებულიყო საცხოვრებელი ბინით, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 14 ივლისის №15.02.457 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სამშენებლო-სარემონტო სანარმო გაერთიანება „თ...“ თხოვნა და ქ. ... სამუშაოდ გაგზავნილ, თბილისში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთათვის სანარმოო გაერთიანება „თ...“ დაუმაგრდა ქ. თბილისში, ... დასახლება მე-... მ/რ მდებარე №11 კორპუსი.

საქართველოს მშენებლობის მინისტრის 1992 წლის 11 მაისის №62 ბრძანებით გაერთიანება „თ...“ გამოეყო ხის დამამუშავებელი კომბინატი და ჩამოყალიბდა სახელმწიფო სანარმოდ, სახელწოდებით „მ...“, რომელიც 1993 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ დარეგისტრირდა სააქციო საზოგადოებად. აღნიშნული სანარმო რეგისტრაციაში გატარდა დიდუბის რაიონის გამგეობის 1993 წლის 24 ნოემბრის №791 ბრძანებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 23 სექტემბრის №695 დადგენილებით გაერთიანება „თ...“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებიდან გადავიდა თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში, ხოლო ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს 1995 წლის 15 მარტის №24.12.425 გადაწყვეტილებით გაერთიანება „თ...“ გაუქმდა და მის ბაზაზე დაფუძნდა ორი სააქციო საზოგადოება – სს „თ...“ და სს „მ...“. სს „მ...“, რომლის ფილიალს წარმოადგენს სამშენებლო სამმართველო „ტ...“ თბილისის დიდუბის რაიონული სასამართლოს მიერ რეგისტრირებულია 1996 წლის 24 აგვისტოს.

გაერთიანება „თ...“ შემადგენლობაში შედიოდა თბილისის ხის დამამუშავებელი კომბინატი, სადაც 1957 წლიდან მომუშავე ჯ. ტ-ეს ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსში გამოეყო სამოთახიანი ბინა, კერძოდ, „თ...“ საბინაო ფონდის მომსახურების სამმართველოს უფროსმა 1995 წლის 2 აგვისტოს თხოვნით მიმართა ამავე გაერთიანების ხის დამამუშავებელი კომბინატის უფროსს, რათა ჯ. ტ-ისათვის ქ. თბილისში, ...მე- ... მ.რ. კორპ. 11 გამოყოფილი სამოთახიანი ბინა მისი პირადი თხოვნით შეეცვა-

ლათ იმავე კორპუსში, პირველ სართულზე მდებარე №2 ბინით. სს „მ ...“ ადმინისტრაციისა და საყოფაცხოვრებო საბინაო კომისიის 1995 წლის 4 აგვისტოს სხდომის ოქმით დაკმაყოფილდა „თ ...“ საბინაო ფონდის მომსახურების სამმართველოს უფროსის ზემოაღნიშნული თხოვნა და ჯ. ტ-ეს ზემოაღნიშნულ მისამართზე გამოეყო ოროთახიანი ბინა №2, რასთან დაკავშირებითაც დიდუბის რაიონის გამგეობას ეთხოვა ორდერის გაცემა.

თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სს „მ ...“ (თბილისის ხის დამამუშავებელი კომბინატის უფლებამონაცვლე) ადმინისტრაციისა და საბინაო კომისიის ერთობლივი ოქმი და ჯ. ტ-ის ოჯახს – სამ წევრზე მიეცა აღნიშნულ მისამართზე მდებარე ბინა №2.

სს „მ ...“ საბინაო კომისიის 2005 წლის 27 ივლისის №1 სხდომის ოქმის შესაბამისად, ქ. თბილისის ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამმართველოში უნდა წარდგენილიყო თხოვნა „ს ...“ ყოფილი მუშა-მოსამსახურის, მ. გ-ისათვის ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ, კორპ. 11 მდებარე ბინა №2-ზე ორდერის გაცემის შესახებ, რის საფუძველზეც სს „მ...“ დირექტორმა 2005 წლის 1 აგვისტოს წერილობითი თხოვნით მიმართა ქ. თბილისის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს და მ. გ-ის სახელზე ორდერის გაცემა ითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის №3/244-10 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. გ-ის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილება, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2006 წლის 31 მაისის №7/9-75 დადგენილება და ამ უკანასკნელის საფუძველზე გაცემული ორდერი, რომლითაც ჯ. ტ-ის ოჯახს გამოეყო ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ კორპ. №11-ში მდებარე ბინა №2. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ სადავო ბინის ჯ. ტ-ისათვის გამოყოფას არ ჰქონდა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან, შესაბამისი სამართლებრივი აქტებით ეს ბინა მ. გ-ის დასაკმაყოფილებად იყო გამოყოფილი.

მოსარჩელის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის №3/244-10 გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მეშვეობით ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ №11 კორპუსში მდებარე ბინა №2, საკუთრებაში გადაეცა ჯ. ტ-ის უფლებამონაცვლეს

ნ. ტ-ეს, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს ბინა 2009 წლის 25 მარტს მიჰყიდა გ. ო-ს, რომელიც აღნიშნული ქონების კეთილსინდისიერ შემძენს წარმოადგენს და შესაბამისად, მ. გ-ი მოკლებულია იმავე ბინაზე საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მითითებით, უდავოა, რომ მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, რადგან სადავო ქონება მოპასუხეთა ქმედების სხვისი (კეთილსინდისიერი შემძენის) საკუთრებაშია. შესაბამისად, მისთვის მიყენებული ზიანი გამოიხატება მატერიალური აქტივის ღირებულებაში, რომელიც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 2 ოქტომბრის №004427613 დასკვნის თანახმად შეადგენს – 64822 ლარს.

მოსარჩელემ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 992-ე მუხლებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოპასუხე – ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, ნაცვლად მოპასუხისა საქმეში ჩაება მესამე პირად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, ხოლო მოპასუხედ ჩაება ქ. თბილისის მერია; ამავე განჩინებით ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაება სს „თ ...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობასა და ქ. თბილისის მერიას მ. გ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 64822 ლარის გადახდა; მ. გ-ის მოთხოვნა ნ. ტ-ისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობასა და ქ. თბილისის მერიას სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელისათვის მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1945 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე მიიჩნია, რომ 1986 წლის 9 ივლისს მ. გ-სა და საქართველოს სსრ მინმშენის „თ...“ გაერთიანების მუდმივმოქმედი სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „ს...“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემ-

დეგ, ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულებისას, მ. გ-ი უნდა დაკმაყოფილებულიყო საცხოვრებელი ადგილით, ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 14 ივლისის №15.02.457 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სამშენებლო-სარემონტო საწარმო გაერთიანება „თ...“ თხოვნა და ქ. ... სამუშაოდ გაგზავნილ, თბილისში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთათვის საწარმოდ გაერთიანება „თ...“ დაუმაგრდა ქ. თბილისში, ... დასახლება მე-... მ/რ მდებარე №11 კორპუსი.

მშენებლობის მინისტრის 1992 წლის 11 მაისის №62 ბრძანებით „თ ...“ გამოეყო ხის დამამუშავებელი კომბინატი და ჩამოყალიბდა სახელმწიფო საწარმოდ „მ ...“, რომელიც 1993 წლის 20 ოქტომბერს დარეგისტრირდა სს „მ ...“. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 23 სექტემბრის №695 დადგენილებით გაერთიანება „თ...“ გადაეცა თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში, ხოლო ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს 1995 წლის 15 მარტის №24.12.425 გადაწყვეტილებით ფირმა „თ...“ გაუქმდა და მის ბაზაზე დაფუძნდა სს „თ...“ და სს „მ...“, რომლის ფილიალს წარმოადგენს სამშენებლო სამმართველო „ტ...“.

1957 წლიდან ჯ. ტ-ეს გაერთიანება „თ...“ შემადგენლობაში შემავალი ხის დამამუშავებელ კომბინატში მუშაობდა მუშად, ხოლო 1984 წლიდან იმყოფებოდა ბინის მიღების აღრიცხვაზე. ორგანიზაციის მიერ მას ოჯახის 4 წევრზე გამოეყო სამოთახიანი ბინა ... დასახლება, მე-... მ/რ მდებარე კორპუსში №11-ში. „თ...“ საბინაო ფონდის მომსახურების სამმართველოს უფროსმა თ. მ-მა 1995 წლის 2 აგვისტოს „თ...“ ხის დამამუშავებელი კომბინატის უფროსს მიმართა თხოვნით, რომ ზემოაღნიშნული ბინა შეეცვალათ ამავე კორპუსში, 1-ლ სართულზე მდებარე №2 ბინით. მოცემული თხოვნა სს „მ...“ ადმინისტრაციისა და საყოფაცხოვრებო საბინაო კომისიის 1995 წლის 4 აგვისტოს სხდომის ოქმით დაკმაყოფილდა და დიდუბის რაიონის გამგეობას ეთხოვა ორდერის გაცემა.

თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სს „მ...“ ადმინისტრაციისა და 1995 წლის 4 აგვისტოს სხდომის ოქმი და ჯ. ტ-ეს გადაეცა ქ. თბილისში, ... დასახლება მე-... მ/რ-ში, კორპ. №11-ში მდებარე ოროთახიანი ბინა №2.

სს „მ...“ საბინაო კომისიის 2005 წლის 27 ივლისის №1 სხდომის ოქმით, კრებამ დაადგინა, მიემართა თხოვნით ქ. თბილისის

ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამმართველოსათვის და ეთხოვა „თ...“ ყოფილი მუშა-მოსამსახურის, მ. გ-ისათვის გამოენერათ ორდერი ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ, კორპ.11 მდებარე ბინა №2 -ზე. 2005 წლის 1 აგვისტოს სს „მ...“ დირექტორმა წერილით მიმართა ქ. თბილისის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს და ითხოვა ორდერის გაწერა აღნიშნულ მიმართზე.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2006 წლის 31 მაისის №7/9-75 დადგენილებით ჯ. ტ-ის გარდაცვალების გამო, ჟ. ტ-ეს, როგორც კანონიერ მემკვიდრეს, სადავო ბინა გაუფორმდა ოჯახის ორ წევრზე (თვითონ და შვილი – ნ.). მოცემული დადგენილებისა და დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 28 ივნისს გაიცა ორდერი №3720 ჟ. ტ-ის სახელზე ... მე-... მ/რ/ მე-11 კორპ. ბინა №2-ზე. აღნიშნული ბინა ნ. ტ-ემ 2009 წლის მიჰყიდა გ. ო-ს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილება, 2006 წლის 31 მაისის №7/9-75 დადგენილება, თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივნისის №3720 ორდერი.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე 207-ე მუხლების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლისა და 992-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღვოდეს. ამასთან, ქმედება, რომელმაც პირს ზიანი მიაყენა, უნდა გამომდინარეობდეს პირის სამსახურებრივი მოვალეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული. ამდენად, ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა დადგინდეს შემდეგი საფუძველების ერთობლივი არსებობა: ა) მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

ბ) შედეგი-ზიანი, გ) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; დ) პირის ბრალეულობა, რაც სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე უნდა გამოიხატოს განზრახვას ან გაუფრთხილებლობაში.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოეშობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არის დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრული ბრალეულობა. ამდენად, ზიანის ანაზღაურების საკმარის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ან მისი თანამდებობის პირის მხრიდან კანონსაწინააღმდეგო მოვალეობის განხორციელების შესახებ ფაქტის არსებობა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილება, 2006 წლის 31 მაისის №7/9-75 დადგენილება და თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივნისის №3720 ორდერი უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია. ამდენად, სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი, კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონსაწინააღმდეგო აქტების საფუძველზე მ. გ-ისათვის გადასაცემი ბინა გადაეცა სხვა პირს, რის გამოც მან ვერ შეძლო კანონიერი უფლების რეალიზება – მიეღო საკუთრებაში მისთვის კანონიერ სარგებლობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართი.

სასამართლოს განმარტებით, ქ. თბილისის დიდუბის გამგეობისა და ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემულმა უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტებმა მიაყენეს ზიანი მოსარჩელეს, მათ ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ვინაიდან, პირვანდელი მდგომარეობის აღდენა შეუძლებელია, მოსარჩელის უნდა გადაეცეს შესაბამისი ფულადი ანაზღაურება.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას ფიზიკური პირისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, აღნიშნული საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, არ უნდა დაკმაყოფილ-

დეს, ვინაიდან არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები. კერძოდ, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმ გარემოების დადასტურება, რომ კანონით გათვალისწინებული წესით დადგენილია ნ. ტ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების განხორციელების ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ფიზიკური პირის მიერ განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობამ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ქ. თბილისის მერიამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც ქ. თბილისის მერიას მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი ქ. თბილისის მერია საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის – ქ. თბილისის მერიისათვის თანხის დაკისრების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის №3/244-

10 გადაწყვეტილების, სამართლებრივი შეფასება ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს: ორდერი გაიცემა მხოლოდ იმ ბინაზე, რომელიც ფაქტობრივად თავისუფალია ანუ არ არის დაკავებული კანონიერი თუ უკანონო გზით. განსახილველ შემთხვევაში კი სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ორდერის გაცემის დროს, 2006 წლის ივნისში ბინა უკანონოდ დაკავებული ჰქონდა დ. ს-ს, შესაბამისად, ქ. თბილისის მერიას სადავო აქტის გამოცემისას არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები“. ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ „..., კორპ. №11, შენდებოდა მიზნობრივად მხოლოდ ქ. ... მომუშავე მუშა-მოსამსახურეებისათვის, ხოლო ჯ. ტ-ე ამ კატეგორიის პირთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა“. ამასთან, „1995 წლისათვის, ანუ იმ დროისთვის როცა სს „მ...“ ადმინისტრაციისა და საყოფაცხოვრებო საბინაო კომისიის 1995 წლის 4 აგვისტოს ერთობლივი სხდომის ოქმის საფუძველზე დიდუბის რაიონის გამგეობის 06.09.1995 წლის №7/31-186 გადაწყვეტილებით მოხდა ჯ. ტ-ისათვის სადავო ბინის დამაგრება სს „მ...“ სამართლებრივ კავშირში უკვე 1993 წლის 20 ოქტომბრიდან აღარ იმყოფებოდა „თ...“. ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეიცავს არანაირ მითითებას ..., მე-... მ/რ, კორ. №11-სი ბინა №2-ზე მ. გ-ის უფლებასთან დაკავშირებით და საუბარია ისეთ გარემოებებზე, რომელიც მ. გ-ის კანონიერი ინტერესიდან გამომდინარეობს. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 2013 წლის 4 დეკემბრის №06/13316447-17 წერილით დასტურდება, რომ სს „მ...“ საბინაო კომისიის 2005 წლის 27 ივლისის სხდომის №1 ოქმი და „ს...“ და მ. გ-ს შორის 1986 წლის 9 ივლისს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება არ წარმოადგენს ბინის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის საფუძველს, ვინაიდან არ დასტურდება საცხოვრებელი ფართით კანონიერი სარგებლობის უფლება.

ამდენად, მ. გ-თან დაკავშირებით, საქმეში წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ზოგადად შეიცავს მითითებას, ბინით დაკმაყოფილების შესახებ, კორპუსისა და ბინის მონაცემების მითითების გარეშე თუმცა საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება თუ რატომ არ მოხდა მ. გ-ზე ორდერის გაცემა, შემდგომ პრივატიზების ხელშეკრულების დადება და საკუთრების უფლების წარმოშობა ... მე-... მ/რ კორპ. 11-ში, ბინა №2-ზე. მოსარჩელე მხოლოდ ზეპირსიტყვიერად განმარტავს, რომ ბინა 2-ზე საკუთრების უფლების მოპოვების

შესაძლებლობა მოესპო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის №3/244-10 გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების გამოცემის გამო, თუმცა აღნიშნულის თაობაზე არ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნებოდა, რომ მ. გ-ისათვის №2 ბინის გადაცემის ხელისშემშლელი გარემოება გახდა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის №3/244-10 გადაწყვეტილებით გაბათილებული აქტების გამოცემა.

კასატორის განმარტებით, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილება, 2006 წლის 31 მაისის №7/9-75 დადგენილება, თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივნისის №3720 ორდერი და მათი სასამართლოს მიერ ბათილად ცნობა ავტომატურად არ გულისხმობს, აღნიშნული აქტებით მ. გ-ის კანონიერი უფლებისა და ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას. აუცილებელია შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებული იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედების განხორციელება, ზიანის მიყენების ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი ზემოხსენებულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ უნდა მიეჩნია, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის უპირობო საფუძვლად, ვინაიდან, მხოლოდ მისი არსებობა არ ადასტურებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებელ გარემოებების არსებობას. სასამართლო ვალდებული იყო გამოეკვლია და შეეფასებინა ჰქონდა თუ არა ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განზრახი ან გაუფრთხილებლობით განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, არსებობდა თუ არა მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის.

კასატორის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლები.

სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას, თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებლად. აღნიშნული არ დასტურდება არც საქმეში არსებული მტკიცებულებებით. ერთადერთი გარემოება, რასაც მოსარჩელე პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმის გან-

ხილვისას მიუთითებდა, არის ის რომ ნ. ტ-ემ ..., მე-... მ/რ/ კორპ. 11-ში მდებარე ბინა №2, 2009 წლის 25 მარტს მიყიდა გ. ო-ს, რომელიც მოსარჩელის განმარტებით, წარმოადგენდა აღნიშნული ქონებრივი სიკეთის კეთილსინდისიერ შემძენს და შესაბამისად, მ. გ-ი მოკლებული იყო იმავე ბინაზე საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობას.

ამასთან, როგორც საჯარო რეესტრის მონაცემებით დასტურდება, ქ. თბილისში, ..., მე-... მ/რ, კორპ. 11-ში მდებარე ბინა 2-ზე ნ. ტ-ის საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი გახდა პრივატიზების ხელშეკრულება გაფორმებული 2006 წლის 11 აგვისტოს, დამონშებული ნოტარიუსს თ. გ-ის მიერ რეესტრით №1-3883, ხოლო ამავე უძრავ ქონებაზე გ. ო-ის საკუთრების წარმოშობის საფუძველი კი – უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში მხარის მიერ კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გამხდარა არც მითითებული პრივატიზაციისა და არც ნასყიდობის ხელშეკრულებები. საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია არ გულისხმობს მყიდველის ცალსახად კეთილსინდისიერებას.

ამდენად, მოარჩელის მხრიდან ამონურული არ არის დავის ყველა ის საშუალება, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მიჩნეულ იქნეს შეუძლებლად. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მ. გ-ს მიადგა ზიანი, მოცემული სარჩელი უსაფუძვლოა, ვინაიდან, თანხის დაკისრების მოთხოვნა კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როცა შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

რაც შეეხება სარჩელით მოთხოვნილი თანხის ოდენობის განსაზღვრას მხარე ეყრდნობა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 2 ოქტომბრის №004427613 დასკვნას, სადაც მითითებულია, რომ ქ. თბილისში, ..., მე-... მ/რ/ კორპ. №11-ში მდებარე ბინა №2-ის საერთო ფართობით 67,00 კვ.მ. მთლიანი საბაზრო ღირებულება 2013 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 64822 ლარს, ამდენად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა, როგორც ექსპერტიზის დასკვნიდან დგინდება წარმოადგენს უძრავი ქონების 2013 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით არსებულ ღირებულებას, რაც ასევე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან, თანხა უნდა განისაზღვროს ზიანის მიყენების დროს და არა მხარის მიერ მოთხოვნის მიყენების დროს არსებული საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

მეორე კასატორი ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა

საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის განჩინებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა მოსარჩელის მიერ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სასამართლოს 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იმ მოტივით, რომ ორდერის გაცემის მომენტში სადავო ბინა ფაქტობრივად დაკავებული იყო მასში უნებართვოდ შეჭრილი მოქალაქეების მიერ და არა იმ საფუძველით, რომ აღნიშნული ბინა მ. გ-ის საკუთრებას წარმოადგენდა. ამასთან, სადავო ბინის ამჟამინდელი მესაკუთრე თავად მოსარჩელის მიერ არის მოაზრებული, როგორც კეთილსინდისიერი შემძენი. სასამართლომ კი აღნიშნული მოაზრება სათანადო შეფასებისა და დასაბუთების გარეშე გაიზიარა.

კასატორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სასამართლოში აღნიშნული საქმის განხილვის ხანგრძლივი პერიოდის მიუხედავად, გამოყენებული არ ყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რითაც სადავო ბინის გასხვისების საფრთხე თავიდან იქნებოდა აცილებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასების, კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ შეიცავენ დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე ან 394-ე მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სა-

ფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1986 წლის 9 ივლისს მ. გ-სა და საქართველოს სსრ მინმშენის „თ...“ გაერთიანების მუდმივმოქმედი სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „ს...“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულებისას, მ. გ-ი უნდა დაკმაყოფილებულიყო საცხოვრებელი ადგილით, ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 14 ივლისის №15.02.457 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სამშენებლო-სარემონტო საწარმო გაერთიანება „თ...“ თხოვნა და ქ. ... სამუშაოდ გაგზავნილ, თბილისში, მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთათვის საწარმოდ გაერთიანება „თ...“ დაუმაგრდა ქ. თბილისში, ... დასახლება მე-... მ/რ მდებარე №11 კორპუსი.

მშენებლობის მინისტრის 1992 წლის 11 მაისის №62 ბრძანებით „თ...“ გამოეყო ხის დამამუშავებელი კომბინატი და ჩამოყალიბდა სახელმწიფო საწარმოდ „მ...“, რომელიც 1993 წლის 20 ოქტომბერს დარეგისტრირდა სს „მ...“. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 23 სექტემბრის №695 დადგენილებით გაერთიანება „თ...“ გადაეცა თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში, ხოლო ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს 1995 წლის 15 მარტის №24.12.425 გადაწყვეტილებით ფირმა „თ...“ გაუქმდა და მის ბაზაზე დაფუძნდა სს „თ...“ და სს „მ...“, რომლის ფილიალს წარმოადგენს სამშენებლო სამმართველო „ტ...“.

1957 წლიდან ჯ. ტ-ე გაერთიანება „თ...“ შემადგენლობაში შემავალი ხის დამამუშავებელ კომბინატში მუშაობდა მუშად, ხოლო 1984 წლიდან იმყოფებოდა ბინის მიღების აღრიცხვაზე. ორგანიზაციის მიერ მას ოჯახის 4 წევრზე გამოეყო სამოთახიანი ბინა ... დასახლება, მე-... მ/რ მდებარე კორპუსში №11-ში. „თ...“ საბინაო ფონდის მომსახურების სამმართველოს უფროსმა თ. მ-მა 1995 წლის 2 აგვისტოს თხოვნით მიმართა „თ...“ ხის დამამუშავებელი კომბინატის უფროსს, რომ ზემოაღნიშნული ბინა შეეცვალათ ამავე კორპუსში, 1-ლ სართულზე მდებარე №2 ბინით. მოცემული თხოვნა სს „მ...“ ადმინისტრაციისა და საყოფაცხოვრებო საბინაო კომისიის 1995 წლის 4 აგვისტოს სხდომის ოქმით დაკმაყოფილდა და დიდუბის რაიონის გამგეობას ეთხოვა ორდერის გაცემა.

თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექ-

ტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სს „მ...“ ადმინისტრაციისა და 1995 წლის 4 აგვისტოს სხდომის ოქმი და ჯ. ტ-ეს გადაეცა ქ. თბილისში, ... დასახლება მე-4 მ/რ-ში, კორპ. №11-ში მდებარე ოროთახიანი ბინა №2.

სს „მ...“ საბინაო კომისიის 2005 წლის 27 ივლისის №1 სხდომის ოქმით, კრებამ დაადგინა, მიემართა თხოვნით ქ. თბილისის ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამმართველოსათვის ეთხოვა „ს...“ ყოფილი მუშა-მოსამსახურის, მ. გ-ისათვის გამოენერათ ორდერი ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ, კორპ.11 მდებარე ბინა №2-ზე. 2005 წლის 1 აგვისტოს სს „მ...“ დირექტორმა წერილით მიმართა ქ. თბილისის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს და ითხოვა ორდერის განერა აღნიშნულ მისამართზე.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2006 წლის 31 მაისის №7/9-75 დადგენილებით სადავო ბინა გაფორმდა, ჟ. ტ-ეზე (ჯ. ტ-ის გარდაცვალების გამო, როგორც კანონიერ მემკვიდრეზე) და ოჯახის ორ წევრზე (თვითონ და შვილი – ნ.). აღნიშნული დადგენილებისა და დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 28 ივნისს გაიცა ორდერი №3720 ჟ. ტ-ის სახელზე ... მე-... მ/რ/ მე-11 კორპ. ბინა №2-ზე. აღნიშნული ბინა ნ. ტ-ემ 2009 წელს მიჰყიდა გ. ო-ს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილება, 2006 წლის 31 მაისის №7/9-75 დადგენილება, თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივნისის №3720 ორდერი. მითითებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება ადმინისტრაციული ორგანოებისათვის.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასთვის გარანტირებულია. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრდა ზოგა-

დი პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს მისი ორგანოებისა და მოსამსახურეების უკანონო ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო-პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული, /ასე, მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი/.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ზიანის ანაზღაურების საკითხს ანესრიგებს ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ: „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო, ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინა-

აღმდევო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი და ბოლოს მართლსა-
წინააღმდევო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არ-
სებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხე-
ლის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სა-
ხელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას.

როგორც აღვნიშნეთ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების
წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებო-
ბა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარ-
მოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი
უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილე-
ბის განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმარ-
თული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ, სახეზე
უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალი და მართლსაწინააღმდე-
გო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო საქმის მა-
სალებიდან გამომდინარე დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-
გიის 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქ-
ნა ცნობილი, რა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995
წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილება, 2006 წლის
31 მაისის №7/9-75 დადგენილება, თბილისის მერიის ადგილობ-
რივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივ-
ნისის №3720 ორდერი, შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრა-
ციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტების კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოცემის შედე-
გად მოსარჩელეს მიაღდა ზიანი. იმ ვითარებაში, თუ არ იქნებო-
და გამოცემული ზემოაღნიშნული აქტები მ. გ-ს ორდერით გა-
დაეცემოდა ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ, კორპ.11 მდებარე ბინა
№2, სს „მ...“ საბინაო კომისიის 2005 წლის 27 ივლისის №1 სხდო-
მის ოქმიდან გამომდინარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზი-
არებს ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივ შეფასებას
და მიაჩნია, რომ სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფ-
ლებამოსილების განხორციელებისას მოსარჩელისათვის მიყე-
ნებული ზიანი.

რაც შეეხება კასატორების პრეტენზიას იმასთან მიმართე-
ბაში, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-
ულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტი-
ლებით გაბათილებული აქტები ავტომატურად არ გულისხმობს
მ. გ-ისათვის კანონიერი უფლებებისა და ინტერესებისათვის ზი-

ანის მიყენებას და ასევე იმაზე აპელირებას, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი თუ რატომ არ მოხდა მ. გ-ზე ... მე-... მ/რ, კორპ.11 მდებარე ბინა №2-ზე ორდერის გაცემა შემდგომ პრივატიზაციის ხელშეკრულების დადება და საკუთრების უფლების წარმოშობა, აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ, კორპ.11-ში შენდებოდა მიზნობრივად მხოლოდ ქ. ... მომუშავე მუშა-მოსამსახურეებისათვის, ხოლო ჯ. ტ-ე, რომელსაც ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივლისის გადაეცა №3720 ორდერი ამ კატეგორიის პირთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, ის მუშაობდა ხის დამამუშავებელ კომბინატში, რომელიც შედიოდა „თ...“ (შემდგომ „თ...“ გამოყო ხის დამამუშავებელი კომბინატი და ჩამოყალიბდა საწარმოდ „მ...“) ამასთან, 1995 წლისთვის ანუ იმ დროისათვის, როდესაც სს „მ...“ ადმინისტრაციის საყოფაცხოვრებო ოქმის საფუძველზე დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილებით მოხდა ჯ. ტ-ისათვის სადავო ბინის დამაგრება, სს „მ...“ სამართლებრივ კავშირში, „თ...“ უკვე აღარ იმყოფებოდა, კერძოდ, სს „მ...“ თ...“ გამოეყო 1993 წლის 20 ოქტომბრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 1995 წლის 6 სექტემბრის №7/31-186 გადაწყვეტილება, 2006 წლის 31 მაისის №7/9-75 დადგენილება, თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივნისის №3720 ორდერი ეწინააღმდეგებოდა კანონის მოთხოვნებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოებს მოსაზრებას, რომ აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო აქტების საფუძველზე მოსარჩელე მ. გ-ს მიადგა ზიანი, მ. გ-ისათვის გადასაცემი ბინა გადაეცა სხვა პირს, რის გამოც მან ვერ შეძლო კანონიერი უფლების რეალიზება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ მოსარჩელის მიერ არ არის ამონურული დავის ყველა ის საშუალება, რაც შესაძლებლობას მისცემდა მ. გ-ს საკუთრების უფლება მოეპოვებინა ... მე-... მ/რ, კორპ.11 მდებარე ბინა №2-ზე და არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

რაც შეეხება პრეტენზიას ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლო ამ ნაწილშიც იზიარებს

რებს, ქვედა ინსტანციების მსჯელობას და აღნიშნავს, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრა მოხდა საქმეში წარმოდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 2 ოქტომბრის №004427613 დასკვნა), რომლის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა ზიანის ოდენობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 და 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
მიყენებელი მატერიალური ზიანის ანაზღაურება**

განჩინება

№ბს-450-443(კ-15)

22 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: სემეკის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სემეკის წინა-
აღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა საქართველოს ენერგე-
ტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კო-
მისიის 2013 წლის 11 ივლისის №16/8 გადაწყვეტილების ბათი-
ლად ცნობა.

სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებებს, რომ 2010 წლის 31
მაისს შპს „...“ წარმომადგენლებმა ქ.თბილისში, ... №3-ში გამო-
ავლინეს დ. მ-ის მიერ ბუნებრივი გაზის მრიცხველის გვერდის
ავლით მოხმარების ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით შე-
ადგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ბუ-
ნებრივი გაზის უკანონო მოხმარების შესახებ №010850 აქტი.
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2010 წლის 16 ივლისის №4/5988-10 დადგენილე-
ბით დ. მ-ი ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამ-
რღვევად და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. მოსარჩელე კომ-
პანიამ დაიანგარიშა სამართალდარღვევით მიყენებული ზიანი,
რამაც შეადგინა 1 815,02 ლარი. ზიანის გაანგარიშება და და-
რიცხვა დ. მ-მა გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში. კო-
მისიის 2013 წლის 11 ივლისის №16/8 გადაწყვეტილებით დ. მ-ის
საჩივარი დაკმაყოფილდა, დაევალა შპს „...“ უკანონოდ მოხმა-
რებული ბუნებრივი გაზის საფასურად დარიცხული, განახევ-
რებული 907,51 ლარის გადანაწილება 48 თვეზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის
გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათი-
ლად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმო-

მარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 11 ივლისის №16/8 გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სემეკმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის განჩინებით სემეკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2010 წლის 31 მაისს დ. მ-ის მიმართ შედგა №010850 აქტი ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების შესახებ. აქტიში აღნიშნულია, რომ მოხმარებული მოხმარს 4-სანთურიან გაზქურას ღუმელით, წყლის გამაცხელებელს (ძვ. რუსული წარმოების) და გამათბობელს (ბაქოს წარმოების); დ. მ-ის მიერ უკანონოდ მოხმარებული გაზის ღირებულების დაანგარიშება მოხდა 2010 წლის 7 ივნისს 4-სანთურიან გაზქურის ღუმელის, წყლის გამაცხელებელის (ძვ. რუსული წარმოების) და გამათბობლის (ბაქოს წარმოების) წარმადობის გათვალისწინებით. თანხამ შეადგინა 1 815,02 ლარი;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 ივლისის დადგენილებით დ. მ-ი ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადებით;

3. უკანონოდ მოხმარებული გაზის ღირებულების გაანგარიშება და დარიცხვა დ. მ-მა გაასაჩივრა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში;

4. კომისიის 2013 წლის 11 ივლისის №16/8 გადაწყვეტილებით მისი საჩივარი დაკმაყოფილდა, შპს „...“ დაევალა უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურად დარიცხული, განახევრებული 907,51 ლარის გადანაწილება 48 თვეზე. გადანწყვეტილებას საფუძვლად დაედო მითითება, რომ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასური დ. მ-ს დაერიცხა დადგომული სიმძლავრეების ჯამური მაჩვენებლის 12-საათიანი რეჟიმიდან გამომდინარე 6 თვის განმავლობაში მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების მიხედვით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ენერ-

გეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ“ №14 დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, კომისია უფლებამოსილია, დადგენილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების მიუხედავად, იმსჯელოს საწარმოს მიერ მის სასარგებლოდ პირზე დარიცხული თანხის საფუძვლიანობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილების მე-12 მუხლი კომისიას აძლევს უფლებას, იმსჯელოს საწარმოს მიერ მის სასარგებლოდ პირზე დარიცხული თანხის საფუძვლიანობაზე, თუ მან განიხილა და გადაწყვიტა სახდელის დადების შესახებ დადგენილების კანონიერების საკითხი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. სხვა შემთხვევაში მხარეებს რჩებათ უფლება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოში იდავონ დარღვეული ქონებრივი უფლებების დასაცავად.

აღნიშნული განჩინება სემეკმა საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა №14 დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 პუნქტით, არამედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება უნდა შეემოწმებინა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის შესაბამისად. სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციების საფუძველზე, სახელმწიფოს კო-

მისიისათვის გადაცემული აქვს განსაზღვრული რეგულირების სფეროები – ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირები, წყალ-მომარაგება და ამ სფეროებში წარმოშობილი დავების გადან-ყვეტის ფართო დისკრეცია. დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში კომისიის საქმიანობა წარმოადგენს ადმინისტრირების ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეს და, ამდენად, იგი განსაკუთრებული მაკონტროლებელი ფუნქციების მატარებელია. კომპანიის მიერ მომხმარებელზე თანხის დარიცხვა და მისი საფუძვლიანობის შესწავლა კომისიის მიერ რეგულირებადი საქმიანობის ნაწილია. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა სადავო საკითხზე (გარდა წმინდად სამოქალაქო სამართალურთიერთობისა) გადანყვეტილების მიღება ერთ-ერთი განსაკუთრებული საჯარო ადმინისტრაციული მმართველობითი ფუნქციაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინახა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სემეის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2010 წლის 31 მაისს დ. მ-ის მიმართ შედგა №010850 აქტი ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების შესახებ. აქტიში აღნიშნულია, რომ მომხმარებელი მოიხმარს 4 სანთურიან გაზქურას ღუმელით, წყლის გამაცხელებელს (ძვ. რუსული წარმოების) და გამათბობელს (ბაქოს წარმოების); დ. მ-ის მიერ უკანონოდ მოხმარებული გაზის ღირებულების დაანგარიშება მოხდა 2010 წლის 7 ივნისს 4 სანთურიან გაზქურის ღუმელის, წყლის გამაცხელებელის (ძვ. რუსული წარმოების) და გამათბობლის (ბაქოს წარმოების) წარმადობის გათვალისწინებით. თანხამ შეადგინა 1 815,02 ლარი;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 ივლისის დადგენილებით დ. მ-ი ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადებით;

3. უკანონოდ მოხმარებული გაზის ღირებულების გაანგარი-

შემა და დარიცხვა დ. მ-მა გაასაჩივრა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში;

4. კომისიის 2013 წლის 11 ივლისის №16/8 გადაწყვეტილებით მისი საჩივარი დაკმაყოფილდა, შპს „...“ დაევალა უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურად დარიცხული, განახევრებული 907,51 ლარის გადანაწილება 48 თვეზე. გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო მითითება, რომ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასური დ. მ-ს დაერიცხა დადგმული სიმძლავრეების ჯამური მაჩვენებლის 12-საათიანი რეჟიმიდან გამომდინარე 6 თვის განმავლობაში მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების მიხედვით.

კასატორს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოსათვის მათ სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

განსახილველი საქმის ფარგლებში სადავოა სემეკის უფლებამოსილება, განიხილოს აბონენტისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხი.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მეორე მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოსგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა სახის საჯარო საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით ეროვნული მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებათუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, და-

მოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. ამდენად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ლიცენზიანტებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 06.03.2014 წ. №6 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულებით“ გათვალისწინებულ კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას. ხოლო ამ ფუნქციის განსახორციელებლად ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრებული დარიცხვის კანონიერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლი და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა შეეხება ადმინისტრაციული გადაცდომის საკითხის განხილვისას სასამართლოს მიერ დამატებით ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ, სემეკის კომპეტენციის დადგენისას, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასამელო წყლის უკანონო მოხმარებისა და

წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ“ №14 დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 ნაწილი, რომლის თანახმად, კომისია უფლებამოსილია, დადგენილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების მიუხედავად, იმსჯელოს საწარმოს მიერ მის სასარგებლოდ პირზე დარიცხული თანხის საფუძვლიანობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. დადგენილების მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილება არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, უფლებამოსილი პირის მიერ სამართალდამრღვევი პირის მიმართ გამოცემული დადგენილება გაფრთხილების ან დაჯარიმების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ. დადგენილება, როგორც შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული აქტი, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი გამოცემის წესი, ისევე როგორც მისი რეკვიზიტები, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნორმის დანაწესი „დადგენილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების მიუხედავად“ გულისხმობს შესაძლებლობას, კომისიის მსჯელობის საგანი არ იყოს დადგენილების მართლზომიერება, მაგრამ შეფასდეს დაკისრებული თანხის კანონშესაბამისობა.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ აქტის არარად აღიარების საფუძველია და არა ბათილად ცნობის. სააპელაციო სასამართლოს კი, ეს გარემოება მხედველობიდან გამორჩა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვე-

ვების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სემეკი თავისი კომპეტენციის ფარგლებს გასცდა და არ შეუმონმებია ადმინისტრაციული აქტის მართლზომიერების მატერიალური და ფორმალური საფუძვლები, შესაბამისად, გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია და არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო პატიმრობის გამო მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

ბანჩინება

№ბს-485-474(2კ-14)

4 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. კ-მა მოპასუხე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ მატერიალური ზიანის – 228 300 ლარისა და მორალური ზიანის – 5 000 000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას ბრალი ედებოდა დანაშაულში გათვალისწინებული სსსკ-ის 180-ე მუხლის „ბ-გ“ ქვეპუნქტებით, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.04.2013წ. განაჩენით ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გათავისუფლდა დარბაზიდან. პატიმრობაში იმყოფებოდა 2012 წლის 26 ივლისიდან 2013 წლის 15 აპრილამდე. უკანონო პატრიმრობაში ყოფნით მას მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2011 წლის ოქტომბერში შეიძინა სათესლე ნიორი 1 ტ. და 250 კგ. 8125 ლარად, რომელიც დათესა ქ. ყვარელში ე.წ. „... მიწაზე, მიწა ნაქირავები ჰქონდა ქ. ყვარელში, მცხოვრები ე. წ-ი-დ-ისგან. მიწის ქირა შეადგენდა თვეში 1000 ლარს, რომელიც უნდა გადაეხადა მოსავლის რეალიზაციის შემდეგ. ამასთან, ზეპირი ხელშეკრულება გამომშრალი და გადამუშავებული ნივრის გადაცემის შესახებ დადებული ჰქონდა მყიდველთან, რომლისგან ბე-ს სახით მიიღო 2000 ლარი. 1 კგ ნივრის ღირებულება იყო 7,70 ლარი, მიღებულმა მოსავალმა შეადგინა 13000 კგ., რომელიც მოუვლულობის გამო განადგურდა, ვინაიდან დააპატიმრეს მოსავლის აღებიდან ერთ კვირაში. მოსარ-

ჩელემ აღნიშნა აგრეთვე, რომ ქ. ყვარელში, ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე ნაქირავეები ჰქონდა 12 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც დათესილი ჰქონდა აბაშის ყვითელი სიმინდი. 1 ჰა მიწის ნაკვეთის ქირა შეადგენდა 300 ლარს ანუ სულ ქირა შეადგენდა – 3600 ლარს, რომელიც უნდა გადაეხადა მოსავლის რეალიზაციის შემდეგ. 1 ჰა-ზე უნდა მიეღო 7 ტონა მოსავალი ანუ სულ – 10 ჰა-ზე მინიმუმ 70 ტ., რაც მისი უკანონო პატრიმრობაში ყოფნის გამო განადგურდა.

მოსარჩელის განმარტებით, მისმა მატერიალურმა ზიანმა შეადგინა 121400 ლარი, ვინაიდან მას სიმინდის მოსავალი წინასწარ ჰქონდა გაყიდული და მოგების სახით უნდა მიეღო 100100 ლარი, ნიორის მოყვანისათვის საერთო დანახარჯმა შეადგინა 21300 ლარი ($10001000+21300=121400$ ლარი). სიმინდის მოსავლის ნაწილში დანახარჯმა შეადგინა 12400 ლარი, მოსავალი რომ მიეღო უნდა გაეყიდა საბითუმო ფასად 1,35 ლარად, ვინაიდან, სიმინდის ფასი განისაზღვრებოდა საბაზრო ღირებულებით 1,35 – 1.40 ლარი. 10 ჰა-ზე სიმინდის მოსავალს სულ ცოტა 70 ტონას მიიღებდა, $70000 \text{ კგ} \times 1,35 \text{ ლარზე} = 94500$ ლარს შეადგენს, საერთო ზარალმა შეადგინა $94500+12400=106900$ ლარი. საერთო ჯამში უკანონო პატიმრობისგან გამონეუულმა მატერიალურმა ზიანმა შეადგინა 228300 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, მისი უკანონო პატიმრობა გაგრძელდა 2012 წლის 25 ივლისიდან 2013 წლის 15 აპრილამდე, რამაც მიაყენა როგორც მატერიალური ასევე მორალური ზიანიც. უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა თბილისის (გლდანის) №8 საპყრობილეში, პატიმრობაში ყოფნისას ესმოდა პატიმართა ტანჯვა-წამების ხმა. რვა დღის განმავლობაში იმყოფებოდა ე.წ. „ფუქსებში“ არადამიანურ პირობებში, სადაც ადგილი ჰქონდა პატიმართა წამებას და ცემის ფაქტებს. მიიღო მორალური ტანჯვა, შიში, წყენა, იმედგაცრუება, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის ჯანმრთელობაზე, იმყოფება ნევროპათოლოგიის მკურნალობისა და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

დავის საქალაქო სასამართლოში განხილვისას საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.02.14წ. გადაწყვეტილებით ლ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს მთავარ პროკურატურას ლ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება – 6 000 ლარის ოდენობით, მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 25.07.2012 წ. სსსკ-

ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ლ. კ-ი დაპატიმრებული იქნა გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის მიერ და №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 27.07.2012წ. იქნა მოთავსებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.04.2013წ. განაჩენით ლ. კ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ, გამართლდა ბრალში და იმავე დღეს გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.10.13 განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღვოდეს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ასევე სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნა, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. სასამართლოს მოსაზრებით, პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან გამამართლებელი განაჩენი ადგენს პირის უდანაშაულობას, რაც იწვევს მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას, თუმცადა უნდა არსებობდეს მეორე სავალდებულო წინაპირობაც – ქმედების უკანონობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ 26.07.2012წ. გამოტანილ იქნა ლ. კ-ის მიმართ დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, ხოლო 27.07.2012წ. თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედე-

ბები ეფუძნებოდა კანონს და კანონის საფუძველზე მიღებულ საპროცესო დოკუმენტებს. საქართველოს პროკურატურა წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება და მათ საფუძველზე განაჩენის გამოტანა წარმოადგენს სასამართლოს პრეროგატივას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პროკურატურის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უკანონო ქმედებას და იგი მოქმედებდა კანონის შესაბამისად, რაც გამორიცხავს სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან მიმართებაში, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ასკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, ლ. კ-მა ვერ უზრუნველყო კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების წარმოდგენა იმ გარემოებების დასადასტურებლად, რომლებსაც ის ამყარებდა სასარჩელო მოთხოვნას.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, საქალაქო სასამართლომ აღნიშნულთან მიმართებაში მიუთითა სკ-ის მე-18 და 413-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმე, კერძოდ, მას 2012 წლის 25 ივლისიდან 2013 წლის 15 აპრილამდე თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა, რაც არ არის ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებულია გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან. ყოველივე ეს უარყოფითად აისახა დაპატიმრებული პირის ჯანმრთელობაზე. გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, შეილახა მოსარჩელის პატივი და ღირსებაც. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შეთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხაა 6 000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.02.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. კ-მა და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.14წ. განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ლ. კ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტი-

ლება.

სასამართლომ მიუთითა სასკ-ის 1.2 მუხლზე, სსკ-ის 377-ე, 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა, რომ სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც დაკავშირებულია რეაბილიტირებული პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უკანონოდ მიცემისათვის, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ლ. კ-ის მარეაბილიტირებელი გარემოება დადგენილია კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.04.2013წ. გამამართლებელი განაჩენით. ასეთ პირობებში თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და მიიჩნია, რომ ინდივიდს, რომლის მიმართაც დადგა გამამართლებელი განაჩენი უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისათვის. ამ შემთხვევაში დგება საკითხი ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სკ-ის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამავე კოდექსის მე-18 მუხლზე, მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2009 წ. ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-972-936(3კ-08) ჩამოყალიბებულ განმარტებაზე და აღნიშნა, რომ „მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას. მორალური ზიანის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურე-

ბის შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვა, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაციურ ფუნქციას შეადგენს“. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. კ.-ის დაკავება, მის მიერ ციხეში გატარებული პერიოდი, გამამართლებელი განაჩენი ერთობლიობაში ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებები და აღნიშნა, რომ სკ-ის 1005-ე მუხლი შეიცავს ცალსახა დათქმას მართლსაწინააღმდეგობისა და ბრალეულობის თაობაზე, ამდენად, მითითებული მუხლის საფუძველზე მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ჩნდება მხოლოდ ქმედების ბრალეულობის პირობებში. რამდენადაც, დელიქტურ ურთიერთობებთან დაკავშირებით „ბრალეულობის“ განსაკუთრებული განმარტება წარმოდგენილი არ არის, ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას სკ-ის 395-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას ადგენს როგორც ბრალეული ისე გაუფრთხილებელი ქმედებისათვის. შესაბამისად, ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც განზრახ ან შეგნებულად, საკუთარი ნებით ან გაუფრთხილებლობით ლახავს კანონით დაცულ ფასეულობებს. აღნიშნული მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, საკმარისი არ არის მხოლოდ ზიანის არსებობა, სასამართლოს მოსაზრებით, საჭიროა დადგინდეს, რომ ზიანის მიმყენებლის, ამ შემთხვევაში პროკურატურის ქმედება ხასიათდება მართლსაწინააღმდეგობითა და ბრალეულობით, რაც წინამდებარე შემთხვევაში არ დასტურდება. ამავდროულად სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია ზიანის არსებობის ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 102-ე მუხლზე მითითებით,

პალატამ უსაფუძვლობის გამო არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრებში გამოთქმულ მოსაზრებები გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამობის თაობაზე და მიიჩნია, რომ არ არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების

გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2014წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრეს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და ლ. კ-მა.

კასატორმა ლ. კ-მა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის ნორმების არასწორი გამოყენებისა და განმარტების შედეგად. კასატორის მითითებით სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმის გარემოებები, არ შეაფასა წარდგენილი მტკიცებულებები და არ იმსჯელა ლ. კ-ის არგუმენტაციაზე. კასატორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია, რადგან ერთი მხრივ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე არის ცნობილი ლ. კ-ისათვის ბრალის წაყენება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება და შემდგომში გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე ლ. კ-ის გათავისუფლება, ხოლო მეორე მხრივ სასამართლომ მიიჩნია, რომ სკ-ის 1005.3 მუხლის საფუძველზე არ არსებობდა მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი. ლ. კ-ი მიიჩნევს, რომ გამამართლებელი განაჩენით დადგენილია მისი უდანაშაულობა, რაც ადასტურებს წაყენებული ბრალისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების უკანონობას, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა. კასატორი აღნიშნავს, რომ ზიანი არის პირის უფლების ან კეთილდღეობის ხელყოფა, განადგურება, რაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (აუდიტის დასკვნა, ახსნა-განმარტებები, ჯანმრთელობის ცნობა და სხვ.) უდავოდ დასტურდება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო კ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს მთავარი პროკურატურის და მესამე პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნეს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული

განჩინების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია და დავას არ ინვესს, რომ 25.07.2012წ. სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ლ. კ-ი დაპატიმრებულ იქნა გლდანი-ნაძა-ლადევის რაიონული პროკურატურის მიერ და №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსდა 27.07.2012წ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. განაჩენით ლ. კ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ, გამართლდა წარდგენილ ბრალში და იმავე დღეს გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. განაჩენში მიეთითა, რომ ლ. კ-ს აქვს ზიანის ანაზღაურების უფლება, ასევე აღინიშნა, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებების ერთობლიობით უტყუარად არ დადასტურდა ლ. კ-ის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.10.13 განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. განაჩენი, რომელიც სააპელაციო სასამართლოში ადმინისტრაციული დავის განხილვისას კანონიერ ძალაში იყო შესული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად ყველასთვის არის გარანტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მიხედვით პირს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ზაკ-ის 208.1 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ზაკ-ის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებ-

ლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. ამდენად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად (სკ-ის 1005.3). ხსენებული კონსტიტუციური ნორმები არ შეიცავენ მითითებას ბრალზე, როგორც ზიანის ანაზღაურების პირობაზე. კანონმდებელი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცალკეულ შემთხვევებს (მაგ. სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება), სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი საგამონაკლისო წესით ადგენს სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების წესს თანამდებობის პირების და ორგანოების ბრალის მიუხედავად.

სკ-ის 1005.3 მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: დამდგარი ზიანი, მართლწინააღმდეგობა – უკანონო ბრალდება/მსჯავრდება, მიზეზობრივი კავშირი უკანონო ბრალდებასა და დამდგარ ზიანს შორის, აგრეთვე პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრება როგორც მატერიალური ასევე მორალური ზიანი, რადგან პირის თავისუფლების ხელყოფას და ხელშეუხებლობის დარღვევას, როგორც წესი თან სდევს პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვა. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა გამოიხატოს ქონების დაზიანებაში, შემოსავლის მიუღებლობაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების გაწევასი და ა.შ., ხოლო არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან და სხვ., თუმცა ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყველა სახის მორალური ზიანი, არამედ მხოლოდ ის, რომლის ანაზღაურებაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით (სკ-ის 413 მუხ.).

სკ-ის 1005.3 მუხლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ

ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ზიანის არსებობა, ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ნორმები, ანიჭებენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას. ის გარემოება, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ლ. კ-ს შეეფარდა კანონის საფუძველზე მიღებული საპროცესო დოკუმენტების, კერძოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.07.2012წ. განჩინების საფუძველზე, არ გამორიცხავს ზიანის არსებობას და მის ანაზღაურებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.04.2013წ. გამამართლებელი განაჩენი უდავოდ წარმოადგენს მოსარჩელის რეაბილიტაციის საფუძველს. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უკავშირდება რეაბილიტირებული პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემას, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ვინაიდან არ დაიშვება ნორმის ისე განმარტება, რომ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტური, ქმედითი შესაძლებლობა (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლი), საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია არ თავსდება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის და მისი უფლებების, როგორც უმაღლესი ფასეულობის პრიორიტეტულობასა და პატივისცემასთან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია, იგი არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერებასა და მის სამართლებრივ შეფასებაზე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ.კ-ის მიმართ 26.07.2012წ. გამოტანილ იქნა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.07.2012წ. განჩინებით ლ.კ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. ამდენად, ჩატარებული ღონისძიებები განხორციელდა ფორმალურად კანონიერი საპროცესო აქტებისა და მოქმედებების საფუძველზე, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ლ. კ-ი გამართლდა წარდგენილ ბრალში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სა-

მართლის საქმეთა კოლეგიის 15.04.13წ. განაჩენით ლ. კ-ის უდანაშაულოდ ცნობასთან და წარდგენილ ბრალდებაში გამართლებასთან ერთად, გაუქმდა ლ. კ-ის მიმართ საქალაქო სასამართლოს 27.07.12წ. განჩინებით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა. ამდენად, დადასტურებულია, რომ ლ. კ-ს მოუწია კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შემზღუდავი ზემოქმედების ატანა შეზღუდვის თმენის ვალდებულების დაკისრების დასაბუთებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რადგან კასატორი ითვლება უდანაშაულოდ. პატიმრობა თავისუფლების ინტენსიური, რადიკალური შეზღუდვაა. სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალური მართლზომიერების მიუხედავად დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის 22.11.1984წ. №7 ოქმის (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 23.02.2000წ. №155-III დადგენილებით) მესამე მუხლის თანახმად, „თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არააჯეროვნად განხორციელდა, ამგვარი მსჯავრდების გამო შეფარდებული სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით“. უფრო მეტიც, საქმეზე „პოლოსიანი და ბაღდასარიანი სომხეთის წინააღმდეგ“ (Case of Poghosyan and Baghdasaryan v. Armenia, 12.09.2012წ., განაცხადი №22999/06) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ უკანონო მსჯავრდების დადასტურებისას, პირისათვის დამდგარი მატერიალური და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული დანაწესის არარსებობის შემთხვევაშიც (§51). ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგოდ შედეგის არსებობა (დადასტურებული უკანონო მსჯავრდება/ბრალდება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ შეფარდება) განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, რადგან აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მომენტში ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე სკ-ის 1005.3 მუხ-

ლის მიზნებისთვის მიიჩნევიან უკანონოდ, რადგან ხსენებული ნორმა მიზნად ისახავს დაზარალებულის დაცვას, კერძოდ გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რეაბილიტაცია სისხლის სამართლის პროცესში არის იმ პირის უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა, რომელიც უკანონოდ და დაუსაბუთებლად დაექვემდებარა სისხლისსამართლებრივ დევნასა თუ პასუხისმგებლობას. პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს. განსახილველ შემთვევაში ლ. კ-ის მიმართ დამდგარია გამამართლებელი განაჩენი – სახეზეა მარეაბილიტირებელი გარემოება, რასაც სააპელაციო პალატაც დადგენილად მიიჩნევს, შესაბამისად, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის არსებობს იმ ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებით, მით უფრო, რომ კანონიერ ძალაში მყოფი 15.04.13 წ. განაჩენით უდანაშაულოდ ცნობასთან და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმებასთან ერთად, ლ. კ-ს განემარტა ზიანის ანაზღაურების უფლებების შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას, ამასთანავე გამოძიების მწარმოებელ ორგანოს არ აქვს საქმის შედეგის წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობა, მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საკმარისობის კუთხით სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება. გამოძიება სახელმწიფო საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, საგამოძიებო საქმიანობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას უხდება თავისი საქმიანობის წარმართვა ინფორმაციული დეფიციტის პირობებში. ამასთანავე, საგამოძიებო საქმიანობის აღნიშნული სპეციფიკა არ ქმნის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან სრულად გათავისუფლების საფუძველს, ხსენებულმა გარემოებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მხოლოდ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის ფარგლებზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელია ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრინციპი (სკ-ის 992 მუხ.),

თუმცა აღნიშნული დანაწესი არ არის აბსოლუტური ხასიათის. განსახილველ შემთხვევაში სახელწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად ზიანი ანაზღაურდება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება ბრალის, როგორც მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების აუცილებელ წინაპირობაზე, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისათვის. დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონო შეფარდების შემთხვევაში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივია. სააპელაციო პალატა ერთის მხრივ დადგენილად თვლის მარეაბილიტირებელი გარემოებების არსებობას, უთითებს სკ-ის 1005.3 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს ვალდებულებას ანაზღაუროს რეაბილიტირებული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემასთან დაკავშირებული ზიანი, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნავს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის დაუდგენლობის გამო. ამასთანავე, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების აუცილებელი წინაპირობის არსებობის საჭიროებაზე მითითების მიუხედავად, სააპელაციო პალატამ დასაშვებად მიიჩნია მორალური ზიანის ანაზღაურება, მაშინ როდესაც მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის კანონმდებლობით უფრო მაღალი სტანდარტია დადგენილი (სკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით მორალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, აღნიშნულის გათვალისწინებით სკ-ის 1005.3 მუხლი შესაძლებლად მიიჩნევს რეაბილიტირებული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას უკანონო ბრალდების შემთხვევაში).

ლ. კ-ი უთითებს, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთის შედეგად მას მიაღდა მატერიალური ზიანი, რის დასადატურებლადაც წარმოადგენს რიგ მტკიცებულებებს (მესამე პირთა ახ-

სნა განმარტებებს, დასკვნას დამდგარი ზიანის შეფასების შე-სახებ და სხვ.). მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით სააპელაციო პალატა შემოიფარგლა მხოლოდ სსკ-ის 102-ე მუხლზე მოთითებით და აღნიშნა, რომ მხარემ ვერ უზრუნველყო იმ გარემოებების დადასტურება, რომლებზეც ამყარებდა თავის მოთხოვნას, თუმცა არ შეუფასებია საქმეში ლ.კ-ის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, არ უმსჯელია კანონმდებლობით დადგენილი წესის გათვალისწინებით მათი გაზიარების შესაძლებლობაზე. ამდენად საქმე განხილულია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასების გარეშე. სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მტკიცებულებების სრული და ყოველმხრივი შეფასების საფუძველზე უნდა დაედგინა მატერიალური ზიანის არსებობა, გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი, ემსჯელა ასანაზღაურებელი მატერიალური ზიანის ფარგლებსა და ოდენობაზე. საკასაციო სასამართლო არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი (სსკ-ის 393.1 მუხ.), სსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე არ არის დადგენილი მატერიალური ზიანის არსებობა და ასეთის არსებობის შემთხვევაში – ზიანის ანაზღაურების ფარგლები, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ლ. კ-ის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლიანობაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება აღნიშნულ ნაწილში არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის აღნიშნულ ნაწილში განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმების

და გაუქმებულ ნაწილში საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საქმეში დაცული მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას და აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია არაქონებრივი უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ისეთ ობიექტს, რომლის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ხელშეუხებლობა) ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. თავისუფლების აღკვეთა დაკავშირებულია გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან, სტრესულ მდგომარეობასთან, რეპუტაციის შელახვასთან. ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით წყდება, მორალური ზიანის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.02.2014წ. გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ლ. კ-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა (6 000 ლარი) მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია. სკ-ის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას (სუს №ბს-972-963(3კ-08) 08.04.2009წ. გადაწყვეტილება). მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვ. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, კასატორის მიერ მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თან-

ხა (5 000 000 ლ.) არის აშკარად არაადეკვატური. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მიკუთვნებული კომპენსაცია გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას წარმოადგენს სკ-ის 413-ე მუხლის მიზნებისთვის, შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში კასატორის ლ. კ-ის მიერ გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

სსკ-ის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე კასატორი საკასაციო საჩივრის დაუკმაყოფილებელ ნაწილში განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2014წ. განჩინება ლ. კ-ისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.06.2014წ. განჩინება დარჩეს უცვლელი;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ჯანმრთელოვნების მიყენებული ზიანის ანაზღაურება

შრომითი მოვალეობის შესრულებით ჯანმრთელოვნების მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ბანჩინება

№ბს-513-500(კს-14)

20 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 1 ნოემბერს მოსარჩელე ნ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელე თავის სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავდა, რომ 1975 წლიდან მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მფრინავად სხვადასხვა ტიპის ავია ხომალდებზე, სადაც მისი საერთო ნაფრენი შეადგენდა 11987 საათს.

მოსარჩელის განმარტებით, იგი დანიშნული იყო სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მთავარ ინჟინრად, შემდგომ ... თანამდებობაზე, საიდანაც 2006 წლის 1 ივნისიდან განთავისუფლდა ადმინისტრაციის რეორგანიზაციის გამო. 2006 წლის 17 ივლისს საქართველოს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის პროფ. დაავადებათა დამდგენმა კომისიამ მოსარჩელეს დაუდგინა პროფესიული ხასიათის სმენის დაქვეითება, ასევე შრომითი შესაძლებლობების შეზღუდვა ზომიერად გამოხატული, პროფესიული დაავადებების მიზეზით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების და 2002 წლის 26 თებერვლის

№872 განკარგულების საფუძველზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს უნდა დაკისრებოდა მისთვის ყოველთვიურად ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2934 ლარის ოდენობით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე მხარი დაუჭირა თავის სასარჩელო განცხადებას და დამატებით განმარტა, რომ მის მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა უნდა გაყოფილიყო სამზე და გაყოფის შედეგად მიღებული თანხა 978 ლარის ყოველთვიურად ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა მოპასუხეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის 9780 ლარის ოდენობით; ნ. ბ-ის სარჩელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის 2007 წლის 1 სექტემბრის შემდგომ ყოველთვიურად სარჩოს დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც სარჩელის დაკმაყოფილების

ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება.

2009 წლის 7 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. ბ-მა, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის განჩინებით ნ. ბ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 29 მაისს ნ. ბ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა განმარტება იმის თაობაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული თანხა – 9780 ლარი შეადგენდა 10 თვის სარჩოს ჯამს, ხოლო ყოველთვიური სარჩოს ოდენობა შეადგენდა 978 ლარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ივნისის განჩინებით ნ. ბ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება განიმარტება მისი აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილების მიზნით, რაც მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ არ არის დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწი-

ლის ბუნდოვანობა და შესაბამისად, არ არსებობდა მისი აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დებულებები შეესაბამებოდა მის სამოტივაციო ნაწილში დადგენილ გარემოებებს, სასამართლოს მოსაზრებებსა და სასამართლოს დასკვნას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის იმგვარი განმარტება, რასაც ითხოვს განმცხადებელი, გამოიწვევს მისი შინაარსის შეცვლას, რაც სა მოქალაქეო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაა-საჩივრა ნ. ბ-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ივნისის განჩინების გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარ-მოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივ-რის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამი-სად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასა-ხულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის სააპელა-ციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილ-და ნ. ბ-ის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ სა-ფუძველზე ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანის ანაზღა-

ურების შესახებ და მითითებული გადანყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის – 9780 ლარის ოდენობით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრები და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივნისის გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2014 წლის 29 მაისს ნ. ბ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადანყვეტილების განმარტების მოთხოვნით. კერძოდ, განმცხადებელმა მოითხოვა მისთვის ასანაზღაურებელი ყოველთვიურად გასაცემი სარჩოს ოდენობასთან დაკავშირებით გადანყვეტილების განმარტება, რამდენადაც გადანყვეტილებაში მითითებული იყო მხოლოდ 2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე სრული პერიოდისათვის გასაცემი თანხის ოდენობა. განმცხადებელი გადანყვეტილების განმარტებას ითხოვდა იმ მიზნით, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესით“ გათვალისწინებული დახმარების მისაღებად მან მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს. დახმარების გასაცემად მითითებული წესის მოთხოვნის შესაბამისად, აუცილებელი იყო ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის დადგენა, რამდენადაც იმ პირებისათვის, რომლებსაც სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მუშაობისას დაუდგინდათ პროფესიული დაავადება და დანიშნული სარჩოს მიღება შეწყვეტილი ჰქონდათ 2007 წლის 1 სექტემბრიდან, გასაცემი დახმარება განისაზღვრებოდა სასამართლო გადანყვეტილებით დადგენილი სარჩოს ოდენობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადანყვეტილება საჭიროებდა განმარტებას ყოველთვიურად გასაცე-

მი სარჩოს ოდენობასთან დაკავშირებით, რამდენადაც გადან-
ყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავდა ზოგად მითითე-
ბას ასანაზღაურებელი სარჩოს – 9780 ლარის შესახებ, თუმცა
ყოველთვიურად გასაცემელის ოდენობა არ იყო დაკონკრეტე-
ბული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის
შესაბამისად, გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს უფ-
ლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადან-
ყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გა-
დანყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ
იმ შემთხვევაში, თუ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწი-
ლის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასა-
მართლოს მსჯელობას გადანყვეტილების განმარტებაზე უარის
თქმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყო დასაბუთე-
ბული გადანყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გა-
რემოებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს
მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკი-
ცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის
ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის
ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესით“ გათ-
ვალისწინებულ იქნა შრომითი მოვალეობის შესრულებისას და-
საქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად
ზიანის ანაზღაურების მიზნით პირის ფულადი სოციალური დახ-
მარებით უზრუნველყოფა. აღნიშნული წესის მე-5 მუხლის 2¹
ნაწილის შესაბამისად, დახმარება შესაძლოა დაენიშნოს საქარ-
თველოს მოქალაქეს, რომელსაც სამოქალაქო ავიაციის სისტე-
მაში მუშაობისას დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება ან
შრომითი მოვალეობის შესრულებისას დამსაქმებლის ბრალეუ-
ლობით მის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი და კანონით დადგე-
ნილი წესით დანიშნული სარჩოს მიღება შეუწყდა 2007 წლის 17
აგვისტოდან და 1 სექტემბრიდან (საქართველოს ტრანსპორ-
ტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის
ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მომენტიდან) „შრომითი მოვა-
ლეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენე-
ბული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავ-
რობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით, მათ შორის,
სასამართლოს მიერ ამავე დადგენილებიდან გამომდინარე მი-
ღებული გადანყვეტილებების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-

3 ნაწილის „ვ“ პუნქტის თანახმად, თუ მე-5 მუხლის 2¹ პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის სასამართლო გადაწყვეტილებით ვერ დგინდება ყოველთვიური გასაცემლის ოდენობა, დახმარების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო მასალებში დაცული დოკუმენტაციით/ცნობით ყოველთვიური გასაცემლის შესახებ.

ამდენად, მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული დახმარების ოდენობის განსაზღვრა უკავშირდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ყოველთვიური სარჩოს ოდენობის დადგენის ფაქტს. იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლომ ნ. ბ-ის მიმართ განიხილა ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანის ანაზღაურების საკითხი და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მას მიენიჭა გასული პერიოდის – 2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე დროისათვის სარჩოს მიღების უფლება, შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, სასამართლო უფლებამოსილია განმარტოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მიუთითოს, თუ რას შეადგენდა ასანაზღაურებელი თანხიდან ყოველთვიურად გასაცემი თანხის ოდენობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული არ სცილდება გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს და არ გამოიწვევს გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლას, რამდენადაც ნ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით, უკავშირდებოდა სწორედ ყოველთვიური სარჩოს დანიშვნით ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, ნ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ საფუძველზე ზიანის ანაზღაურება ყოველთვიურად სარჩოს – 978 ლარის გადახდით, სარჩელის წარდგენის დღიდან – 2006 წლის 31 ოქტომბრიდან უვადოდ.

სასამართლომ იმის გამო, რომ დავის განხილვის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა სარჩოს გადახდას მხოლოდ დამქირავებელი დაწესებულების ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე პერიოდისათვის, სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა სრულად

ასანაზღაურებელი თანხა.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულებისა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უნდა განმარტოს გადაწყვეტილება და მიუთითოს გადაწყვეტილებით დადგენილი ასანაზღაურებელი თანხიდან რას შეადგენდა ყოველთვიურად გასაცემი სარჩოს ოდენობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ივნისის განჩინება და ნ. ბ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შრომითი მოვალეობის შესრულებით
ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის
ანაზღაურება**

ბანჩინება

№ბს-165-162(კ-15)

8 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 4 აპრილს ა. ქ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და უწყებათაშორისი კომისიის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ საფუძველზე დახმარების (სარჩოს) დანიშვნის მოთხოვნით 2013 წლის 25 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 4 მარტის №04/17048 წერილით ა. ქ-ეს ეცნობა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ შესრულების მიზნით შექმნილმა უწყებათაშორისმა კომისიამ 2014 წლის 27 იანვარს განიხილა სს „...“ დაინვალიდებულ მაძიებელთა საკითხი, რომლებმაც 2013 წლის 1 მარტიდან 2014 წლის 27 იანვრამდე მიმართეს განცხადებებით სოციალური მომსახურების სააგენტოს.

უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით მითითებულ პირებს უარი ეთქვათ დახმარების დანიშვნაზე იმ მოტივით, რომ სს „...“ ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობისას საწარმოში სახელმწიფოს წილის ოდენობა 100%-ს არ შეადგენდა, შესაბამისად, ისინი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდნენ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ა. ქ-ემ პროფესიული დაავადება მიიღო 1984 წელს (მანგანუმის ქრონიკული ინტოქსიკაციის დიაგნოზით, 100%-ით დაკარგა შრომისუნარიანობა და დაუდგინდა I ჯგუფის ინვალიდობა უვადოდ), როდესაც „...“ მთლიანად სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. მას ყოველთვიურ სარჩოს უხდოდა ქარხანა საწარმოს სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბების შემდეგაც, საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული იყო „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი“, რომლის 2.1 მუხლი ითვალისწინებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ყოველთვიური ზიანის ანაზღაურების სარჩო ექვემდებარებოდა ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მე-3 პუნქტის თანახმად, დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდებოდა დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება.

2006 წლის 13 დეკემბერს შპს „ჯ...“ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს „ფ...“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „ჯ...“ იყიდა სს „ფ...“ აქტივები, ხოლო პასივები დარჩა სს „ფ...“. შესაბამისად, სს „ფ...“ დაინვალიდებულეს, მათ შორის ა. ქ-ეს 2007 წლის 1 მარტიდან შეუწყდათ ყოველთვიური სარჩოს გაცემა. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „ფ...“ დაევალა ა. ქ-ისათვის სარჩოს ანაზღაურების აღ-

დგენა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დროისათვის „სს „ფ...“ გაკოტრების საქმის წარმოება დასრულებული იყო, სარჩოს გადახდა სს „ფ...“ მიერ არ გაგრძელებულა, ხოლო შპს „ჯ...“ უარი განაცხადა სარჩოს გადახდაზე, რამდენადაც იგი სს „ფ...“ სამართალმემკვიდრე არ იყო.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სს „ფ...“ დაინვალიდებულ პირთა სარჩელი შპს „ჯ...“ სარჩოს გადახდის ვალდებულების დაკისრების შესახებ.

მოსარჩელის მითითებით, „...“ სააქციო საზოგადოებად რეგისტრაციაში გატარდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 31 დეკემბრის №32/5-25 დადგენილებით, რომლის აქციონერებსაც წარმოადგენდნენ: სახელმწიფო – 51% ნილობრივი მონაწილეობით, ქონების მართვის სამინისტრო – 48,2% ნილობრივი მონაწილეობით და მუშაკთა კოლექტივი – 0,8% ნილობრივი მონაწილეობით. სს „...“ ლიკვიდირებულ იქნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებისა და 2010 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე. სამენარმეო რეესტრის მონაცემებით, ლიკვიდირებულ სუბიექტს სამართალმემკვიდრე არ ჰყავდა.

ამდენად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ უწყებათაშორისმა კომისიამ არასწორად განმარტა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებელი ყოველთვიური დახმარება შეიძლება დაენიშნოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში (უფლებამონაცვლე არ ყავს), 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება ამ დამსაქმებელთან მუშაობის გამო ან ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი. დახმარების დანიშვნაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ლიკვიდაციის პერიოდისათვის სს „ფ...“ სახელმწიფოს წილი 100%-ს არ შეადგენდა. მოსარჩელის მოსაზრებით, უწყებათაშორის კომისიას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ა. ქ-ემ პროფესიული დაავადება მიიღო 1984 წელს, როდესაც სს „ფ...“ სა-

ხელმწიფო სანარმო იყო და არა 1996 წლის შემდეგ, როდესაც სანარმო სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა და მოხდა წილების გადანაწილება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ უწყებათაშორისმა კომისიამ განსხვავებულად გადაწყვიტა დახმარების დანიშვნის საკითხი სს „ჭ...“ დაინვალიდებული პირების მიმართ. მითითებული სანარმოც 1995 წელს სახელმწიფოს ნაწილობრივი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა. აღნიშნული პირების მიმართ კომისიამ გაავრცელა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, თუმცა, მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმა არანაირ გამოწვევის არ დადგენდა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დაზიანება მიიღეს სს „ჭ...“ ან „ს...“ დეპარტამენტში მუშაობის გამო ან ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას. აღნიშნული ნორმის მითითება, რომ „ამ წესის შესაბამისი დახმარება შეიძლება დაენიშნოს ასევე საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება სს „ჭ...“ ან „ს...“ დეპარტამენტში მუშაობის გამო ან ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მის ჯანმრთელობას მიაღდა ზიანი,“ ნიშნავს იმას, რომ ამ პირებზეც ზუსტად იგივე წესი ვრცელდება, რაც ზოგადად დადგენილია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ა. ქ-ის ნაწილში უწყებათაშორისი კომისიის 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოსარჩელისათვის დახმარების დანიშვნის შესახებ ახალი აქტის გამოცემის მოპასუხისათვის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 მაისის საოქმოდ განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საქმეში ჩაება მესამე პირად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯან-

მრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლით გათვალისწინებული დახმარების დასანიშნად აუცილებელია რამოდენიმე პირობის არსებობა: საქართველოს მოქალაქე დასაქმებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ სანარმოში (უფლებამონაცვლე არ ჰყავს); 2007 წლის 1 იანვრამდე უნდა ჰქონოდა დადგენილი პროფესიული დაავადება ან მისი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით, ამასთან, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული უნდა ყოფილიყო ფულადი გასაცემლის მიღების უფლება ან სააგენტოს მხრიდან 2007-2008 წლებში გაცემული უნდა ყოფილიყო ერთჯერადი კომპენსაცია.

საქალაქო სასამართლომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია, რომ ა. ქ-ე მუშაობდა სს „ფ...“, სადაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში მიიღო პროფესიული დაავადება, გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი და შრომის უნარი დაკარგა 100%-ით უვადოდ. ამავე განწყვეტილებით სს „ფ...“ დაევალა ა. ქ-ისათვის შეჩერებული, დანიშნული ზიანის ანაზღაურების გაგრძელება 2007 წლის 1 მარტიდან. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით დასრულდა სს „...“ გაკოტრების საქმის წარმოება. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით სს „...“ ლიკვიდირებულია, ხოლო მისი სამართალმემკვიდრის არსებობა არ დგინდება. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით სს „...“ გატარდა რეგისტრაციაში (საზოგადოების აქციონერები: სახელმწიფო – 51%; საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო – 48,2%; შრომითი კოლექტივი – 0,8%). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სს „...“ შემქნილი და ლიკვიდირებული არ ყოფილა სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, შესაბამისად, ა. ქ-ე ვერ მოიპოვებდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ უფლებას. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ უწყებათაშორის კომისიას სს „ჭ...“ დაინვალიდებული პირების მსგავსად უნდა გაევერცე-

ლებინა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი“ სს „ფ...“ დაინვალიდებული პირების მიმართაც.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ წესის შესაბამისი დახმარება შეიძლება დაენიშნოს ასევე საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება სს „ჭ...“ ან „ს...“ დეპარტამენტში მუშაობის გამო ან ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მის ჯანმრთელობას მიაღდა ზიანი. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულმა ნორმამ გამონაკლისი დაუშვა სს „ჭ...“ ან „ს...“ დეპარტამენტში დაზარალებულ პირებზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ქ-ემ, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ა. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ქ-ე არ მიეკუთვნებოდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესით“ გათვალისწინებულ სუბიექტთა წრეს და მითითებული ნორმის დისპოზიცია არ იძლეოდა სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ქ-ემ, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლოებმა მოთხოვნის უარყოფის მოტივად მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ სს „ფ...“ სახელმწიფოს წილი 100%-ს არ შეადგენდა საწარმოს ლიკვიდაციის დროისათვის. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული წესის თანახმად, დახმარება (სარჩო) კვლავ უნდა დანიშვნოდეთ 2007 წლის 1 იანვრამდე პროფესიული დაავადებით დაინვალიდებულ პირებს. ა. ქ-ე სარჩოს ღებულობდა 1984 წლიდან 2007 წლის 1 მარტამდე, იმ დრომდე, ვიდრე მოხდებოდა სს „ფ...“ გაკოტრება და შპს „ჯ...“ მიერ მისი აქტივების შესყიდვა. ა. ქ-ის სარჩელის საფუძველზე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „ფ...“ დაევალა სარჩოს ანაზღაურების აღდგენა, რაც არ განხორციელდა საწარმოს ლიკვიდაციის გამო. ა. ქ-ემ პროფესიული დაავადება მიიღო საწარმოს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნამდე, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ფ... სახელმწიფო საწარმო იყო.

ამდენად, კასატორის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ფ... სააქციო საზოგადოებად 1996 წელს დაფუძნდა და მუშაკთა კოლექტივის წილი მის ქონებაში მხოლოდ 0,8%-ს შეადგენდა, სს „ფ...“ დაინვალიდებული პირები სარჩოს ღებულობდნენ 2007 წლის 1 მარტამდე. ამდენად, ის გარემოება, რომ სს „ფ...“ არ იყო დაფუძნებული სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, სარჩოს გაცემის დამაბრკოლებელი გარემოება არ იყო.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის მითითებით, უწყებათაშორის კომისიას სადავო საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაეთვალისწინებინა საწარმოს წილის პროცენტული მონაცემები და მასთან შესაბამისობაში მაინც უნდა დანიშნოდა მოსარჩელეს დახმარება.

დახმარების გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ „...“ 1996 წელს არ დაარსებულა, მან 1996 წელს მხოლოდ სამართლებრივი ფორმა შეიცვალა, რა დრომდეც საწარმო სრულად სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა.

ამდენად, კასატორის მოსაზრებით, უწყებათაშორისი კომისიის სადავო აქტი გამოიცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა უგულებელყოფით, რაც ზოგადი ადმინის-

ტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განჩინებით ა. ქ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის განჩინებით ა. ქ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით სს „...“ (სს „ფ...“) გატარდა რეგისტრაციაში (საზოგადოების აქციონერები: სახელმწიფო – 51%; სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო – 48,2%; შრომითი კოლექტივი – 0,8%). ა. ქ-ე მუშაობდა სს „ფ...“, სადაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში მიიღო პროფესიული დაავადება, გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი და შრომის უნარი დაკარგა 100%-ით უვადოდ, რის შედეგადაც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ საფუძველზე დაენიშნა ყოველთვიური სარჩო 106 ლარის ოდენობით, თუმცა კასატორისათვის 2007 წლის პირველი მარტიდან სარჩოს გაცემა შეწყდა. ა. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „ფ...“ დაევალა ა. ქ-ისათვის შეჩერებული სარჩოს ანაზღაურების გაგრძელება 2007 წლის 1 მარტიდან. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით დასრულდა სს „...“ (სს „ფ...“) გაკოტრების საქმის წარმოება. სამენარმეო რეესტრის მონაცემებით სს „...“ დღეის მდგომარეობით ლიკვიდირებულია, ხოლო მისი სამართალმემკვიდრის არსებობა არ დგინდება. ა. ქ-ე ითხოვს სამსახურებრივი მო-

ვალეობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით სარჩოს დანიშვნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ საფუძველზე. კასატორი მიიჩნევს, რომ მას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უწყებათაშორისი კომისიის 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე ეთქვა უარი სარჩოს დანიშვნაზე, რადგან ზიანის მიყენების მომენტში (1984 წ.) ქარხანა სრულად იმყოფებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ამასთანავე, 1996 წელს, ქარხნის სააქციო საზოგადოებად დარეგისტრირების მომენტშიც, ქარხნის შრომით კოლექტივს გადაეცა მხოლოდ აქციათა 0,8 %. კასატორი თვლის, რომ სარჩოს მიღებაზე მისი უფლება დადგენილია აგრეთვე კანონიერ ძალაში მყოფი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რომლითაც სს „ფ...“ დაევალა ა. ქ-ისათვის შეჩერებული, დანიშნული ზიანის ანაზღაურების გაგრძელება 2007 წლის 1 მარტიდან, თუმცა სს „ფ...“ ვერ შეძლო ამ თანხის ანაზღაურება გაკოტრების გამო. კასატორი მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 01 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის დისკრიმინაციულ ხასიათზე და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოწესრიგება არ უნდა გავრცელდეს მხოლოდ სს „ჭ...“ ან „ს...“ დეპარტამენტში დასაქმებულ პირებზე.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ სანარმოებში, დანესებულებებში, ორგანიზაციებში დასაქმებულ მუშაკთა შრომითი მოვალეობის შესრულებისას სანარმოო ტრავმით, პროფესიული დაავადებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველებს განსაზღვრავდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად დამქირავებელი იყო მატერიალურად პასუხისმგებელი მასთან დასაქმებული მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენე-

ბის შედეგად დამდგარი ზიანისათვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, თუ ზიანი დამდგარი იყო 100%-იანი სახელმწიფო ნილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლებამონაცვლე არ ჰყავდა. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფდა სახელმწიფო, კერძოდ – სსიპ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში (ნესის 42¹ მუხლი). განსახილველ შემთხვევაში ა. ქ-ეს აღნიშნული ნესის საფუძველზე დანიშნული ჰქონდა ყოველთვიური სარჩო, რომელსაც ანაზღაურებდა სს „ფ...“.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება 2007 წლის 01 მარტიდან გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცდა ახალი „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნესი“, რომელშიც მიეთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული ნესის მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩო ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა (ნესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი). ნესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი უთითებდა, რომ დამსაქმებლის გაკოტრება ან ლიკვიდაცია იწვევდა დანიშნული ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტას, რაც ვალდებულების შეწყვეტის საერთო საფუძველს წარმოადგენს. განსახილველ შემთხვევაში ა. ქ-ეს, რომელიც სს „ფ...“ ტრავმის მიღებიდან ყოველთვიურად იღებდა სარჩოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით, შეუწყდა სარჩოს გაცემა 2007 წლის პირველი მარტიდან. ა. ქ-ის სარჩელის საფუძველზე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სს „ფ.“ დაევალა ა. ქ-ისათვის შეჩერებული, დანიშნული ზიანის ანაზღაურების გაგრძელება 2007 წლის 1 მარტიდან. გადაწყვეტილებაში მიეთითა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნესის“ მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე და აღინიშნა, რომ დანიშნული სარჩო დაექვემდებარა ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის მიხედ-

ვით სარჩოს დარიცხვა წყდებოდა საწარმოს გაკოტრებისას ან ლიკვიდაციისას. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია განხორციელდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის და 2010 წლის 22 მარტის განჩინებების საფუძველზე, შესაბამისად, 2007 წლის პერიოდისათვის არ არსებობდა დანიშნული სარჩოს გაცემის გაგრძელების დამაბრკოლებელი გარემოება. განსახილველი საკითხის მომწესრიგებელი იმჟამად მოქმედი ნორმატიული აქტები და არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა სარჩოს გაცემაზე უარის თქმის საფუძველს, რის გამოც ა. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეჩერებული სარჩოს 2007 წლის პირველი მარტიდან ანაზღაურების თაობაზე ა. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება სადღეისოდ არ ქმნის განსახილველი სარჩელის დაკმაყოფილების, სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება არანაირად არ ადასტურებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობას. კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით სარჩოს გაცემის განახლების შემდეგ სარჩოს გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიქმნა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით, რომელიც საწარმოს ლიკვიდაციისა და გაკოტრების შემთხვევაში სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტას ადგენდა. შესაბამისად, ა. ქ-ეს მართებულად შეუწყდა სარჩოს დარიცხვა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით არ ქმნის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის სარჩოს გაცემის დაკისრების საფუძველს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი“, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება. ახალი დადგენილების ამოქმედების შემდგომ ა. ქ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩოს დანიშვნის თაობაზე, რაზეც საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილების შესასრულებ-

ლად შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით განმცხადებელს ეთქვა უარი იმ საფუძველით, რომ 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დახმარება შეიძლება დაენიშნოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში (უფლებამონაცვლე არ ჰყავს), 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება ამ დამსაქმებელთან მუშაობის გამო ან ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი და: ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული აქვს ფულადი გასაცემლის მიღების უფლება; ბ) სააგენტოს მხრიდან 2007-2008 წლებში გაცემულია ერთჯერადი კომპენსაცია ან დაფარულია დავალიანება. კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული უარი არამართლზომიერია, რადგან ზიანის მიყენების მომენტში (1984 წ.), ქარხანა იყო სრულად სახელმწიფოს საკუთრება, ამასთანავე, ქარხნის სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტში ქარხნის შრომით კოლექტივს გადაეცა მხოლოდ აქციათა 0,8%, შესაბამისად, კასატორი თვლის, რომ საწარმო იყო სახელმწიფოს 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი და ლიკვიდაციის პროცესშიც აქციათა აბსოლუტური უმრავლესობა, თითქმის 100 % (99,2%) ირიცხებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში, რის გამოც წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი მის მიმართაც უნდა გავრცელდეს. საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ მართალია ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ქ-ეს დაუდგინდა სს „ფ...“ სარჩოს მიღების უფლება, თუმცა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებდა დანიშნული სარჩოს გაცემის შეწყვეტას დამსაქმებლის ლიკვიდაციისას. საქმეზე უდავოდ არის დადგენილი, რომ ა. ქ-ის დამსაქმებელი – სს „...“ ლიკვიდირებულია, შესაბამისად, ა. ქ-ეს საწარმოს ლიკვიდაციის შედეგად, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შე-

საბამისად, გაუქარწყლდა სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპოვებული სარჩოს მიღების უფლება. ამდენად, დღეის მდგომარეობით შესაძლებელია არა წარსულში დანიშნული და შეწყვეტილი სარჩოს გაცემის აღდგენის, არამედ სარჩოს ხელახლა დანიშვნის მოთხოვნა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა ის გარემოებები, რომლებიც არსებობდა სარჩოს პირველად დანიშვნის ან შეჩერებული სარჩოს გადახდევინების განახლების შემთხვევაში – 2007 წელს, არამედ ის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც არსებობდა 2013 წელს – კასატორის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიმართვის მომენტში. ამდენად, სადავო აქტის კანონიერების დადგენა საჭიროებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ საფუძველზე ა. ქ-ისათვის სარჩოს დანიშვნის შესაძლებლობის გარკვევას. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დახმარება შეიძლება დაენიშნოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ სანარმოში (უფლებამონაცვლე არ ჰყავს), 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება ამ დამსაქმებელთან მუშაობის გამო ან ამავე დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას მის ჯანმრთელობას მიაღდა ზიანი და: ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული აქვს ფულადი გასაცემლის მიღების უფლება; ბ) სააგენტოს მხრიდან 2007-2008 წლებში გაცემულია ერთჯერადი კომპენსაცია ან დაფარულია დავალიანება. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით სს „...“ (სს „ფ...“) გატარდა რეგისტრაციაში, საზოგადოების აქციონერები იყვნენ სახელმწიფო – 51%, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო – 48,2% და შრომითი კოლექტივი – 0,8% წილით. ამდენად, დამსაქმებელი, რომელსაც ეკისრებოდა ა. ქ-ისათვის სარჩოს ანაზღაურების ვალდებულება, შექმნილი და ლიკვიდირებული არ ყოფილა სახელმწიფოს 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით. სააქციო საზოგადოების რეგისტრაცია მოხდა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სანარმოს სააქციო საზოგადოებად გარდაქ-

მნით, ამდენად, სააქციო საზოგადოების რეგისტრაციამდე ქარხნის სახელმწიფო საკუთრებაში ყოფნა არ ადასტურებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის საფუძველზე სარჩოს დანიშვნის შესაძლებლობას. საფუძველს არის მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ აქციათა აბსოლუტური უმრავლესობის (99,2%) სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ არსებობის გამო, სს „ფ...“ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო საწარმოდ, რის გამოც კასატორზე უნდა გავრცელდეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება. კონკრეტული სამართლებრივი შედეგი ნორმის ქმედების შემადგენლობაში დადგენილი წინაპირობების არსებობიდან გამომდინარეობს. ნორმატიული აქტი სამართლებრივი შედეგის – სარჩოს დანიშვნის წინაპირობად იმპერატიულად ადგენს, რომ პირი, რომელსაც მიადგა ზიანი, დასაქმებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში, ნორმა არ ითვალისწინებს შედეგის დადგომის ალტერნატიულ წინაპირობებს. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლში ასახული იმპერატიული მოთხოვნა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 3.1 მუხლის თანახმად, სავალდებულოა შესასრულებლად და არ განეკუთვნება მიხედულების, მიზანშეწონილობის სფეროს. ამასთანავე, კასატორის მოსაზრება, რომ პრივატიზების შედეგად შეუძლებელია არსებობდეს სახელმწიფოს 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო, არ ქმნის ნორმის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან მართალია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 29 მაისის №612 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიურ რესპუბლიკათა და მუნიციპალურ (ადგილობრივ) საკუთრებაში არსებულ სახელმწიფო საწარმოთა ღია სააქციო საზოგადოებებზე გარდაქმნის შესახებ“ ითვალისწინებდა სააქციო საზოგადოების წესდებაში საწარმოს მუშაკთათვის უსასყიდლოდ გადასაცემ აქციათა საერთო ღირებულების და რაოდენობის გაცემას, თუმცა არ დასტურდება, რომ აღნიშნული ვალდებულება ყველა საწარმოს მიერ იქნა შესრულებული (მაგ: სამწარმოო რეესტრის მონაცემების მიხედვით 100% სახელმწიფოს ნილობ-

რივი მონაწილეობით შექმნილია სს „საქ...“ (ს.კ. 204892189), რეგისტრაციის თარიღი: 31.10.1997წ., სს „სა...“ (ს.კ. 206034469), რეგისტრაციის თარიღი: 26.09.1996წ., სს „ბ...“ (ს.კ. 239897858), რეგისტრაციის თარიღი: 06.03.2000წ. და სხვ.). საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 29 მაისის №612 დადგენილებით დამტკიცებული დებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 1997 წლის 30 მაისის კანონით, რომლის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი ასევე ითვალისწინებდა მუშაკთათვის უსასყიდლოდ აქციათა 10%-ის გადაცემის ვალდებულებას. სწორედ არსებული რეალური მდგომარეობიდან, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრა კანონმდებლის მიერ სოციალური შეღავათი მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს 100% ნილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მუშაობდნენ. აღნიშნული დანაწესი ამოღებულ იქნა 2007 წლის 11 ივლისის №5295 კანონით, რის შემდეგაც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საწარმოთა პრივატიზებისას მისი მუშაკებისათვის აქციათა სავალდებულო წესით გადაცემის საჭიროებას, რაც ადასტურებს პრივატიზების შედეგად სახელმწიფოს 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების არსებობას (იხ. მაგ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემები: <http://nasp.gov.ge/geo/static/163>). ამასთანავე, საკასაციო პალატის უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტში სახელმწიფოს 100% ნილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოზე მითითებით კანონმდებელმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ნორმის სუბიექტთა წრე, ნორმაში ასახულია კანონმდებლის კონკრეტულად განსაზღვრული იმპერატიული ნება, ნორმა არ შეიცავს საკანონმდებლო ხარვეზს, შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი მოახდინოს ნორმის ისეთი განმარტება, რომელიც ნორმის შესწორებას გაუთანაბრდება, გაცდება ნორმის ტექსტის ინტერპრეტაციისათვის დადგენილ ფარგლებს, შესძინს სასამართლოს კანონმდებლის ფუნქციებს, ჯერადობით გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალურ დატვირთვას.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიიჩნევს, რომ ასევე დაუშვებელია კასატორთან მიმართებით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენება, რადგან აღნიშნული ნორმა საგამონაკლისო წესს ადგენს მხოლოდ სს „ჭ...“ ან „ს...“ დეპარტამენტში მუშაობის გამო დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით, ნორმით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევათა წრე მკვეთრად არის მონიშნული და მისი განვრცობითი განმარტება არ დაიშვება, ნორმა არ ითვალისწინებს სს „ფ...“ მომუშავე პირებთან დაკავშირებით აღნიშნული მოწესრიგების გამოყენების შესაძლებლობას. კასატორის მოსაზრება, რომ კანონმდებლის აღნიშნული მიდგომით ირღვევა თანასწორობის პრინციპი, არ ასაბუთებს ნორმის გამოყენებაზე უარს, რადგან ნორმა ა. ქ-ის მიერ არ გასაჩივრებულა, ძალაშია და სავალდებულოა შესასრულებლად. საფუძველს არის მოკლებული კასატორის მითითება ზაკ-ის 4.3 მუხლის მოთხოვნის დარღვევაზე, რომლითაც აკრძალულია საქმის გარემოებათა იდენტიურობის შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. ნორმაშემოქმედება გულისხმობს დისკრეციის სფეროს არსებობას, მოწესრიგების შემოღებისას მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტას, უპირატესობების, საგამონაკლისო შემთხვევების გათვალისწინებას, რაც მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობებით არის დეტერმინირებული და არა დისკრიმინაციული მიდგომით, დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება („დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის 2.8 მუხ.). შესაბამისად უსაფუძვლოა კასატორის მითითება კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული თანასწორობის დარღვევის, დისკრიმინაციული მიდგომის შესახებ. ამდენად, არ არსებობს ზაკ-ის 4.3 მუხლის ანალოგიით გამოყენების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის კანონის დანაწესთა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება (ზაკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი), უფლებამოსილე-

ბის გადამეტებით გამოცემულ აქტს არ აქვს იურიდიული ძალა (ზაკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი). აღნიშნული პრინციპი არამარტო უკრძალავს ადმინისტრაციულ ორგანოს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, არამედ ავალდებულებს მას კანონის გამოყენებას. ამდენად, არ არსებობს გასაჩივრებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან იგი მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, საქმის გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად. არ დასტურდება კასატორის მოსაზრება, რომ სადავო აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, ზაკ-ის 53-ე, 96-ე მუხლების დარღვევით, რადგან საქმის მასალებით დასტურდება, რომ საკითხის განხილვისას ორგანომ შეისწავლა განცხადებები და თანდართული დოკუმენტები და ა. ქ-ის განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან სამართალმემკვიდრის არსებობის შესახებ. კასატორი არ უთითებს კონკრეტულად რა მტკიცებულებები უნდა მოეძიებინა და დამატებით რა გარემოებები უნდა დაედგინა ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება სწორია, კანონის მითითებულ დარღვევას ადგილი არ აქვს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ჯანმრთელობისათვის ჰნეზის მიყენების შედეგად
დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურება**

ბანრინება

№ბს-710-702(2კ-15)

11 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

02.04.2014 წ. გ.გ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის – 500 000 ლარის და ადვოკატის ხარჯის – 2 000 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1995 წლიდან 2002 წლის 21 ივლისამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის საჩხერის მე-16 სამთო სპეციალური დაწესებულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ს-4 ... ოფიცრის თანამდებობაზე, სამხედრო წოდებით კაპიტანი. 21.07.2002წ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოჰყვა ავტოკატასტროფაში და მიიღო მძიმე დაზიანება: კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმა, სახისა და შუბლის ძვლების მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაჟეჟილობა ც-7 დონეზე, ც-6 მალის ხაზოვანი მოტეხილობა, ზედა პარაპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციის მოშლა, რის შედეგადაც დაკარგა შრომის უნარი 100%-ით, გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი უვადოდ და მიეჯავრა ეტლს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ავტოკატასტროფის შედეგად მას მიაღდა არამართო მატერიალური, არამედ მორალური ზიანიც, რაც უნდა ანაზღაურდეს, რადგან არაერთგზის ჩატარებული მკურნალობის მიუხედავად გ. გ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, რის გამოც იგი ჩავარდა უმწეო, სასონარკვეთილ მდგომარეობაში, წაერთვა აქტიური ცხოვრების შესაძლებლობა, შეეცვალა ცხოვრების წესი და რიტმი, დაუქვეითდა ცხოვრების ხალისი, გაუჩნდა არასრულფასოვნების კომპლექსი, მი-

ადგა მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტკივილი, რასაც ამ-
დაფრებდა მკურნალობისათვის საჭირო მატერიალური სახსრე-
ბის არარსებობა. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ავარიის შემდგომ
მისი ოჯახის ერთადერთი შემოსავალი იყო 2003 წელს დანიშ-
ნული პენსია – 94 ლარი, რომელიც 2013 წლის 1 აპრილიდან გახ-
და 284 ლარი, რაც ვერ უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო და
მედიკამენტოზური მკურნალობის ჩატარებას. გ. გ-ი მიიჩნევს,
რომ მორალური ზიანის ანაზღაურების გონივრული და სამარ-
თლიანი ოდენობაა 500 000 ლარი, რადგან სიცოცხლე და ჯან-
მრთელობა პირის აბსოლუტური უფლებებია, ამასთანავე, მი-
ღებული ტრავმების შედეგად მოსარჩელეს დაერღვა ორგანიზ-
მის მნიშვნელოვანი ფუნქციები, რამაც განაპირობა შრომის უნა-
რის სრული დაკარგვა, თვითრეალიზებისა და სრულფასოვანი
ცხოვრების შეუძლებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 02.12.2014 წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო
მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, გ. გ-ს ხანდაზმულობისა და მი-
ზეზობრივი კავშირის დაუდგენლობის მოტივით უარი ეთქვა სა-
ქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მის სასარგებლოდ
მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე, რაც სააპელა-
ციო წესით გაასაჩივრა გ. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 17.07.2015წ. გადაწყვეტილებით გ. გ-ის საა-
პელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გა-
დანყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქარ-
თველოს თავდაცვის სამინისტროს გ. გ-ის სასარგებლოდ დაე-
კისრა მორალური ზიანის – 20 000 ლარის და ადვოკატის ხარ-
ჯის – 1000 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტან-
ციის სასამართლოს მოსაზრება მიზეზობრივი კავშირის არარ-
სებობასთან დაკავშირებით, მიუთითა სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-
ის 997-ე, 1005-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ანაზღაურებას
ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზი-
ანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლომ
№62022013 სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ
დადგენილების საფუძველზე აღნიშნა, რომ 21.07.2002წ. შემ-
თხვევის დროს, ავტომანქანას მართავდა გ. ჩ-ე, რომელმაც ვერ
უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების დაცვა, რა-
მაც გამოიწვია ავტომანქანის გადაბრუნება, კ. შ-ის გარდაცვა-
ლება, ხოლო გ. გ-ის სხეულის მძიმე დაზიანება. სააპელაციო პა-

ლატამ დადგენილად მიიჩნია, რომ №55066 სამხედრო ნაწილის 08.01.03წ. №8 ცნობის თანახმად, გ. გ-ი 21.07.2002წ. სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოყვა ავტოკატასტროფაში, რის შედეგადაც მიიღო ტრავმა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრებისა და მთავარი სამმართველოს უფროსის 04.03.03წ. №542 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი გ. გ-ი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჩხერის რაიონის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 16.04.03წ. შემოწმების აქტიდან ამონაწერის საფუძველზე პალატამ დაადგინდა, რომ გ. გ-ი არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, ინვალიდობა უვადოა და გამონწეულია სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმების შედეგად. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდა, რომ გ. გ-ემ ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 276.5 მუხლით, თუმცა ბრალდებულის სახით პასუხისმგებებაში მისაცემი პირის გარდაცვალების გამო სს საქმე შეწყდა. პალატის მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ქმნის იმის მტკიცების საფუძველს, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის ბრალეული ქმედების შედეგად მოსარჩელე მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება: გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, დაკარგა შრომის უნარი უვადოდ, მიეჯაჭვა ეტლს და დაკარგა დამოუკიდებლად მოძრაობისა და გადაადგილების უნარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ, მიუთითა სსკ-ის 413-ე მუხლზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ფაქტი შესაძლოა არ უკავშირდებოდეს უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს. სააპელაციო პალატამ საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მკურნალობის მიუხედავად მოსარჩელემ ჯანმრთელობის მდგომარეობა ვერ აღიდგინა, ის არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, პირველი ჯგუფის ინვალიდი, მიღებული ტრავმის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის ფუნქციები, ვერ ახერხებს ოჯახის რჩენას, ავადმყოფობის გამო დარჩა უმუშევარი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მორალური ზიანის დადგომა არ უკავშირდება ცალსახად მატერი-

ალური ზიანის მიყენების მომენტს და მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელეს მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის მოტივით ეთქვა უარი არ გამორიცხავს მის უფლებას, მოითხოვოს და აინაზღაუროს არაქონებრივი ზიანი. პალატამ მიუთითა, რომ მორალური (არაქონებრივი) ზიანი ანაზღაურდება გონივრული და სამართლიანი ოდენობით, ანაზღაურების მოცულობა დგინდება ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხის და საქმის ინდივიდუალური თავისებურებების მიხედვით. მორალური ზიანის ანაზღაურება ვერ უზრუნველყოფს ხელყოფილი უფლების რესტიტუციას, რამდენადაც ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება ფულადი ფორმით შეუძლებელია. კომპენსაციის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ ნეგატიური განცდების შემსუბუქება, რომელიც დაეხმარება მოსარჩელეს სულიერი წონასწორობის მიღწევაში. კომპენსაციის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ ჰქონდა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების განზრახვა, ასევე გაითვალისწინა თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკა, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონით დადგენილი კომპენსაციის ოდენობები და მიიჩნია, რომ გ. გ-ის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ოცი ათასი ლარის ნაწილში. სსკ-ის 53.1 მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. გ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ადვოკატის ხარჯის – 1 000 ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.07.2015 წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. გ-მა და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ, ვინაიდან მორალურ ზიანს ის დღესაც განიცდის. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოთვალა ასანაზღაურებელი მორალური ზიანის ოდენობა. კასატორი თვლის, რომ ანაზღაურება არ არის გონივრული და სამართლიანი. კასატორი მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი თანხის – 500 000 ლარის სრული ანაზღაურებაც კი ვერ უზრუნველყოფს გადატანილი და მომავალში გადასატანი ფსიქიკური ტკივილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, გ. გ-ის მიზანია განცდილი ფიზიკური და მორალური ზიანის შემსუბუქება. სააპელაციო პალატას მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიეღო

დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება დამდგარი ზიანის მიმართ, ასევე არსებული ობიექტური გარემოებები, კერძოდ, შეილახა კასატორის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, კასატორმა 30 წლის ასაკში სრულად დაკარგა შრომისუნარიანობა, გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, დაკარგა გადაადგილების და დამოუკიდებლად საკვების მიღების უნარი, კასატორს ავარიისას ჰყავდა ორი მცირეწლოვანი შვილი, რომელთა მატერიალურად უზრუნველყოფის სახსრები გ. გ-ს აღარ გააჩნდა. აღნიშნული გარემოებები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრალეულობა და მატერიალური მდგომარეობა სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა. კასატორმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და მოწინააღმდეგე მხარისათვის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 480 000 ლარის დაკისრება კასატორისათვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

კასატორმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივარში მიუთითა სსკ-ის 102-ე, 412-ე, ასკ-ის მე-17 მუხლებზე და აღნიშნა, რომ არ დასტურდება სამინისტროს ბრალეული ქმედების შედეგად გ. გ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. ამასთანავე, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, არამედ ხელყოფილი სიკეთის დადებითი ემოციით შეცვლა. მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების ფარგლებს განსაზღვრავს სასამართლო საქმის მასალების ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის საკითხი, ზიანის ხარისხი, დაზარალებულის განცდების სიღრმე და სხვა ინდივიდუალური თავისებურებანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროსათვის მორალური ზიანის სახით 20 000 ლარის დაკისრება უპრეცედენტოა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის აშკარად შეუსაბამოა. კასატორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ გ. გ-ის მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან იგი ავტოკატასტროფაში მოჰყვა 2002 წელს, ხოლო სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრა 2014 წელს, რა დროსაც გასული იყო სკ-ის 128-ე და 1008-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. რაც შეეხება საადვოკატო ხარჯის ანაზღაურების თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებას, კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძ-

ვლები, რადგან არ დასტურდება, რომ ადვოკატისათვის აღნიშნული თანხა გ. გ-ის მიერ გადახდილია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. გ-ის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია და დავას არ ინვესტის გარემოება, რომ გ. გ-ი 1995-2002 წლებში მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის, საჩხერის მე-16 სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ს-4 (...) ოფიცრის თანამდებობაზე, სამხედრო ნოდებით – კაპიტანი. გ. გ-ი 21.07.2002წ. მოყვა ავტოკატასტროფაში, მიიღო ტრამვა: კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ზედა პარაპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციების მოშლა, თავის და ხერხემლის დაზიანებული ტრავმა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრებისა და მთავარი სამმართველოს უფროსის 04.03.2003წ. №542 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე გ. გ-ი დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან და ჩაირიცხა რეზერვში, ავადმყოფობის გამო. გ. გ-ი არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, უვადოდ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის საჩხერის მე-16 სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის (ს/655066) ს-4 (...) ოფიცერი გ. გ-ი იღებდა სამხედრო ნოდებისათვის სარგოს – 4.53 ლარს, თანამდებობრივ სარგოს – 39.24 ლარს, ნამსახურეობის პროცენტულ დანამატს – 8.75 ლარს, კვების კომპენსაციას – 59 ლარს, სულ 111.52 ლარს, საიდანაც დაენიშნა პენსია – 94.79 ლარი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის (საქმე №3/3294-03) გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 9.33 ლარის გადახდა 2003 წლის 01 ივლისიდან, ასევე მიუღებელი საპენსიო დანამატის სხვაობა 2003 წლის აპრილიდან. 2013 წლის 1 აპრილიდან გადაანგარიშების შედეგად გ. გ-ს დანიშნული აქვს კომპენსაცია თვეში 284 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირს ზიანის ანაზ-

ლაურების ვალდებულება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. სზაკ-ის 208.1 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სკ-ის 992-ე მუხლი ადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგად წინაპირობებს, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. კანონმდებლობა ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით, კერძოდ, ტრავმის შესახებ 08.01.2003წ. №19 ცნობით, 05.02.2003წ. დამტკიცებული 30.01.03წ. №7 ავადმყოფობის მოწმობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 04.03.2003წ. №542 ბრძანებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 16.04.2003წ. სსებ შემოწმების აქტის ამონაწერით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 24.02.2014წ. ცნობით, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ქუთაისის რეგიონული სამხედრო პროკურორის 20.10.2002წ. დადგენილებით დასტურდება, რომ 2002 წ. მომხდარი ავტოავარიის შედეგად გ. გ-მა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რის შედეგადაც გახდა შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უვადოდ, სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი და განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ავადმყოფობის გამო. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით, უდავოდ დასტურდება, რომ გ. გ-ის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია საჩხერე-ჭიათურის გზატკეცილზე 21.07.2002წ. მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ.

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ თუ ფიზიკური პირის ბრალეულობა გამოიხატება განზრახვაში ან გაუფრთხილებლობაში, რაც პირის სუბიექტური დამოკიდებულებით განისაზ-

ღვრება, ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ამ სხვაობას განაპირობებს ის, რომ ადმინისტრაციული ორგანო, როგორც ასეთი, თავად არ ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას, იგი თავის საქმიანობას ასრულებს თავისი ორგანოების ან ფიზიკური პირების მეშვეობით. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობა ვლინდება სწორედ ამ პირისა თუ ორგანოს ბრალეულობაში. საქმეში დაცული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ქუთაისის რეგიონული სამხედრო პროკურორის 20.10.2002წ. დადგენილებით დასტურდება, რომ ქ.საჩხერეში, მაიაკოვსკის ქუჩაზე 21.07.2002წ. მოძრაობდა საჩხერის გვარდიის სამხედრო ნაწილის კუთვნილი ავტომანქანა, რომელსაც მართავდა კაპიტანი გ. ჩ-ე. ავტომანქანაში ასევე ისხდნენ სერჟანტი კ. შ-ე და ლოჯისტების ოფიცერი, კაპიტანი გ. გ-ი, რა დროსაც ავტომანქანა გადაბრუნდა, ადგილზე გარდაიცვალა კ. შ-ე, ხოლო ავტოავარიის შედეგად მიღებული ტრამეებით ქ.ჭიათურის საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად მოთავსდა გ. გ-ი, რომელიც იმავე დღეს მძიმე მდგომარეობის გამო გადაყვანილ იქნა თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით პროკურატურის მიერ დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომანქანას მართავდა გ. ჩ-ე, მან ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების დაცვა, რამაც გამოიწვია ავტომანქანის გადაბრუნება, რის შედეგადაც გ. გ-მა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდა, რომ კაპიტანმა გ. ჩ-ემ ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276.5 მუხლით, თუმცა გ. ჩ-ის გარდაცვალების გამო შეწყდა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება. აღნიშნულის გარდა, ტრავმის შესახებ 08.01.2003წ. №19 ცნობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 15.04.2003წ. სსებ შემონმების აქტის ამონაწერით და 30.09.2008წ. ძალოვანების საინვენტარიზაციო ფორმით №55066 სამხედრო ნაწილის 08.01.2003წ. №8 ცნობით დგინდება, რომ გ. გ-მა დაზიანებები მიიღო სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის ბრალეულად მიჩნევა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მას ჰქონდა სხვაგვარად მოქცევის ვალდებულება და შესაძლებლობა. ბრალი განიმარტება, როგორც ქმედუნარიანი პირის განზრახვის ან გაუფრთხილებლობის მომცველი ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო და სუბიექტურად გააკიცხვადი ქმედება. გან-

სახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ ავტომობილის საჭესთან მყოფმა გ. ჩ-ემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 276.5 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ანუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, კერძოდ, დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესი, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება (გ. გ-ის ნაწილში) და სიცოცხლის მოსპობა (კ.შ-ის ნაწილში). სსკ-ის 106-ე მუხლში 24.09.2010. №3619 კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ აქტებს არ აქვთ პრეიუდიციული მნიშვნელობა, ამდენად, ქუთაისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის სისხლის სამართლის საქმის №62022013 შეწყვეტის დადგენილებას განსახილველი დავისადმი არ აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა, თუმცა შესაძლებელია მისი მტკიცებულებად დაშვება და შეფასება. საქმეში დაცული მტკიცებულებებით დასტურდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურის – კაპიტან გ. ჩ-ის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად გ. გ-ისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას ის შეადგენს, რომ პასუხისმგებლობა ზიანისათვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშალო მიმყენებელი (სკ-ის 999.1 მუხ.). სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩითვლება ფიზიკური პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან სამსახურებრივი ურთიერთობების საფუძველზე. სკ-ის 155.2 მუხლის თანახმად, მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან, მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი. ადმინისტრაციული ორგანოს წარმოეშობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ დადგინდება, რომ ავტოავარიის შედეგად ზიანის მიყენებისას მძლოლი მოქმედებდა დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში. ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას (სკ-ის 199.1 მუხ.), რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზეა. დადგენას საჭიროებს მძლოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების მფლობელის – საქართველოს თავ-

დაცვის სამინისტროს ნებართვით გამოყენება, რათა გაირკვეს დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი პირობა, მფლობელის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობა – სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ნებართვის გარეშე გამოყენება (სკ-ის 999.4 მუხ.), სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. აღნიშნულისათვის არ არის საკმარისი საქმეზე დადგენილი გ.გ-ის მიერ ტრავმის მიღება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სკ-ის 999-ე მუხლი ქმნის არაბრალეული მესაკუთრის პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს, ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობის სახით გარკვევას საჭიროებს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მფლობელის ნებართვის გამოყენება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დელიქტის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლოა იყოს ქონებრივი (მატერიალური) და არაქონებრივი (მორალური). სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა მიიჩნევა მატერიალურ ზიანად, ხოლო პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისა და თავისუფლებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც დაკავშირებულია პირის სულიერ ტანჯვასთან არამატერიალური ზიანია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, სკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში. მოცემულ საქმეზე უდავოდ დასტურდება, რომ გ.გ-მა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რაც ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგად საფუძველს, თუმცა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოსათვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გაადვილების, ვალდებულების შესრულებაზე კონტროლის, მოვალის დაცვის და ბრუნვის მონაწილეთა აქტიურობის სტიმულირების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა.

სკ-ის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვა-

და სამ წელს შეადგენს. ცალკეულ, საგამონაკლისო შემთხვევაში არ არის გამორიცხული მორალური და მატერიალური ზიანის განსხვავებულ მომენტებში დადგომის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული არ უარყოფს მორალური ზიანის მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის მოქმედებას. განსახილველ შემთხვევაში 21.07.2002წ. მიღებული დაზიანებების (კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ქალა-ტვინის დაზიანებული ტრავმა, სახისა და შუბლის ძვლების მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაჟეჟილობა ც-7 დონეზე, ზედა პარაპრეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციის მოშლა) შედეგად გ. გ-მა 100%-ით დაკარგა შრომის უნარი და გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი უვადოდ, რაც არ ტოვებდა სრულად გამოჯანმრთელების, შემდგომში სამხედრო სამსახურის გაგრძელების პერსპექტივას, შესაბამისად, არ დასტურდება მატერიალური ზიანის და მორალური ზიანის დადგომის მომენტებს შორის სხვაობა, მორალური ზიანის სხვა, უფრო გვიანდელი პერიოდიდან ათვლის შესაძლებლობა. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ 07.12.01 წ. კანონის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის წამყვან პოზიციად ითვლება პირის სამედიცინო და სოციალური სტატუსის დარღვევის ან მისი დაკარგვის ხარისხის განსაზღვრა, კომპენსაციურ-ადაპტაციური შესაძლებლობები (4.3, 52.2 მუხ.), პირის შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრას, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საკითხების გადაწყვეტას საფუძვლად უდევს კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასება (მე-5 მუხ.), სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა ტარდება შესაბამისი სადიაგნოსტიკო-სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ (მე-6 მუხ.). საქმეში დაცული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საჩხერის ბიუროს 16.04.03წ. შემოწმების აქტის ამონაწერის თანახმად, გ. გ-ს დაუდგინდა ინვალიდობის პირველი ჯგუფი. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 16.04.03წ. შემოწმების აქტის ამონაწერით ირკვევა, რომ სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმით გ. გ-ს ინვალიდობა დაუდგინდა უვადოდ. ამდენად, შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდული ხარისხი, დასახიჩრების შეუქცევადი შედეგი, ჯანმრთელობის მოშლა ორგანიზმის ფუნქციის მყარი და მკვეთრი დარღვევით, აღნიშნულის შედეგად აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლა,

ნერვიული განცდები ტრავმის მიღებისთანავე იყო ცხადი. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 24.02.2014წ. ცნობის მიხედვით გ. გ-ი არის შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე. გ. გ-ისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების დროს მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის უფადოდ დადგენის საფუძველებს ადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13.01.2003წ. №1/6 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ (მე-9 მუხ.). ამავე პერიოდში მოქმედი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, პირს იმ შემთხვევაში უდგინებოდა შრომისუნარიანობის 100%-ით დაკარგვა, თუ დაზარალებულს ჰქონდა ორგანიზმის ფუნქციის გამოხატული დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდიდა ან აბრკოლებდა ნებისმიერი შრომის შესრულებას, მათ შორის სპეციალურად შექმნილ პირობებშიც კი. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 34-ე მუხლის საფუძველზე მუშაკისათვის ტრავმით და პროფესიული დაავადების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული წესი მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებდა რაიმე სპეციალურ რეგულირებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადები მხოლოდ ნორმატიულად შეიძლება განისაზღვროს. განსახილველ შემთხვევაში მოსამსახურის მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის სპეციალური ვადა გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელდეს სკ-ის 1008-ე მუხლით განსაზღვრული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეიტყო თავისი უფლებების დარღვევის – ზიანის დადგომის და ზიანის მიმყენებლის შესახებ. სუბიექტურ ფაქტორს ყურადღება ექცევა იმ შემთხვევაში უკეთეს ხანდაზმულობის

წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია. საერთო წესის თანახმად, ივარაუდება, რომ დაზარალებულმა უფლების დარღვევისთანავე შეიტყო დამდგარი ზიანის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, რადგან თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას (სსკ-ის 102-ე მუხ.). ზიანის დადგომის შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ავტოავარიის შედეგად დასახიჩრების მიღების, ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციების დარღვევის, შრომის უნარის დაკარგვისთანავე. გ. გ-ს პირველი ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა ტრავმის მიღებიდან მოკლე პერიოდში. სააპელაციო პალატის მითითება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჩხერის რაიონული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 16.04.03წ. შემომწების აქტზე ადასტურებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის მიღებას და არა კანონით განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადაში სარჩელის აღძვრას. საქმის მასალების მიხედვით, სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრულია 02.04.2014წ., შესაბამისად არ დასტურდება მოსარჩელის მიერ არათუ სკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამიწიანი, არამედ აგრეთვე სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის დაცვა. ამასთანავე, სააპელაციო პალატა არ უთითებს ხანდაზმულობის ვადის ათვლის სხვა მომენტს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ უკვე 2003 წელს გ. გ-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მატერიალური ზიანის – საპენსიო დანამატის სხვაობის ანაზღაურება, ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის ივნისის №3/3294-03 გადაწყვეტილებით, „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ამდენად, მოსარჩელისათვის დამდგარი ზიანის და ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაცია ზიანის დადგომისთანავე იყო ცნობილი, გ. გ-ს ჰქონდა სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა, თუმცა არ იკვეთება ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოსადმი მიმართვის, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების, შეწყვეტის, მატერიალურ ზიანთან ერთად მორალური ზიანის ხანდაზმულობის ვადის ათვლის გამომრიცხავი გარემოება.

მოსარჩელის მიერ წარუშლელი დასახიჩრების მიღება არ გამორიცხავს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაცულობას, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებზე (პირადი არაქონებრივი უფლებები, მეანობრეთა მოთხოვნები ანაბრების გამო (სკ-ის 128.2 მუხ.)), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული საკაცაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (სუსგ 08.04.2009წ. №ბს-972-936(3კ-08)) არანაირად არ გულისხმობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის გაუვრცელებლობას, მორალური ზიანის ყოველთვის მატერიალურ ზიანზე გვიან დადგომას. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი უნდა განისაზღვროს საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად. განსახილველ საქმეში არ დასტურდება მატერიალური ზიანის დადგომის მომენტისაგან განსხვავებულად მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ათვლის შესაძლებლობა. საფუძველს არის მოკლებული აგრეთვე კასატორის გ. გ-ის მითითება სუს 25.07.2013წ. №ბს-494-488(2კ-12) გადაწყვეტილებაზე, რომელშიც მოპასუხე სადავოდ არ ხდიდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს (სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება კანონმდებლობის ზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება), არ აყენებდა ხანდაზმულობის საკითხს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. მოპასუხე მოცემულ საქმეზე სადავოდ ხდის ფაქტობრივ გარემოებებს, სარჩელის წარდგენისთანავე სადავოდ ხდიდა მოსარჩელის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის დაცვის საკითხს, რაც განაპირობებს მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის ვადის დაცულობის საკითხის დასაბუთების საჭიროებას.

გ. გ-ის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის, ხანდაზმულობის ვადის გასვლა (სარჩელის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენის აუცილებლობისაგან განსხვავებით) არ აბრკოლებს სასამართლოსადმი ან სხვა ორგანოსადმი მიმართვის უფლებას. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძუ-

ლებითი განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს და თუ გამოირკვევა, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების (სკ-ის 132-ე, 134-ე მუხ.) ან შეწყვეტის (სკ-ის 137-ე, 138-ე, 139-ე მუხ.) საფუძვლები, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. გ-ის საკასაციო საჩივარში დასმული მორალური ზიანის ოდენობის საკითხზე მსჯელობა შესაძლებელია ხანდაზმულობის საკითხის გადანყვეტის შემდეგ. დაზარალებულის ცხოვრების პირობებს (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური), სუბიექტურ დამოკიდებულებას, ნეგატიური ფსიქოლოგიური განცდების ინტენსივობას მნიშვნელობა აქვს მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის, ხოლო უკანასკნელს თავის მხრივ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვის პირობებში.

დაუსაბუთებელია აგრეთვე სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება სასამართლოს ხარჯების ნაწილში. სასამართლოს ხარჯები შედგება სახელმწიფო ბაჟისაგან და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სსკ-ის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე გათავისუფლებულია სასამართლო ბაჟის გადახდისაგან. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არის დასაბუთებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ.გ-ის სასარგებლოდ ადვოკატზე განეული ხარჯის – 1 000 ლარის ანაზღაურება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ადვოკატის მომსახურებისათვის მოითხოვდა მის მიერ გადახდილი თანხის – ორი ათასი ლარის მოპასუხისათვის დაკისრებას. საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯები სსკ-ის 37.3 მუხლის თანახმად შეადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს. საქმის მასალებით არ დასტურდება გ. გ-ის მიერ საადვოკატო ხარჯების განევისათვის თანხის გადახდა. საქმეში დაცული 31.03.2014 ხელშეკრულება არ ადასტურებს მოსარჩელის მიერ საადვოკატო მომსახურების ხარჯების განევას. ამასთანავე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა ეკისრება მეორე მხარეს, თუ მის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება. ვინაიდან არ დასტურდება მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლები,

დაუსაბუთებელია აგრეთვე მოპასუხისათვის საადვოკატო ხარჯის დაკისრება. შესაბამისად, სააპელაციო პალატის განჩინება უნდა გაუქმდეს აგრეთვე სასამართლო ხარჯების ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს. ამდენად, გ. გ-ისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.07.20156. გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. გ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.07.2015წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკმეზელი

1. მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო პატიმრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება	3; 19
პატიმრობაში მყოფი პირის მიმონერის თავისუფლების დარღვევის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება	37
პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება	57
მორალური ზიანის შესახებ სარჩელის განსჯადობა	69
დისკრიმინაციის მოტივით მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანობის შემოწმება	81

2. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არასწორი საჯარო ინფორმაციის გაცემით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება	91
ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის დაკისრების შესახებ აქტის სააპელაციო წესით გასაჩივრების დასაშვებობა	110
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი მატერიალური ზიანის ანაზღაურება	119
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედებებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება	135
ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება	153

3. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო პატიმრობის გამო მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება	161
---	-----

4. ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

შრომითი მოვალეობის შესრულებით ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება	177; 185
ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურება	202

